სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 17 ივნისი 2000 №114 (1136) | ფასი 50 თეთრი

გასულები და წასულები

REUTERS ბრიუგედან

ჩეხეთი — საფრანგეთი 1:2. ფრანგმა ნიკოლა ანელკამ ჩეხი ტომაშ რჟეპკა ბურთს არ გააკარა

UEFA EURO 2000

D ჯგუფი

ჩეხეთი	1
საფრანგეთი	2
დანია	0
ჰოლანდია	3

ევროპის ვიცე ჩემპიონებმა, ჩეხებმა ფრანგებთან გუშინდელი წაგებით ჯგუფიდან გასვლის ბოლო შანსიც დაკარგეს და ევრო 2000-დან ნაადრევად წამსვლელთა რიგში უსიამოვნო პირველობა ერგოთ. ერთი თამაშის მერე დანიელებსაც განაღდებული აქვთ მაყურებლობა. ისინი ისევ დიდი ანგარიშით დამარცხდნენ, მათმა სახელოვანმა მეკარემ პიტერ შმაიხელმა ჰოლანდიელებთანაც სამჯერ გამოიტანა ბურთი კარიდან. ლაღად მოთამაშე საფრანგეთი და, ცოტა არ იყოს, მოუქნელი ჰოლანდია მეოთხედფინალში გუშინწინ გასულ იტალიას შეუერთდნენ. „სიკვდილის ჯგუფმა“ არსებობა შეწყვიტა.

იხილეთ მეორე-მერვე გვერდები

ვაი ფეხბურთისგან

ინგლისელებმა მშვიდი ბელგია უკვე დააწიოკეს

REUTERS ბრიუსელიდან

სახელგატეხილ ინგლისელ ფანთაგან ერთ-ერთმა გუშინ თავიც გაიტეხა

ბელგიაში ნამდვილი ომისთვის ემზადებიან — დღეს შარლერუაში ინგლისისა და გერმანიის ნაკრებების შეხვედრაზე დიდ არეულობებს ელიან.

ალბიონელმა ხულიგნებმა თავი უკვე გამოიჩინეს. გუშინ ბრიუსელის ერთ-ერთ ბარში ბარიკადები მოაწყვეს და მხოლოდ ცრემლსადენი გაზის გამოყენების შემდეგ დატოვეს გამაგრებული პოზიციები. პოლიციამ 139 გალეშილი ქომაგი დააკავა და რამდენიმეც უკან, ინგლისში გააბრუნა, თუმცა ქალაქის მრავალი ჩამსხვრეულვიტრინიანი მაღაზიისა და ქუჩაში გაუფრთხილებლად გაჩერებული და დაზიანებული მანქანების პატრონებისთვის ეს ვერაფერი ნუგეშია.

REUTERS ბრიუსელიდან

ბელგიის პოლიცია შფოთიანი ინგლისელების გაკავება-დაკავებას ვეღარ აუდის

დავიდსმა და ჰოლანდიამ თვალში გამოიხედეს

D ჯგუფი

როტერდამი
16 ივნისი
23.45 საათი
ფეიენოორდი
51 000 (ტევადობა 52 000)

დანია 0:3 ჰოლანდია

0:1 კლუივერტი (57), 0:2 რ. დე ბური (66), 0:3 ზენდენი (77)

დანია: შმაიხელი, შიონბერგი (პელვეგი 82), ჰენრიკსენი, ჰაინცე, კოლდინგი, ა. ნილსენი (ტოფტინგი 51), გრავესენი (ბ. ნილსენი 67), ბისგაარდი, გრონკიაერი, ტომასონი, სანდი

მწვრთნელი: ბო იოჰანსონი

ჰოლანდია: ვან დერ სარი (ვესტერფელდი 90), რაიციგერი, კონტერმანი, ფ. დე ბური, ვან ბრონკჰორსტი, ზენდენი, ოვერმარსი (რ. დე ბური 61), კოკუ, დავიდსი, კლუივერტი, ბერხკამპი (ვინტერი 76)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: ვან ბრონკჰორსტი, რაიციგერი, ა. ნილსენი, კონტერმანი, ვან დერ სარი

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

კარისკენ დარტყმა: 4-8, კარში დარტყმა: 4-3; ჯარიმა: 14-17; კუთხური: 3:3; თამაშგარე: 3:6

სოსო კოტორეიშვილი

REUTERS როტერდამიდან

ფრანკ დე ბურის დარტყმულმა საჯარიმომ ოთხი დანიელი „დაიფრინა“

ჩეხეგთან საეჭვო პენალტით მოგებული მატჩის შემდეგ ჰოლანდიელთა მწვრთნელ ფრანკ რაიკარდს კრიტიკის ნიაღვარი დაატყდა თავს. ევრო 2000-ის მასპინძელთაგანი ჩემპიონატის დაწყებამდე ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა, იოჟეფ ხოვანეცის ბიჭებთან უსახური თამაშით კი ქომაგთ იმედი გაუცრუა. დანიელებთან გუშინდელი მატჩის პირველ ტაიმშიც ჰოლანდიელებს მწყობრი და ტაქტიკურად გამართული გუნდისა არაფერი ეცხოთ. რაიკარდმა შემადგენლობაში ერთი ცვლილება მოახდინა, ზეედორფი სათადარიგოებში გაამწესა, მის ნაცვლად მარკ ოვერმარსს უხმო. დანიელთა შვედმა დამრიგებელმა ბო იოჰანსონმა კი ტოფტინგს დაუწუნა ფრანგთა წინააღმდეგ გარჯა და გრავესენს ენდო.

ჰოლანდიელთა რიგებში ოვერმარსის გამოჩენა მასპინძელთაგან ფლანგებიდან შეტევებს მოასწავებდა. „არსენალის“ სწრაფმა თავდამსხმელმაც ისე დაიწყო, დანიელ მცველებს მასთან გამკლავება უჭირდათ, მაგრამ ოვერმარსის აქტიურობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

დანიელებმა საიმედოდ ჩაკეტეს ფლანგები და ჰოლანდიელებს ისღა დარჩენოდათ, ცენტრიდან შეეტიათ და დაიწყო...

სულ მაღლა, მაღლა, ზემოთ და ზემოთ...

ერთი პირობა იმასაც იფიქრებდა კაცი, ჰოლანდიაა თუ ინგლისიო. კლუივერტის მისამართით გაგზავნილი ბურთები, იმის იმედით, პატრიკი თავს რიგიანად დაუხვედრებს და ემანდ, იქნებ შმაიხელს ასე გავუტანოთო, ცხადია, არაფრის მომტანი გახლდათ.

დანიელთა ცენტრალური მცველები, ჰენრიკსენი და შიონბერგი კლუივერტს საჰაერო ბრძოლებში იოლად ჯაბნიდნენ.

ამასობაში კი შმაიხელის შეძახილებით შეგულიანებულმა დანიელებმა თვალი ვან დერ სარის კარისკენ გააპარეს და რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტიეს. ეგ კი არა, ტაიმის მიწურულს ზემოთნახსენები გრავესენის დარტყმა ჰოლანდიელთა კარის ხარიხამ აისხლიტა.

დანიამ მეორე ტაიმიც რიხით დაიწყო, თუმცა...

ჰოლანდიის ნაკრებში თამაშობენ ედგარ დავიდსი, დენის ბერხკამპი, პატრიკ კლუივერტი, ფეხბურთელები, თითოეულს მარტო რომ შეუძლია მატჩის ბედის შემობრუნება.

57-ე წუთზე დაუღლელმა და ვერცხლისწყალივით მოძრავმა დავიდსმა, რომელიც გუშინ შავი სათვალის გარეშე თამაშობდა, საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან ნილსენს ბურთი წაართვა და უმალ ბერხკამპს მიაწოდა. ჰოლანდიელთა მეათე ნომერმა რამდენიმე მცველს გვერდი აუარა და შმაიხელის პირისპირ დარჩა. დანიელთა მეკარემ ბურთი კი მოიგერია, მაგრამ კლუივერტის დამატებულს ვეღარაფერი მოუხერხა.

ამის მერე კი ვიხილეთ ის, რასაც ჰოლანდიელთაგან ჩვეულნი ვართ, ლამაზი, დახვეწილი კომბინაციები, ბერხკამპის გონივრული პასები. ბუდევინ ზენდენიც თითქოს გოლმა გამოაფხიზლაო და ისე ათამაშდა, დანიელთა მცველებს საქმე ერთიორად გაურთულა, ცხადია, ამას შედეგიც მოჰყვა. ჯერ იყო ზენდენმა მარცხენა ფლანგზე კოლდინგი გააბითურა, საჯარიმოში ჩააწოდა და შეცვლაზე შესულ რონალდ დე ბურს გაატანინა, მერე რაიციგერის ჩინებული პასი შეირგო და თავად გაიტანა. 3:0, როტერდამის სტადიონზე შეყრილი ჰოლანდიელი ქომაგები გამარჯვებას ზეიმობდნენ. დანიელებს მატჩის მიწურულს ერთი ბურთის გაქვითვა კი შეეძლოთ: ებე სანდის ნაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი შიონბერგმა კარს ააცილა, აქვე გეტყვით, ეს ის კაიზერსლაუტერნელი შიონბერგია, „ფრაიბურგთან“ მატჩში უმეკარეოდ დარჩენილ თანაგუნდელებს კარის დარაჯად რომ მოევლინა და ჩვენებურ ალექსანდრე იაშვილს პენალტი აუღო. ეტყობა „იაშკას“ ცოდვამ არ გაატანინა.

REUTERS როტერდამიდან

ლეგენდარულმა პიტერ შმაიხელმა ორ თამაშში ექვსი ბურთი გაუშვა

ერთვნული

მატჩის ბაზრიდან

დანიელთა მწვრთნელმა **ბო იოჰანსონმა** მატჩის შემდეგ აღიარა, რომ ჰოლანდიელები გამარჯვებას იმსახურებდნენ: „ძნელია, გაიღიმო ასეთი შედეგის შემდეგ. ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ ძლიერი მეტოქე გვყავდა. მეორე ტაიმის ტემპს ვეღარ გავუძლეთ, მათ გაცილებით უკეთესი გუნდი ჰყავთ“.

21 ივნისს ჩეხების წინააღმდეგ მატჩი იოჰანსონისთვის ბოლო იქნება ნაკრების მწვრთნელის რანგში, მას მორტენ ოლსენი შეცვლის: „ცხვირს არ ჩამოვუშვებთ და ისევ ბოლომდე ვიბრძოლებთ. დღესაც არ გავისარჯეთ ურიგოდ, მაგრამ პირველი გოლის გაშვების შემდეგ დაცვა მოიშალა.“

მასპინძელთა მწვრთნელმა **ფრანკ რაიკარდმა** კი აღნიშნა, რომ პირველი ტაიმის შემდეგ გამარჯვების იმედი თითქმის გადაწურული ჰქონდა: „პირველ ნახევარში ბურთს უზუსტოდ და ნელა ვათამაშებდით. მოთამაშეები პოზიციურად სცოდავდნენ, რაც დანიელებს ჩვენზე ზეწოლის შესაძლებლობას აძლევდა. მეორე ტაიმში უკეთ ავთამაშდით, ბურთს ნაკლებად ვკარგავდით და მეტოქეებს მაშინვე დიდი პრობლემები შევუქმენით.“

პატრიკ კლუივერტი, ჰოლანდიელთა მეგოლე, გამარჯვებამ შესანიშნავ გუნებაზე დააყენა: „კარგია, რომ მაყურებლები გავახარეთ. ჩვენ დღეს დავამტკიცეთ, რომ ერთ მუშტად შეკრული გუნდი ვართ და მწვრთნელის მითითებათა შესრულება შეგვიძლია. ჩვენი მიზანი იყო მოგვეგო, ჭეშმარიტად კმაყოფილი ვიქნებოდით, მაგრამ საბოლოოდ სამზე მეტი გოლის გატანაც შეგვეძლო“.

კლუივერტმა მერე გოლის გატანის მომენტიც გაიხსენა: „დენის ბერხკამპმა ითამაშა ბრწყინვალედ, ბურთი პირდაპირ ფეხებთან მომიგორა და ისღა დამრჩენოდა, კარისკენ გადამეგზავნა.“

მატჩის სტენოგრამა

8 — მორტენ ბისგაარდის დარტყმული ედვინ ვან დერ სარმა ნახტომში აიღო.

24 — ისევ ბისგაარდი. ამჯერად მარჯვენა ფლანგიდან შევიდა საჯარიმოში და კარის გასწვრივ დაბალი ბურთი ჩააწოდა, მცველმა ჩაჭრა, ასხლეტილს ბისგაარდივე ამატებდა, ბურთი ჯერ თავისიანს მოარტყა, მერე ვან დერ სარის იოლი ნადავლი აღმოჩნდა.

30 — შემოტრიალებით პატრიკ კლუივერტის დარტყმული ბურთი შმაიხელს ხელიდან გაუვარდა, დამატებას ოვერმარსი ცდილობდა, ოდნავ ააცილა.

33 — ებე სანდის თავით დაგდებულზე ტომსონი მაკრატელათი ურტყამდა, ამაოდ.

37 — დენის ბერხკამპმა ედგარ დავიდსი შმაიხელს შეატოვა. ზორბა დანიელმა კარი დატოვა და მოიერიშეს ფეხებში ჩაუვარდა, ასხლეტილს ბერხკამპმა მოჭრილი დარტყმა შეაგება, ცოტათი ასცდა.

44 — საჯარიმოს ხაზიდან ტომას გრავესენის ტექნიკური, მოჭრილი დარტყმისას ჰოლანდია ხარიხამ იხსნა.

57 — ბერხკამპმა ბურთი ორთაშუა შეაგდო და თავადვე შეჰყვა, შმაიხელმა მოიგერია, მაგრამ გადმოვარდნილს კლუივერტმა ფეხი დაუხვედრა და ანგარიშიც გაიხსნა.

66 — მატჩის საუკეთესო ბუდევინ ზენდენმა მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა, დანიელთა დაცვამ და მეკარემ ჩათვლიმა, რონალდ დე ბურიც იქვე გაჩნდა 0:2.

75 — შმაიხელმა ორჯერ მასთან პირისპირ დარჩენილი მომხვდურნი გაამწარა, ჯერ კლუივერტი, მერე ზენდენი.

77 — ზენდენს ასისტენტობა ჩინებული რეიდის მერე მიხაელ რაიციგერმა გაუწია და ანგარიში 0:3 გახდა.

81 — ვან დერ სარმა ებე სანდი საჯარიმოში მოცელა და ურს მაიერმაც სამართლიანი პენალტი დანიშნა, მაგრამ რად გინდა, მიქაელ შიონბერგმა ბოძებული შანსი, ანგარიში დაესველებინა, ვერ გამოიყენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

D ჯგუფი

ბრიუგე
16 ივნისი
21.00 საათი
ჟან ბრეიდელი
28 000 (ტევადობა 30 000)

ჩეხეთი 1:2 საფრანგეთი

0:1 ანრი (7), 1:1 ნედვედი (35 პ), 1:2 ჯორკაეფი (60)

ჩეხეთი: სრნიჩეკი, რეპკა, ბეიბლი (ლოკვენცი 50), რადა, გაბრიელი (ფუკალი 46), ნედვედი, ნემეცი, პობორსკი, როსიცკი (იანკულოვსკი 62), კოლერი, შმიცერი

მწვრთნელი: იოჟეფ ხოვანეცი

საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, დესაი, ბლანი, კანდელა, პეტი (ჯორკაეფი 46), დეშამპი, ზიდანი, ვიეირა, ანრი (ვილტორდი 90), ანელკა (დიუგარი 55)

მწვრთნელი: როჟე ლემერი

გაფრთხილება: გაბრიელი, ტურამი, ნემეცი, იანკულოვსკი

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

კარისკენ დარტყმა: 5-7; კარში დარტყმა: 7-4; ჯარიმა: 19-31; კუთხური: 4:4; თამაშგარე: 2:5

ფრანგული გზა

ზურაბ მექველია

ბრიუგედან

როჟე ლემერი და საფრანგეთის ნაკრები წარმოგიდგენთ ფილმს „როგორ გავიდეთ მეოთხედფინალში ძალების მაქსიმალური დაზოგვით“. ფილმის პრემიერა შედგა ევრო 2000-ის პროგრამით, მეშვიდე დღეს, ბრიუგეს „ჟან ბრეიდელზე“ და იგი სამი სერიისგან შედგებოდა.

პირველი სერია მხოლოდ 7 წუთს გრძელდებოდა და მონდომებულად, თუმც უნიჭოდ მოთამაშე პიოტრ გაბრიელისა და მთავარი მოქმედი პირის (ასე მიიჩნია უეფამ და მოგვიანებით პრიზიც გადასცა) ტიერი ანრის მეტად ემოციური ეპიზოდით დამთავრდა — პირველმა ბურთი რატომღაც მეორეს მისცა და ამან გაიტანა.

მეორე სერია მაყურებლის ყურადღებას დაახლოებით 38 წუთი იპყრობდა. ფილმის დამთავრებისთანავე კრიტიკამ ერთხმად აღნიშნა ამ მონაკვეთის თავისებურება. მართლაც საოცარი სანახავი იყო: როცა მონაწილეთა ერთი ჯგუფი, ყველა წითელში გამოწყობილი, უსწრაფესად მოძრაობდა, ლურჯ-თეთრთა ნაწილი სიარულით აჩერხებდა ამათ შეფერხებას. აშკარად შეინიშნებოდა ანალოგიები ლემერის კიდევ ერთ ფილთან: „როგორ მოვუგოთ დანიას 3:0 ისე, რომ არც შევუტიოთ“. ამ სერიაში რეჟისორს თავისი მთავარი დამრტყმელი ძალა — ანრი და ანელკა — ძირითადი ბატალიების ადგილიდან მოწყვეტილი ჰყავდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც დამხმარეს უგზავნიდა. სადღაც 35-ე წუთისთვის წითელმა მონაწილეებმა მუსიე ლემერის სცენარს თავი ანებეს და ფილმის წარმოდგენა კინაღამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს, ანუ დეშამპის მიერ ნედვედის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენეს. აღსანიშნავია, რომ ამ ეპიზოდში ზემონახსენები გაბრიელივით უნიჭოდ ითამაშა ცნობილმა ვარსკვლავმა ემანუილ პეტიმ, რისთვისაც ათიოდ წუთში გადაღების მოედნიდან საერთოდ დაითხოვეს.

მესამე სერიის დასაწყისიდან მაყურებელმა ასევე ვარსკვლავი, იური ჯორკაეფი იხილა. მართალია, მას დრო კი დასჭირდა საერთო სურათის გამოსაცოცხლებლად, მაგრამ, რაც მთავარია, ეს შეძლო. გამოჩენიდან 15 წუთში კი მთელი ფილმის უდიდესი კულმინაცია გაითამაშა მთავარ გმირთან (შეგახსენებთ, ტიერი ანრი) და ლემერის ჩანაფიქრს ხორცი შეასხა.

ამის მერე ჯორკაეფს ინერციით აყოლილი სხვა ლურჯ-თეთრი მსახიობებიც უკეთ ათამაშდნენ, მაგრამ ვინაიდან თანარეჟისორ იოჟეფ ხოვანეცს სხვა სცენარით სურდა მოქმედების წარმართვა, შემდგომი ეპიზოდები აშკარად ამოვარდნილი ჩანდა. ხოვანეცმა დამრტყმელი ძალა გაამაღლა, თუმცა მეორეხარისხოვან როლთა შემსრულებლებმა, ანუ ჩამწოდებლებმა, ვერ ივარგეს. არადა, ლოკვენცი და კოლერი კადრში (საჯარიმოში) ვერ ეტეოდნენ. რად გინდა, ერთხელ მიეცათ თავის გამოჩენის (პირდაპირი გაგებითაც) საშუალება, მაგრამ ყველა ასეთი ფილმის უცილობელი ატრიბუტი — ბურთი — ძელს მოხვდა. წითლები რომ ამ ფაციფუცში იყვნენ, ლურჯ-თეთრები ისევ ძველი სცენარით მოქმედებდნენ.

მთლიანობაში ფილმმა გაამართლა მაყურებლის იმედი.

ახლა ცოტაც ფეხბურთზე ვთქვათ. ჩეხებს ეტყობოდათ, კოლინას ნამოქმედარი დაევიწყებინათ და მატჩიც კარგად დაიწყეს. პირველი სახიფათო მომენტიც პაველ ნედვედს ჰქონდა. არც ანრის გოლის მერე ჩამოუყრიათ ყურები და აკი მიზანსაც მიაღწიეს, მაგრამ პობორსკისა და ნედვედის თავდადებული თამაში მიზნის მისაღწევად საკმარისი არ გამოდგა. და ეს ფრანგთა დანაკლისის (ლემერმა ლიზარაზუს კანდელათი შეცვლის გადაწყვეტილება დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მიიღო) და ზიდანისა და მისი პარტნიორების ზედმეტად თავდაჯერებული თამაშის მიუხედავად. ასევე ირჯებოდნენ ფრანგები პირველ მატჩშიც, თუმცა კაცს ენა როგორ მოგიბრუნდება, ესენი აძაგო — 6 ქულით და ძალისა და კლასის მხოლოდ სანახევროდ ჩვენებით მეოთხედფინალში გავიდნენ.

ჩეხები? ევროპის მოქმედმა ვიცე-ჩემპიონებმა ევრო 2000, ფაქტობრივად, დაამთავრეს, თუმცა მართლაც ულამაზეს ბრიუგეს თავი ნაღდად დაამახსოვრეს — ყველას გასაოცრად, აღმოსავლეთევროპელთა გულშემატკივრები აგერ, მეზობელი საფრანგეთიდან ჩამოსულებზე გაცილებით მეტნი იყვნენ. ჰიმნიც კაცურად დააგუგუნეს.

ფრანგები კი, ისევე როგორც დანიასთან მატჩის წინ, „მარსელიეზას“ ტაქტში ვერ ჩაჯდნენ. ჯერჯერობით, ვერც საჩემპიონო რიტმი იპოვეს. თუმცა ვინ იცის, ეგებ სწორედ ესაა თასისკენ მიმავალი გზა. ევროპის თასი ხომ ტაძარი არაა, ყველა გზა იქით მიდიოდეს.

REUTERS ბრიუგედან

მე-60 წუთი. იური ჯორკაეფის (№6) გამარჯვების გოლი ჩეხთა კარში

საფრანგეთი	2	2	0	0	5:1	6
ჰოლანდია	2	2	0	0	4:0	6
ჩეხეთი	2	0	0	2	1:3	0
დანია	2	0	0	2	0:6	0

მესამე ტური: 21.06. საფრანგეთი — ჰოლანდია; დანია — ჩეხეთი

მატჩის შემდეგ

ტიერი ანრიმ მიიღო მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო და როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, განაცხადა, რომ ჩეხებთან გამარჯვება მთელი გუნდის დამსახურებაა და არა მხოლოდ მისი. ამას ცხადია დაამატა, რომ მეტოქე ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო, ხოლო პირველ ტაიმში, გოლის გატანის შემდეგ აცილებულ ბურთზე დასძინა, მეკარეს, რომ მივუახლოვდი კონტროლი დავკარგე, არადა, თამაშის იმთავითვე მოკვლის საშუალება მქონდა. ასეთი პოზიციიდან ბურთის შეგდებაზე კიდევ ბევრი მუშაობა მჭირდებაო. ამის შემდეგ სიტყვა ფრანგების მწვრთნელს როჟე ლემერს გადასცეს, მან თქვა:

— ეს იყო დიდებული მატჩი ძალიან ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ. ჩეხები ჩემზე ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. დღეს განსაკუთრებით კარელ პობორსკი მინდა გამოვყო, თუმცა ჩვენც გვყავდა გამორჩეული მოთამაშე და მან მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი მიიღო კიდეც...

— დიახ, ლიზარაზუ კანდელათი მატჩის დაწყებამდე ორიოდ წუთით ადრე შევცვალე, რადგან უშუალოდ თამაშის წინ ერთხელაც დავრწმუნდი, რომ კუნთები საშინლად გადაღლილი ჰქონდა.

— ჩემი გუნდის უმთავრესი კოზირი ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობაა. გეთანხმებით, ზიდანი მთელ მოედანზე თითქოს ვერ დარბოდა, მაგრამ თავისი კლასი მაინც დაატყო თამაშს.

შემდეგ საპრესკონფერენციო დარბაზში ლემერი ჩეხთა თავკაცმა იოჟეფ ხოვანეცმა შეცვალა: — მეორე მატჩი წავაგეთ, ეს უიღბლობაა, რომელიც გულს მიკლავს. ნუგეშად მხოლოდ ის თუ გამოდგება, რომ საფრანგეთი ძალიან ძლიერი გუნდია, ხოლო ჩემმა ფეხბურთელებმა საუცხოოდ ითამაშეს.

— ადრეც მითქვამს, რომ ჩვენი ჯგუფი ერთ-ერთი უძლიერესი იყო. ახლა მინდა გითხრათ, დღევანდელი შეხვედრა პირველზე ძნელი გამოდგა. ჰოლანდიის და საფრანგეთის შედარებისგან კი თავს შევიკავებ.

— ვიმეორებ, არ გაგვიმართლა. გოლი თავიდანვე რომ გაგვეტანა, სულ სხვა იქნებოდა, მაგრამ ამის ნაცვლად თავად ნახეთ, რაც მოხდა.

REUTERS ბრიუგედან

ჩეხი ვრატისლავ ლოკვენცი (№12) და ფრანგი ლილიან ტურამი

მატჩის სტენოგრამა

3 — პაველ ნედვედის უძლიერესად დარტყმულს ფაბიენ ბარტეზი ნახტომში გადაელობა.

6 — ნემეცის მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაკიდულ ბურთს იან კოლერმა თავი შეაგება — არაზუსტად.

7 — პეტრ გაბრიელი შეცდა. ბურთი ტიერი ანრის ჩააბარა, თავდამსხმელმაც ძლევენი შეირგო და 0:1.

16 — კუთხურიდან მოწოდებულ ბურთზე ნიკოლა ანელკას თავური გაუცუდდა.

19 — ზიდანმა ჩინებული პასით ანრი მეკარესთან პირისპირ დატოვა, მისი მახვილი კუთხიდან დარტყმული ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

22 — კარელ პობორსკიმ ბურთი პირით ხაზიდან შემოაბრუნა და ნემეცსაც გატანის მეტი არაფერი დარჩენოდა, ჩეხთა მეშვიდე ნომერს კი დარტყმა საკმაოდ გაუცუდდა.

31 — პატრიკ ვიეირას ახლოდან დარტყმულს მეკარე სრნიჩეკი გადაელობა.

35 — ნედვედი დიდიე დეშამპმა საჯარიმოს ხაზთან წააქცია, გრემ პოლმა საეჭვო პენალტი დანიშნა, პობორსკიმ იოლად გაიტანა 1:1.

37 — ზიდანის საჯარიმოში ჩაკიდებულს, პეტის თავური მოჰყვა, ბურთი მცირედით ასცდა ჩეხთა კარს.

39 — კარელ პობორსკიმ ჩინებული რეიდი განახორციელა და საჯარიმოში არშესულმა უძლიერესად დაჰკრა. ბურთმა ბარტეზის კარის მარჯვენა ძელს ჩაუქროლა.

44 — კოლერმა ბურთი მკერდით პობორსკის დაუგდო, მისი მაკრატელათი დარტყმული სახიფათო გამოდგა, მაგრამ...

45 — ანრის დარტყმული სრნიჩეკმა ნახტომში გააუვნებლა.

49 — ვლადიმირ შმიცერმა დესაის საჰაერო დუელი მოუგო და ბურთი თავით ნედვედს დაუგდო, პირისპირ დარჩენილ ნახევარმცველს ბარტეზმა აჯობა და გოლი არ გაატანინა.

60 — ანრიმ ითამაშა ჩინებულად. მის პასს ჯორკაეფი გამოეხმაურა და ახლოდან გამარჯვებისა შეაგდო — 1:2.

71 — ნედვედმა ჯარიმა დაარტყა, იან კოლერმა ბურთს ჩვეულად დაჰკრა თავი, ფრანგები ხარიხამ იხსნა.

80 — ჯორკაეფის საჯარიმოდან ჩაკიდულს ლორან ბლანის ოდნავ არაზუსტი თავური მოჰყვა.

86 — იან კოლერის თავით დარტყმული ბურთი ხელებში მიუვიდა ბარტეზს.

მეჩვიდმეტე გუნდი
რატომ უყვართ მსაჯებს მაკარონი?



REUTERS ბრიუგედან

უცხოპლანეტელო კოლინა, წადი შინ! როგორ „უყვართ“ ჩეხ ქომაგებს იტალიელი მსაჯი

ზურაბ მეძველია

ბრიუგედან

მერწმუნეთ, ათიოდ წამის განმავლობაში იტალია ბელგიას 3:0-ს უგებდა. ეს ასე იყო: ბელგიელთა საჯარიმოში ნაირფერი სამაია იმით დამოავრდა, რომ ვალგერენმა ბურთი თავით საკუთარ კარში შეაგორა. რატომღაც თვალში უმალ გვერდითი მსაჯი მომხვდა — ალამი აეწია და გაქვავებულიყო. არადა, არბიტრს, ესპანელ ხოსე მარია გარსია-არანდას ხელი ცენტრისკენ გაეშვირა. იგი მასპინძელთა მცველის უიღბლო დარტყმის ადგილიდან სულ მცირე შვიდ მეტრში იდგა. შესაბამისად, იტალიელები ხარობდნენ, ავტოგოლის ავტორი და მეკარე დე ვილდე კი დამნაშავეს არკვევდნენ.

ამ დროს ესპანელმა თანაშემწე შენიშნა. გაუკვირდა და ხელი გააქნია — არაფერი მომხდარა, მეც აქვე ვიყავიო (ალბათ, თამაშგარე ეგონა) და ის იყო, შეტრიალებას აპირებდა, ალმიანმა ხელით ანიშნა, ხელის კვრა იყოო. გარსია-არანდა ზუსტად წამით დაფიქრდა და გამოსავალიც იპოვა: იმავ ადგილზე და იმავ პოზაში დარჩა, ოღონდ, როგორც გაირკვა, ამ წამიდან მისი ცენტრისკენ გაშვერილი ხელი უკვე ბელგიელთა მხრიდან საჯარიმო დარტყმას ნიშნავდა.

იტალიელებმა აღარ დაიჟინეს. ბოლოს და ბოლოს, უკვე 2:0 იყო.

მატჩის შემდეგ, პრესცენტრში ათჯერ გაიმეორეს ეს მომენტი და ყველამ აღიარა, რომ გოლი ნაღდი იყო. დიახ, ასეა. ევროპის ჩემპიონატზე 16 გუნდი იბრძვის, შეხვედრების ბედს კი ხშირად მეჩვიდმეტე, 13-კაციან მსაჯთა გუნდის მოქმედება წყვეტს. რას ვიზამთ, ისინიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორც იგივე ფილიპ დე ვილდე, თომას ლინკე თუ სინიშა მიხაილოვიჩი. ჰოდა, მოდით ახლო გავეცნოთ თითქმის ყველა გულშემატკივრისთვის საძულველ, თუმცა მაინც ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ ადამიანებს.

ყველაზე კოლორიტული მსაჯით დავიწყოთ. მით უმეტეს, რომ უეფამ მას ჯგუფური ტურნირის უმნიშვნელოვანესი მატჩი ინგლისი-გერმანია ანდო. 40 წლის იტალიელი *ჰიერლუიჯი კოლინა* 1995 წელს გამოჩნდა საერთაშორისო სარბიელზე და ორიგინალური (ყოველ ეშმთხვევაში, მისი პროფესიისთვის) „ვარცხნილობით“ იმთავითვე ყურადღება მიიპყრო: ატლანტის ოლიმპიადაზე ჩინეთისა და აშშ-ის ქალთა გუნდების შეხვედრის დამთავრებისთანავე მას მთელი ჩინეთის ნაკრები მივარდა... თუ შეიძლება, თქვენთან ერთად ფოტოს გადავიღებთო. მას მერე პროფესიით ფინანსისტ კოლინას სამსაჯო კარიერა წარმატებით ვითარდება. მხოლოდ ახლახან დამთავრებულ ჩემპიონთა ლიგაში იგი შვიდ თამაშს გაუძღვა, თუმცა მთავარი მატჩი მაინც 1999 წლის ბარსელონური ფინალი გახლდათ — სწორედ ბოლონიელის მიერ წამატებულ სამ წუთში შეაგდო „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ორი გოლი და ჩემპიონთა თასი მოიპოვა. ნუ იფიქრებთ, თითქოს კოლინას ინგლისისთვის სულ გამარჯვება მოჰქონდეს: გაიხსენეთ იგივე „მანჩესტერ იუნაიტედის“ წაგება მადრიდის „რეალთან“ და კიგანის ნაკრების მარცხი ევრო 2000-ის პლეი ოფში შოტლანდიასთან. რაც შეეხება თავხოტორა კოლინას პირად ცხოვრებას, გეტყვით, რომ ჰყავს მეუღლე ჯოვანა და ორი გოგო (9 წლის ფრანჩესკა და 5 წლის კაროლინა), მისი საყვარელი ფილმია ინგლისური „ნოტინგ ჰილი“ და როგორც ყველა იტალიელს, მაკარონის ჭამა უყვარს. სამაგიეროდ, კოლინას დანახვა და მისი სახელის გაგონება აღარ უნდათ ჩეხებს.

მეუღლე და ორი შვილი (ოღონდ ორივე ბიჭი) ჰყავს შოტლანდიელ *ჰიუ დალასსაც*. კოლინას დარად, მასაც მაკარონი ჰყვარებია, მსახიობებიდან კი დემი მური მოსწონს ნამეტნავად. 43 წლის მოზერუელელი ადრე თურმე ფეხბურთს მისდევდა, მაგრამ ვერ დაეწია (მძიმე ტრავმა მიიღო) და მსაჯობა გადწყვიტა. სანამ ფიფას არბიტრი გადწყვეტა. „ერთხელ მოედანი ამერია და ის იყო, თამაშის დაწყებას ვაპირებდი, რომ იმ მატჩის ნამდვილი მსაჯი მოვიდა და მითხრა, შენ მეზობელ სტადიონზე ხარ დანიშნულიო“ — იხსენებს ჰიუ. სამაგიეროდ, მის ხსენებაზე ელეთმელეთი მოსდით თურქებს, რომელთა კარშიც, იტალიასთან შეხვედრაში, დალასმა პენალტი დანიშნა და მთელი ბრიტანეთის შური იძია.

კიდევ ერთი ბრიტანელი, 37 წლის ინგლისელი *გრემ პოლი* ევრო 2000-ის არბიტრთაგან ყველაზე ნაკლებ გამოცდილია — მხოლოდ 26 მატჩი უმაღლეს დონეზე. სამაგიეროდ, ცოლი და სამი შვილი ჰყავს (ნაბოლარა თებერვალში შეეძინა). თქვენ წარმოიდგინეთ, მაკარონის დანახვაზე ესეც ნერწყვებს ყლაპავს, თუმცა დემი მურს მიშელ პფაიფერი ურჩევნია (კაცებიდან — ალ პაჩინო). წესით და რიგით, გრემ პულს არაფერი უნდა შეეშალოს — ასევე ფეხბურთის არბიტრის შვილმა 7 წლისამ იმსაჯა პირველი მატჩი მშობლიურ ჰერდფორშირში.

ოდნავ გვიან, 12 წლისამ მიჰყო ხელი მსაჯობას გერმანელმა *მარკუს მერკმა*. მანაც მშობლიურ კაიზერსლაუტერნში აითვისა სტვენის ანბანი. ახლაც იქ ცხოვრობს მეუღლე ბრიგიტთან და სექტემბერში დაბადებულ ვაჟიშვილ ბენედიქტთან ერთად, თუმცა ხშირად დადის ინდოეთში, სადაც მიუსაფარ ბავშვთა სოფელი შექმნა და მათ მფარველობს. თავის დროზე ფეხბურთს თამაშობდა, მერე კი სამედიცინო დაამთავრა და სტომატოლოგის დიპლომი მიიღო (ორი ასე საჭირო, მაგრამ უმადური პროფესია ერთად!). ძალიან უყვართ უკრაინელებს — მერკმა იმსაჯა კიევის „დინამოს“ წარმატებული მატჩი „ბარსელონასთან“ (3:0 1997 წელს) და უკრაინის ნაკრების ისტორიული გამარჯვება რუსეთთან ევრო 2000-ის შესარჩევ ტურნირში. თავად 38 წლის გერმანელს ძალიან უყვარს... მაკარონი, გაგაგიჟებს ეს ხალხი.

აი, კაცი. ***ურს მაიერი*** შვეიცარიელი კია, მაგრამ თევზს და ესპანურ ღვინოს არაფერი ურჩევნია. წესით, 41 წლის ციურიხელს ქართული ღვინოც უნდა ჰქონდეს დაჭაშნიკებული — 1994 წელს საქართველო-მალტის ამხანაგური იმსაჯა, ერთი წლის მერე კი ჩვენებურთა შთამბეჭდავი გამარჯვება ბულგარეთთან. სამაგიეროდ, ცუდი ფეხი აქვს ოსებისთვის: ერთხელ იყო ვლადიკავკაზში და „ალანიამ“ 2:7 წააგო გლაზგოს „რეინჯერსთან“. შვეიცარიელთა უმრავლესობის დარად, წყნარი კაცია და თავისუფალი დროის წიგნთან ერთად გატარება უყვარს (ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“ მისი რჩეული ნაწარმოებია). ფილიპ ნუარეზე უკეთესი მსახიობი ჯერ არ მინახავსო, ამბობს. ჰყავს მეუღლე ფრანცისკა და ორი შვილი. შარშან დიდი შეცდომებით იმსაჯა „უემბლიზე“ („არსენალი“-„ბარსელონა“ 2:4), თუმცა „ბარსას“ განადგურებასაც ვალენსიაში სწორედ იგი გაუძღვა.

თბილისში ნამყოფი არაა 44 წლის მადრიდელი ***ხოსე მარია გარსია-არანდა ენსინარი***, რომლის შეცდომაზეც შესავალშივე ვთქვით, თუმცა ქართველთათვის მაინც კარგი ფეხი აქვს — უეფას თასზე თბილისის დინამოელთა მიერ კრაიოვაში 1994 წელს მოგებული მატჩი სწორედ მან იმსაჯა. ეს მისი მეშვიდე შეხვედრა იყო უმაღლეს დონეზე. ახლა კი ერთ-ერთ გამოცდილ არბიტრად მიიჩნევა. სტვენა და პენალტების დანიშვნა გარსია-არანდასთვის ოჯახური ტრადიცია ყოფილა: მამამისიც მსაჯი იყო და ცდა არ დააკლო, შვილიც მის კვალს გაჰყოლოდა. ასეც მოხდა. სერვანტესისა და ალფრედ ჰიჩკოკის თაყვანისმცემელ ხოსე მარიას ორი ბიჭი ეზრდება — 7 წლის ასევე ხოსე მარია და 4 წლის კარლოსი. თუ მეუღლე სონია არ ჩაერია საქმეში, ალბათ, ესენიც ბევრს გაამწარებენ.

ცოლი უშნოდ ჩაერია ავსტრიელი *გიუნტერ ბენკოს* ცხოვრებაში. ამიტომაც ჩვენთვის ავადმოსაგონარი მატჩის (პოლონეთი—საქართველო 4:1) მსაჯი ახლა უცოლოდაა, თუმცა გელფრენდ მარგარიტთან ერთად ზრდის ერთადერთ ვაჟიშვილ პატრიკს. კოლეგებთან შედარებათ დიდი ინტელექტით არ გამოირჩევა — საყვარელი წიგნი სპორტის ენციკლოპედიაა, თავისი პირველი ნამსაჯი მატჩი კი საერთოდ არ ახსოვს. მსახიობებიდან კლინტ ისტვუდი და რომი შნაიდერი მოსწონს. 45 წლისაა. ეს არის და ეს.

ასევე ერთხელ იმსაჯა ჩვენებურთა მატჩი ფრანგმა *ყილ ვესიემ*. ასევე ჩვენთვის უიღბლოდ — უელსელმა ახალგაზრდებმა კარდიფში ქართველი თანატოლები 5:1 გაანადგურეს. სხვანაირად ვერც იქნებოდა: ვისიეს კერპი მიშელ კიტაბჯანი ყოფილა, კაცი, ვინც თავის დროზე თბილისის „დინამო“ „გრასჰოპერთან“ დამარხა. 41 წლის ნიცელი 1984 წელს დაქორწინდა და ახლა სამი შვილი ჰყავს: სელინი (12 წლის), მარინი (10 წლის) და ჟერომი (5). მოსწონს ჰარისონ ფორდი და სტივენ სპილბერგის „შინდლერის სია“. უსაყვარლესი საჭმელია... კეფტესი. ეს რა არის, ეშმაკმა უწყის.

არც „სტეგტ ფლესკ მედი“ გამიგია. ეს დანიური ეროვნული კერძი ყოფილა, რომელსაც კოპენჰაგენელი *კიმ მილტონ ნილსენი* გეახლებათ ხშირად. ცოლისა და ქალიშვილის პატრონი ეს 40 წლის კაცი სამიოდ დღის წინ ცოცხლად ვიხილე ლიეჟის სტადიონზე და დავაფასე: ისე უღრიალა თავხედური ქცევით თავმომწონე გეორგე ჰაჯის, ამას თამაშის ხალისი გაუქრა. აბა, როგორ იქნებოდა — დანიელი კოლეგებში ყველაზე გამოცდილია, 1988 წლიდან მსაჯობს უმაღლეს დონეზე, მაგრამ მსოფლიოს გასული ჩემპიონატის საუკეთესო მატჩი (ინგლისი-არგენტინა) მისთვის კარიერაში უცუდესი გამოდგა. ნილსენს, ჩემი არ იყოს, უყვარს „აფიორა“ პოლ ნიუმენითა და რობერტ რედფორდით, თუმცა, ჩემგან განსხვავებით, დღემდე აღტაცებაში მოჰყავს სოფი ლორენს.

არც ჰოლანდიელ *დიკ იოლს* აქვს ცუდი გემოვნება — მას „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ მოსწონს, მსახიობებიდან კი რობერტ დე ნიროს აფასებს. ისე უყვარს მსაჯობა, თევზაობა და იაპონური კერძები, რომ აგერ 44 წლისა შეიქნა და მაინც მარტოხელაა.

სიბერეში მარტოობა ნაღდად არ მოელის ევრო 2000-ის ერთადერთ არაევროპელ მსაჯს, 43 წლის ეგვიპტელ *ჯამალ ელ განდურს* — აქეთ მეუღლე შაჰირა, იქით კიდევ ბავშვები: ნანა (10), ხალიდი (6) და ომარი (2). ევროპული თამაში ადრეც უმსაჯია (სლოვენია-საბერძნეთი ჩვენს შესარჩევ ჯგუფში) და ჯერჯერობით საქმეს კარგად აუდის. ისტორიული წიგნების კითხვა და „ტიტანიკის“ ყურება ჰყვარებია (იმედია, ამ ჩემპიონატზე არ „ჩაიძირება“). რჩეული მსახიობი? სხვა რომ ეთქვა, გამიკვირდებოდა: ცხადია, ომარ შარიფი.

ალ-პაჩინოზე გიჟდება შვედი *ანდერს ფრისკი*, მამა სამი შვილისა, რომელთაც მეუღლე იოჰანასთან ერთად ზრდის. როგორც ამბობს, ოჯახში ყოფნა და ტრილერების კითხვა უყვარს. ისე, ხანდახან თავადაც ხვდება ტრილერში (აბა, „ბარსელონა“-„ჩელსი“ 5:1 სხვა რა იყო?), თუმცა პროფესიით დაზღვევის სპეციალისტია და არაფრის ეშინია. ჯერ მხოლოდ 37 წლისაა და სამ ენაზე ლაპარაკობს.

სამი რაა, პორტუგალიელ *ვიტორ მანუელ მელო პერეირას* რომ გაესაუბროთ, თავი მუნჯი გეგონებათ — თავისუფლად ლაპარაკობს ფრანგულად, ინგლისურად, ესპანურად და, ცხადია, პორტუგალიურად. ასე რომ, 43 წლის ლისაბონელს რა ენაზეც უნდა შეაგინოთ, მაინც გაგიგებთ და გაგაძევებთ. ალ პაჩინო მასაც მოსწონს (მერილ სტრიპთან ერთად), მილან კუნდერას კითხულობს (ყოჩაღ!) და „შინდლერის სიაზე“ ნერვიულობს ცოლთან და 17 წლის ვაჟიშვილთან ერთად. არ ვევასებით ქართველებიო, ვერ ვიტყვით: მართალია, ოთხი წლის წინ არეცოში იტალიის ახალგაზრდულთან 0:6 „წაგვაგებინა“, მაგრამ მომდევნო წელს ქართული ბალანსი გამოასწორა და თბილისის „დინამოს“ მიერ „კრუზეიდერსის“ ბელფასტში დამარცხებაში მიიღო მონაწილეობა.

ესეც მთელი ეშმაკის დუჟინა. მისამართსა და დედის სახელებს უეფა არ იტყობინება.

ყულფი ხარიხაზე
ესპანეთს ზაჰოვიჩის ეშინია

ევრო 2000-ის დაწყებამდე ფავორიტად მიჩნეულმა ესპანეთის ნაკრებმა ყოველად უსახური მატჩი ნორვეგიასთან ატლეტიკოელი მეკარის ხოსე ფრანსისკო მოლინას უხეში შეცდომის გამო წააგო. გოლკიპერმა შეცდომა კაცურად აღიარა, ის კი არა, თავის მოკვლაც კი გაიფიქრა: „უხეშად შევცდი... როცა ბურთი ბადეში დავინახე, რა მექნა, არ ვიცოდი. გავიფიქრე, ხარიხაზე თავს ჩამოვიხრჩობ-მეთქი. მადლობა თანაგუნდელებს, რომ გვერდში ამომიდგნენ და გამამხნევეს. ასე რომ არ ყოფილიყო, მერწმუნეთ, ალბათ მართლა თავს მოვიკლავდი. მრცხვენია ბიჭებისა, ჩემს თავზე ძალიან გაბრაზებული ვარ“.

მოლინა აღსარებას მორჩა და იმ აზრსაც შეეგუა, რომ ხოსე ანტონიო კამაჩო ნაკრების კარის დაცვას ან სანტიაგო კანისარესს, ანაც ყმაწვილკაც იკერ კასილიასს ანდობს. ალბათ ასეც იქნება.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ კვირას ხომ ჯგუფის მეორე, გადამწყვეტი მატჩია სლოვენიის ნაკრებთან. ესპანელები უცნობ მეტოქედ თვლიან ექსიუგოსლავიელს. „სიმართლე რომ ვთქვა, სლოვენიელებზე არც ერთს წარმოდგენა არ გვაქვს, მათ წინააღმდეგ არასოდეს გვითამაშია, მხოლოდ ერთი ვიცით, ძლიერი ფეხბურთელი ჰყავთ — ზლატკო ზაჰოვიჩი, დანარჩენს თავად შეხვედრა გვიჩვენებს. ჩვენ ვნახეთ მათი თამაში იუგოსლავიასთან, ჩინებული შთაბეჭდილება დატოვეს“ — თანაგუნდელთა სახელით ენაწყლიანობდა ხუან კარლოს ვალერონი.

— ისინი იუგოსლავიას 3:0 უგებდნენ, ეს კი რაღაცას ნიშნავს. ჩვენ მათ თამაშს უფრო დაწვრილებით გავაანალიზებთ. ეტყობათ, ძალიან ტექნიკურები არიან და მათთვის ბურთის ართმევა ძნელი იქნება — თქვა ფერნანდრო იერომ. ვეტერან ფეხბურთელს ბასკი ისმაელ ურსაისიც ეთანხმება: „ძნელი მატჩი გველის, იუგოსლავიური სკოლაგავლილები არიან, ტექნიკურნი და ჰყავთ ზაჰოვიჩი, საკმაოდ ავტორიტეტიანი ფეხბურთელი, ამ მატჩში ყველაფრის გაღება მოგვიწევს“.

გიორგი ვაშაკიძე

ბანკეზი, ბრანწეზი...

დანიის ნაკრების ქომაგთა ერთი ჯგუფი ბელგიაში ევრო 2000-ის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავიდა. წინასწარ დაჯავშნული ბელეთების შესაძენად სკანდინავიელებმა ადგილობრივი ფრანკების, ბელგიური ფულის ერთეულის გადახდა განიზრახეს, მაგრამ სალაროში კუპიურები არ მიიღეს, ყალბიაო. საქმეში პოლიცია ჩაერია, რის შემდეგაც გაირკვა, რომ ერთ-ერთმა ბელგიურმა ბანკმა დანიელებს ბრუნვიდან სამი წლის წინ (!) ამოღებული ბანკნოტები შეაჩეჩა. ბელგიელებმა გულისხმიერება მაინც გამოიჩინეს და დანიელებს კრონები ახლა უკვე ნაღდ ფრანკზე გადაუცვალეს, ოღონდ მცირეოდენი დანაკარგით. და იცით, ეს საქმე რით დასრულდა? დაზარალებულებმა ბანკის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი აღძრეს და სრულიად სამართლიანადაც.

ცხოვრება ძნელია, ეშმაკობა იოლი, სიგიჟე პიროობითი

გიჭო, თენგიზ, შენ აქ რა გინდა?!

ილია ბაგუნაშვილი
ბრიუსელიდან

ბრიუსელის „მეფე ბოდუენზე“ იტალია ბელგია უნდა დაიწყოს. სტადიონის გარშემო დიდი ჟრიამულია. მიმდებარე ქუჩებში ძირითადად წითლები დადიან. ეს გასაგებიცაა, მიუხედავად იმისა, რომ კალენდარში მასპინძლად „სკუადრა აძურაა“ შეტანილი, სინამდვილეში პირიქითაა. თამაში ხომ ბელგიის დედაქალაქში ტარდება.

მინდა მოგახსენოთ, რომ ყველაზე ლამაზად აქაური ფანები იკაზმებიან, ესეც ალბათ, მათი მასპინძლობით აიხსნება. სხვა გუნდების გულშემატკივრებს ხომ მაისურებისა და დროშაპლაკატების წამოღება უმეტესად შინიდან უხდებათ, ბელგიელებს კი თამაშის დილას, მაღაზიაში შეუძლიათ ყველაფრის შეძენა.

და აი, სტადიონს „წითელი ეშმაკების“ მხარდამჭერნი შემოჯარვიან. მათ წითელი მაისურები აცვიათ, თეორწითელი საგანგებო, მაღალი ქუდები ახურავთ და ხელთ სხვადასხვა ზომის გასაბერი სამკაპები უპყრიათ (აბა, რისი ეშმაკები არიან), ერთი ქომაგი კი სულაც ეშმაკად გადაცმული შემეფეთა: წითელი, შემოტმასნილი კომბინეზონით, თავზე პატარა რქებით. ხელში, ცხადია, სამკაპა.

ასე, ეშმაკობა-ეშმაკობით ვუვლი სტადიონს,საჩემო შესასვლელისკენ მივდივარ და ერთ-ერთ ჭიშკართან ლურჯებს ვხედავ. დაახლოებით ხუთნი არიან, იტალიის მაისურები აცვიათ. ასეთები, ბუნებრივია, სხვებიც მრავლად იყვნენ და მათზე არ შევჩერდებოდი, რომ არა ერთი გარემოება. მიახლოებისას ფრანგული საუბარი ჩამესმა. შევყოვნდი და მივხვდი, ისინი იტალიური წარმოშობის ბელგიელები იყვნენ ისტორიული სამშობლოს მხარდასაჭერად შემართულნი. გარშემო წითელმაისურიანებს ბუნებრივად ელაპარაკებოდნენ, იტალიურად კი, მეც ვიგრძენი, აქცენტით გაჰყვიროდნენ რაღაცეებს.

საერთოდ როგორი ქვეყანაა ეს ბელგია? უფრო სწორედ, რა რჯულის ქალაქია ბრიუსელი? საკმაოდ ჭრელი. ყველა იერის ადამიანს გადააწყდებით. ხშირად გვერდით ისეთი გარეგნობის კაცი ჩაგივლით, მოგინდებათ შესძახოთ. ბიჭო, თენგიზ შენ აქ რა გინდა, მაგრამ ისე ჩააფრანგულებს, რომ ცივად გაშორდებით. მრავლად არიან ზანგები, თუმცა თვალშისაცემია ბევრი მათგანის ინტელიგენტურობა. ყველაზე მეტნი კი მაინც არაბები გახლავან. ნებისმიერი პატარა მაღაზია არაბებისაა.

თუმცა, რა დროს მაღაზიაა, ჩვენს დროში მაღაზიით ვის გააკვირვებ. თანაც გაგანია ევროპის ჩემპიონატია და მაღაზიამ კაცი შეიძლება გააღიზიანოს კიდეც. თუმცა, შეიძლება ევროპის ჩემპიონატიც აღიზიანებს ვინმეს. მაგალითად, ამ კაცს, კაფეში რომ ჩამომჯდარა და წიგნში თავი ჩაურგავს. შეხედეთ, რა საინტერესო ვინმეა: ცერა და საჩვენებელი თითების გარდა ყველაზე ვეება ვერცხლის ბეჭედი ჩამოუცვამს, მზის ქუდი ხურავს, მაგრამ მოსაფხანად რომ მოიხადა, გადაპარსული თმა და უკან დატოვებული, შეკრული კიკინა გამოუჩნდა. აცვია ჯინსი, ჟილეტი, უკეთია სათვალე, ყურებზე ყვითელი „ნაუშნიკები“ მოურგია, სკამთან ძაღლი ჰყავს მიბმული, ერთი ჭიქა რაღაც აუღია, კალამი დაუჭერია და წერს. კითხულობს და წერს. მუშაობს, აზრებშია ჩაფლული. ნეტავ რა წიგნია? ვხედავ, მხატვრობაზეა რაღაც, მგონი, რემბრანზე უნდა იყოს. და როგორ გგონიათ, რა ხნისაა, ეს ადამიანი? სამოციდან სამოცდაათამდე იქნება.

აი, დიდებული მაგალითი, იმისა, რომ სიგიჟე პირობითი ცნებაა. ეს კაცი თბილისში მამალი გიჟი იქნებოდა, ბრიუსელში კი, მგონი, ხელოვნების მეცნიერებათა დოქტორი უნდა იყოს. თუ არადა ნაღდად მწერალია.

მაგრამ, ევრო 2000-ს სულ არ ანაღვლებს, რას ფიქრობს ეს პატიოსანი ადამიანი მასზე. იგი თავისი გზით მიდის. ნებისმიერ წამს დაუყვევით ტელეარხებს და რომელიმეზე მაინც წააწყდებით სიუჟეტს ევროპის ჩემპიონატზე, თუნდაც დილის 8 საათი იყოს. აქ ყველა ენაზეა მაუწყებლობა, ფრანგულზე, ფლანდრიულზე, ჰოლანდიურზე, ინგლისურზე.

ევროპის ჩემპიონატი, ცხადია, ქალაქშიც იგრძნობა. ან ვინმე ქომაგს გადააწყდებით, ანაც მეტროში მავანი „კამპიონეს“ თუ დაიანა როსის I WILL SURVIVE-ს წაიღიღინებს. აქ, ცენტრში მოწყობილი ევრო 2000-ის საგანგებო და ჩვეულებრივ მაღაზიებში გასაყიდად გამოტანილ თვალისამჭვრელებელ გულშემატკივართა რამე-რუმეებს აღარ ვახსენებ, თუმცა, ვატყობ, კალამი ისევ მაღაზიისკენ გამექცა...

და მაინც, ყველაფერზე მთავარი თავად ფეხბურთია, თვით ევრო 2000-ზეც კი. რას ვგულისხმობ? რას და, ბრიუსელში, ჩვენი საცხოვრებლის წინ პატარა ბაღია ლამაზი მოლით, სადაც ბავშვები, ძირითადად, ფრანგულად მოლაპარაკე არაბები, ნიადაგ ბურთს დასდევენ. მათ არ ანაღვლებთ, რა ხდება იმ დროს ტელევიზორში, იქნებ ჰოლანდიელების სასარგებლოდ კოლინა ბოლოწამს პენალტს ნიშნავს, იუგოსლავიელები სლოვენიელებს ანგარიშს უთანაბრებენ ან იტალიას ზეიზედ მეორე თამაშში მესამე გოლს არ უთვლიან. მათთვის ყველაფერი სულერთია, ბურთის, საკუთარი გოლის და თამაშის გარდა.

მაგრამ, მგონი, ყველაფერი ბატონი ბ. მბოკამბანზასათვისაც სულერთი უნდა იყოს. ასე განსაჯეთ და, თავად ფეხბურთის ჩათვლით. ამ ჩვენს სადარბაზოს მეზობელს მხოლოდ საფოსტო ყუთზე დაწერილი ინიციალით და გვარით ვიცნობ, მაგრამ ამოვიჩემე და ვამტკიცებ, მაგას ფეხბურთი ეყვარება-მეთქი. ისე კი, ვინ იცის, ათი წლის მერე ბელგიის ნაკრებში მავანი მბოკამბანზა გამოჩნდეს, ბატონი ბოს ვაჟი.

რა ვიცი, რა ვიცი. ძნელია ცხოვრება.

ახლანდელი ქომაგობა ლამის კარნავალს დაემსგავსოს

REUTERS სურათი



ბექემი: ჩემს ბრუკლინს რაღას ერჩიან?!

პოუ, შორს თამაშიდან!

ბეისბოლისკეპიანი ვიქტორია ადამსი პორტუგალია—ინგლისის თამაშზე „შეიპარა“ და თუმც უნდოდა უწინარი ყოფილიყო, მავანი ფოტორეპორტიორის იარაღმა იგი მაინც დააფიქსირა დედ-მამას შორის მჯდარი. უყვარს პოშს ფეხბურთი და მისი ქმარი თუ თამაშობს, მაშინ საერთოდ... გერმანიასთან შეხვედრაზეც უნდოდა წასვლა, მაგრამ მეუღლეს უთხოვია, საშიშია, შინ დარჩიო. მართლაც ასეა, პირველი წაგების შემდეგ, ფანების ჯგუფმა, ტრადიციულად დევიდ ბექემი ამოირჩიეს და გასახდელისკენ მიმავალს რამდენიმე მუქარა სტყორცნეს. აი, მათი შეინაარსი: „ნეტავ, შენი ბავშვი კიბოთი მოკვდებოდეს“, „ჩვენ შენს პატარას მოვკლავთ“ და მისთანები. ფეხბურთელი, ბუნებრივია, გაცოფდა, რაც შუათითის მაღლა შემართვაში გამოიხატა. ბექემი მოსალოდნელ სანქციებს გადაურჩა და ახლა გერმანელებთან მატჩისთვის ემზადება, ოღონდ ღმერთმა ნუ ქნას, ბრიტანელებმა ისიც წააგონ. მაშინ ბექემს ურჩევნია, წრუწუნად იქცეს და სოროში შეძვრეს, თუ იქაც არ მიაგნეს. ის მაინც მამაკაცია და რამეს მოახერხებს, ვიქტორიას ტრიბუნაზე ყოფნა კი ამ შემთხვევაში, უკიდურესი რისკია და ბექემის თხოვნაც ამას ემყარება. მომღერალიც, ეტყობა, არ გაჯიუტებულა, უთქვამს თამაშის გამო თავის წახდენა უაზრობააო. „შეხვედრას ის, ალბათ ტელევიზორში ნახავს“ — თქვა ადამსის პრესატაშემ.

ვიქტორიას ტრიბუნაზე ყოფნა სახიფათო გახდა

დროა, გერმანიას მოვუგოთ

ევროპის ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში პორტუგალიასთან წარუმატებლად თამაშის შემდეგ, ინგლისის ნაკრების ფორვარდ ალან შირერს ბევრი აკრიტიკებს. ფიქრობენ, რომ გუნდის კაპიტანმა გერმანელების წინააღმდეგ, შესაძლოა თავისი უკანასკნელი სანაკრებო მატჩი ჩაატაროს. თუმცა თავად შირერი ჯერჯერობით ფარ-ხმალს არ ყრის და აცხადებს: „არ ვნერვიულობ. შესაძლოა, ინგლისის ნაკრებში ბოლო მატჩი ჩავატარო. არ ვიცი, ასე რატომ უნდა მოხდეს. ბევრი მკიცხავს, თუმცა მათ კრიტიკას არ ვეხმაურები, თუ გერმანიას მოვუგებთ, პასუხს არც მაშინ გავცემ.“

დღეს შარლერუას შეხვედრამ ბევრი რამ უნდა გადაწყვიტოს, პორტუგალიასთან მარცხმა ინგლისს უკან დასახევი გზა მოუჭრა, აქ უკვე მეოთხედფინალის საგზურის დაკარგვაზეა საუბარი, ინგლისი — გერმანიის ისტორიული დაპირისპირებაც ყველაფერს ორმაგად ძაბავს. ინგლისელი ჟურნალისტები ხშირად იხსენებენ 1990 წლის მსოფლიოს და 1996 წლის ევროპის ჩემპიონატებს, გერმანიამ ინგლისი ორჯერვე დაჯაბნა და ტურნირის მიღმა დატოვა.

მომავალ მატჩზე შირერი ამბობს: „ყველა ინგლისელს უნდა, რომ გერმანიას მოვუგოთ, ამას თითოეული ფეხბურთელი გრძნობს. 1990 და 1996 წლების მარცხი არავის დავიწყებია. მაშინ გერმანელებს მართლაც გაუმართლათ, ჩვენ კი ბედმა გვაქცია ზურგი, ორჯერვე უნდა მოგვეგო, მაგრამ... აღარავის ეშინია, რომ რაც ადრე მოხდა, ახლაც იგივე განმეორდება. დროა, კიდევ უფრო გაერთიანდეთ, ერთ მუშტად შევიკრათ და დავამტკიცოთ ის, რაც ნამდვილად ძალგვიძს. პორტუგალიასთან მარცხი დასანანია, მაგრამ საკუთარი თავის რწმენა არ დაგვიკარგავს. დროა, გერმანიას მოვუგოთ, ახლა ჩვენი ჯერია“.

მტრები და მეგობრები

გერმანიის ნაკრების მეორე მწვრთნელი, ჰორსტ ჰრუბეში გუშინწინ სააგენტო „როიტერს“ ესაუბრა. იჯდა ეს 49 წლის ქერა გერმანელი ჟურნალისტის პირისპირ და იმას კი არ ამბობდა, შაბათს ისტორიულ მტრებთან, ინგლისელებთან ბრძოლა გველის და ასე და ასე ვაპირებთ მოქცევასო, პირიქით, ერთ ინგლისელზე იმისთანა თბილ სიტყვებს აფრქვევდა, თქვენი მოწონებული. საუბარია კევინ კიგანზე. გერმანელთა „სათადარიგო“ და ალბიონელთა ძირითადი მწვრთნელები ახალგაზრდობაში კაი დოსტები იყვნენ, ორი წელი „ჰამბურგში“ ერთად უთამაშიათ და სწორედ იმ კეთილ დროს შეეხო ჰრუბეში. „კევინი დიდებული პიროვნებაა — თქვა გერმანელმა — ჰამბურგში ორი წელი ერთად ყოფნისას ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება არაჩვეულებრივი იყო. მე იგი ყოველთვის მომწონდა თბილი გულისა და კიდევ სხვა ღირსებათა გამო, ხოლო გერმანელ ფანებში დღესაც არაერთს იპოვით, მისი სახელის ხსენება რომ აღაფრთოვანებთ.“

KICKER

1979 წელს ჰორსტ ჰრუბეში (ზედა რიგი, მარცხნიდან მეორე) და კევინ კიგანი (ქვემოთ, მარცხნიდან მესამე) „ჰამბურგში“ თანაგუნდელები იყვნენ. მაშინ იყო, ჰამბურგელებმა ჩვენი „დინამო“ ჩემპიონთა თასს რომ ჩამოაცილეს

მოკლედ, სიმჯათია არსებობს, თუმცა სუფთა საფეხბურთო თვალსაზრისით მათ ბევრი რამ როდი აკავშირებთ. ჰრუბეშის უდიდესი ზეობანი, გერმანიის სამგზის ჩემპიონობა და, რაც მთავარია, ევრო 80-ზე გერმანია — ბელგიის ფინალში შეგდებული ორი გადამწყვეტი გოლი კიგანთან არაფერ შუაშია. ეს ისე, ცნობისთვის, გუშინ კი ჰრუბეშსა და კიგანს ერთმანეთისთვის ხელის ჩამორთმევის საშუალება ჰქონდათ: ინგლისელებმა და გერმანელებმა შარლერუას მინდორზე წაივარჯიშეს. შეხვედრა უეჭველად გრძნობებით დამუხტული იქნებოდა, თუმცა, ცხადია, დღევანდელი დაპირისპირების შედეგზე იგი ვერანაირად იმოქმედებს. ისევ ჰრუბეშს მოვუსმინოთ: „კიგანმა ბევრი იშრომა და რიგიანი გუნდი შექმნა. მე მას სულ წარმატებას ვუსურვებ, ოღონდ არა შაბათ საღამოს.“

შაბათ საღამოს ისინი მტრები იქნებიან.

დავით გულუა

A ჯგუფი. II ტური. 17 ივნისი. 23⁴⁵

ინგლისი — გერმანია

შარლერუა. „კომუნალი“. მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

ბირჰოფის ტრავმა კანისთვის საჩუქარია

ინგლისელებმა ბუნებაში ვარჯიში ირჩიეს

„დარწმუნებული ვარ, ეს მატჩი უაღრესად საინტერესო იქნება და ორივე ქვეყნის მოსახლეობა დიდ სიამოვნებას მიიღებს.“ ეს სიტყვები გაერთიანებულ სამეფოში გერმანიის ელჩს, დოქტორ ჰანს ფრიდრიხ ფონ პლოეცს ეკუთვნის და რა მიხვედრა უნდა, ინგლისი — გერმანიის დღევანდელ შეხვედრას ეხება. დავუმატოთ, რომ გერმანელი დიპლომატის ეს ფრაზა მხოლოდ მცირე ციტატაა იმ წერილიდან, რომელსაც გაზეთ „სანში“ კარგა მოზრდილი ადგილი უჭირავს. ფონ პლოეტცი ფეხბურთის სპეციალისტი სულაც არ გახლავთ და ამდენად მისი მოსაზრებები ამ საკითხზე დიდად საინტერესო არც უნდა იყოს, მაგრამ იმის დასტურად, რომ დღევანდელ შეხვედრას ინგლისი, გერმანია და მთელი ევროპა მოუთმენლადი ელის, გამოდგება.

პორტუგალიასთან სამარცხვინო წაგების მერე „მიკი მაუსად“ წოდებულმა ინგლისელთა მწვრთნელმა განაცხადა: „მეტოქის შეტევებისგან თავი ვერ დავიცავით და ბლომად შრომა მოგვიწევს, რომ გერმანიასთან იგივე არ განმეორდეს. ჩვენ გვყავს ფეხბურთელები, რომლებსაც გერმანიის დამარცხება ძალუძთ. ამასთანავე გვაქვს უდიდესი სურვილიც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.“

ვის ანდობს კევინ კიგანი ეროვნული ღირსების დაცვას? იმავე ფეხბურთელებს, რომლებიც პორტუგალიის წინააღმდეგ ათამაშა, თუმც სასტარტო შემადგენლობაში ორი იძულებითი ცვლილებაა დაცვაში. ტრავმირებული არსენალელი ტონი ადამსის ნაცვლად ასევე არსენალელი მარტინ კიოუნი ითამაშებს, ისევე როგორც წინა შეხვედრის ბოლო რვა წუთში იყო. მეორე ცვლილება კი ნახევარდაცვას ეხება. სტივ მაკმანამანს დენის უაიზი შეცვლის. მიზეზი ამ შემთხვევაშიც ტრავმაა. გეხსომებათ, პორტუგალიასთან მატჩში 58-ე წუთზე რეალელმა ფეხი იტკინა და მაშინაც მის ნაცვლად „ჩელსის“ კაპიტანი შევიდა სათამაშოდ.

გერმანელების ამბავიც ვთქვათ. გუშინ ვწერდით, რომ ლოთარ მათეუსს მწვრთნელისთვის უთხოვია, ამდენმა კრიტიკამ დამღალა და ნაკრებიდან გამიშვიო. ერიხ რიბეკმა ეს თხოვნა შორს დაიჭირა და მათეუსი დღეს ინგლისელებს შეერკინება. მის მხარდამხარ ითამაშებს სებასტიან დაისლერიც, რომელიც თომას ლინკეს შეცვლის. ისე, ცოტა უცნაურიც კია, ლინკე მცველია, დაისლერი კი ნახევარმცველი. ჰერტელი ფეხბურთელისთვის მცველის ფუნქციების დაკისრება რა შედეგს მოიტანს, დღეს საღამოს გამოჩნდება.

დღეს ერიხ რიბეკი ინგლისში მოთამაშეზე ორი ფეხბურთელის გაყვანას აპირებს. მიდლსბოროელმა კრისტიან ციგემ პირველ ტურშიც ითამაშა, ლივერპულელი დიტმარ ჰამანი კი თომას ჰესლერს შეცვლის. მთლიანად განახლებულია გერმანელთა შეტევის ხაზი. რობერტო პაულო რინკის და ოლივერ ბირჰოფის ნაცვლად დევიდ სიმენის კარს კარსტენ იანკერი და ულფ კირსტენი შეუტევენ. ოლივერ ბირჰოფის ტრავმა მოსალოდნელზე სერიოზული გამოდგა და ის ჩემპიონატს დაემშვიდობა. გერმანიის ნაკრებისთვის ეს უდიდესი დანაკლისია, რაც ერიხ რიბეკმა სინანულით აღიარა.

და კიდევ, დღეს რამდენიმე საინტერესო ორთაბრძოლას უნდა ველოდოთ. ვინ ვის?

დევიდ ბექემი თუ კრისტიან ციგე? დიტმარ ჰამანის თქმით, გერმანელთა მთავარი ამოცანა ბექემის ჩაწოდებების გაუვნებლებაა. ეს კი კრისტიან ციგეს გარჯაზე იქნება დამოკიდებული. ისინი პრემიერლიგიდანაც კარგად იცნობენ ერთმანეთს.

ალან შირერი თუ ლოთარ მათეუსი? არის ასეთი ვერსიაც, რომ შესაძლოა, რიბეკმა მათეუსს და ნოვოტნის ადგილები გაუცვალოს. ყოველ შემთხვევაში, მათეუსის და შირერის დაპირისპირება გარდაუვალია. პირველ ტურში ორივე მათგანმა ცუდი შეფასება მიიღო და რეპუტაციის აღდგენას დღეს შეეცდებიან — ან ორივე კვლავაც ცუდად გაირჯება, ან ერთ-ერთს გაუმართლებს.

პოლ ინსი თუ მეჰმეთ შოლი? კევინ კიგანის აზრით, ბაიერნელი გერმანელთა ყველაზე სახიფათო მოთამაშეა. და თუ ბექემის შეჩერება ციგეს მოვალეობაში შედის, შოლისა პოლ ინსს დაეკისრება.

სოლ კემპბელი თუ კარსტენ იანკერი? ოლივერ ბირჰოფის არყოფნაში გერმანელთა მთავარი დამრტყმელი ძალა იანკერი იქნება. ამავე დროს ტონი ადამსის ნაცვლად დაცვის ბურჯი სოლ კემპბელი გახდება. ვინ ვის აჯობებს? ამაზე მატჩის საბოლოო შედეგი დიდად იქნება დამოკიდებული.

ოლივერ კანი თუ დევიდ სიმენი? მეკარეები შეხვედრის წინ და ბოლოს ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ. მინდორზე ახლო კონტაქტი მათ არ ექნებათ, მაგრამ დუელს კი ვერსად გაექცევიან. თითოეული მათი შეცდომა ეგებ საბედისწეროც აღმოჩნდეს.

დაბოლოს, ოლივერ ბირჰოფმა კაპიტნის სამკლავური ოლივერ კანს გადაულოცა. ესეც დაბადების დღის საჩუქარი — კანი გუშინწინ 31 წლის გახდა.

გიორგი დარჯანია

სავარაუდო შემადგენლობები

ინგლისი: დევიდ სიმენი; გარი ნევილი, მარტინ კიოუნი, სოლ კემპბელი, ფილიპ ნევილი; დევიდ ბექემი, პოლ ინსი, პოლ სქოულზი, დენის უაიზი; ალან შირერი, მაიკლ ოუენი

გერმანია: ოლივერ კანი; მარკუს ბაბელი, ლოთარ მათეუსი, იენს ნოვოტნი, სებასტიან დაისლერი; დიტმარ ჰამანი, იენს იერემისი, მეჰმეთ შოლი, კრისტიან ციგე; კარსტენ იანკერი, ულფ კირსტენი

ლოთარ მათეუსი (მარცხნივ) და კარსტენ იანკერი დიდი ბრძოლისთვის ეშზადებიან

ურთიერთშეხვედრები

ინგლისი 22 გერმანია

9	მოგება	8
5	ფრე	5
8	წაგება	9
38	ბურთები	29

10.05.1930	ბერლინი	3:3
4.12.1935	ლონდონი	3:0
14.05.1938	ბერლინი	6:3
1.12.1954	ლონდონი	3:1
25.05.1956	ბერლინი	3:1
12.05.1965	ნიურნბერგი	1:0
23.02.1966	ლონდონი	1:0
30.07.1966	ლონდონი	4:2დ.დ.(2:2)
1.06.1968	ჰანოვერი	0:1
14.06.1970	ლეონი	2:3დ.დ. (2:2)
29.04.1972	ლონდონი	1:3
13.05.1972	ბერლინი	0:0
12.03.1975	ლონდონი	2:0
22.02.1978	მიუნხენი	1:2
29.07.1982	მადრიდი	0:0
13.10.1982	ლონდონი	1:2
12.05.1985	მეხიკო	3:0
9.09.1987	დიუსელდ.	1:3
4.07.1990	ტურინი	1:1 (პენ.3:4)
11.09.1991	ლონდონი	0:1
19.06.1993	დეტროიტი	1:2
26.06.1996	ლონდონი	1:1 (პენ.5:6)

გამორჩეული მატჩები

ინგლისისა და გერმანიის ნაკრებები პირველად 1930 წელს ბერლინში შეხვდნენ ერთმანეთს. ამხანაგურ მატჩში ინგლისმა 3:0 მოიგო. მას შემდეგ 70 წელი გავიდა, ამ გუნდებმა ერთმანეთში სხვადასხვა დონისა და პრინციპულობის 22 შეხვედრა ჩაატარეს... ცხრაჯერ ინგლისმა მოიგო, რვაჯერ — გერმანიამ, ხუთი მატჩი კი ფრედ დასრულდა.

1938 წელი. გერმანია 3:6 ინგლისი

ფაშისტური გერმანიის დედაქალაქ ბერლინში ჩასულმა ინგლისის ნაკრებმა მასპინძლები 6:3 დაამარცხა. თუმც მატჩის წინ მოხდა ისეთი რამ, რისიც ცოტა ხნის წინ გარდაცვლილ ლეგენდარულ ინგლისელ ფეხბურთელს, სერ სტენლი მეტიუზს დიდხანს რცხვენოდა. ბრიტანელები აიძულეს, მატჩის დაწყების წინ ნაცისტური მისალმების ცერემონიალი ჩაეტარებინათ. ინგლისელთა ექსი გოლიდან ერთ-ერთი იმ დღეს სწორედ სერ სტენლიმ შეაგდო.

1966 წელი. ინგლისი 4:2 გფრ

EUROPEAN SOCCER

ჯეფ ჰერსტის (მარცხნივ) ამ დარტყმულს მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური გოლი მოჰყვა

30 ივნისი, „უემბლის“ სტადიონი, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი. ჯეფ ჰერსტის ჰეთ თრიქმა ინგლისის ნაკრებს ქვეყნის ისტორიაში პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოუპოვა. ბევრი იდავეს ჰერსტის მეორე გოლზე — ბურთი ხარიხას მოხვდა და ზედ კარის ხაზზე დაეცა, საბჭოელმა თანამსაჯმა ტოფიკ ბახრამოვმა გოლი ჩათვალა. იყო თუ არა გოლი? გერმანიის ნაკრების მეკარე ტილკოვსკიმ განაცხადა, რომ ბურთი აშკარად ხაზს გარეთ დაეცა, ამიტომ არბიტრს იგი არ უნდა ჩაეთვალა. თუმც დაზუსტებით ეს დღემდე ვერავინ გაიგო.

იმ მატჩის ძირითადი დრო კი 2:2 დასრულდა. გერმანელებმა ანგარიში 0:2-დან გაათანაბრეს. გოლები ჰელმუტ ჰალერმა და 90-ე წუთზე ვოლფგანგ ვებერმა გაიტანეს. დამატებით დროში ინგლისმა იმარჯვა. ჯეფ ჰერსტმა და მარტინ პიტერსმა კიდევ ორი შეაგდეს. ჯეფ ჰერსტი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში სამი გოლი გაიტანა.

1968 წელი. გფრ 1:0 ინგლისი

ქალაქ ჰანოვერში ინგლისი — გერმანია ამხანაგურ შეხვედრაში მეცხრედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ბუნდესლიკრებმა ბრიტანელებს პირველად მოუგო. ლეგენდარული ფრანც ბეკენბაუერის გოლი ერთადერთი და გადამწყვეტი აღმოჩნდა. გერმანიამ ნავსი გატეხა, ამის შემდეგ 13 შეხვედრაში ინგლისმა მხოლოდ ორჯერ მოიგო და ორჯერვე ამხანაგურ შეხვედრაში.

1970 წელი. გფრ 3:2 ინგლისი

წინა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში წაგების შემდეგ გერმანიამ ინგლისზე ჯავრი იყარა. ალან მიულერისა და მარტინ პიტერსის გოლებით მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები 2:0 იგებდნენ, მაგრამ ანგარიში ვერ შეინარჩუნეს და 2:3 წააგეს. დარჩენილ დროში გოლები ფრანც ბეკენბაუერმა, უვე ზეელერმა და გერდ მიულერმა გაიტანეს. ეს მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალი გახლდათ, რომელიც მექსიკის ქალაქ ლეონში ჩატარდა.

1972 წელი. ინგლისი 1:3 გფრ

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, რომელიც მაშინ ოლიმპიური სისტემით ტარდებოდა, გერმანიამ ინგლისი „უემბლიზე“ 3:1 დაამარცხა და ასპარეზობას გამოთიშა. საპასუხო მატჩი გერმანიაში ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე ფრედ, 0:0 დასრულდა. გერმანია ნახევარფინალში მოხვდა, საბოლოოდ კი ჩემპიონის ტიტულიც მოპოვა.

1990 წელი. გფრ 1:1 (4:3 პენ) ინგლისი

ტურინში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩის ძირითადი დრო 1:1 დასრულდა. გერმანელმა ანდრეას ბრემემ ინგლისელთა მეკარე პიტერ შილტონს ჯარიმა გაუტანა და თავისი გუნდი დააწინაურა, ანგარიში გარი ლინეკერმა გაათანაბრა. გამარჯვებული ვერც დამატებით დროში გამოვლინდა და გუნდებმა ერთმანეთს პენალტები დაურტყეს. გერმანიამ იმარჯვა და ფინალში მოხვდა, სადაც მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი არგენტინა 1:0 დაამარცხა და თასს დაეუფლა.

1996 წელი. გერმანია 1:1 (6:5 პენ) ინგლისი

ისევ „უემბლი“, ისევ გერმანია — ინგლისის დაპირისპირება. ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩი. შეხვედრის ძირითადი დრო აქაც ფრედ, 1:1 დასრულდა. ალან შირერმა ტურნირის მასპინძლები ადრევე დააწინაურა, თუმც შტეფან კუნცმა გაათანაბრა. ექვსი წლის წინანდელი განმეორდა, გამარჯვებულის გამოვლენას კვლავ თერთმეტმეტრიანების სერია დასჭირდა, გარეთ საუთგეიტს ნერვებმა უმტყუნა, მან პენალტი ვერ გაიტანა. გერმანელებმა გაიმარჯვეს. ფინალში მათ ჩეხეთი დაამარცხეს და ევროპის თასი თავად ინგლისის დედოფლისგან ჩაიბარეს.

EUROPEAN SOCCER

დღევანდელი მეტოქეების ბოლო მატჩი. ალან შირერის გოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

A ჯგუფი. II ტური. 17 ივნისი. 21⁰⁰

რუმინეთი — პორტუგალია

არენა. „ველოდომი“. მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

მთელი რუმინეთი ფიგუზე ფიქრობს

რუმინეთი და პორტუგალია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლშიც თანაჯგუფელები იყვნენ. მაშინ რუმინელებმა მეტოქე დაჯაბნეს — პორტუში 1:0, შინ კი ფრე. ის გამარჯვება რუმინელებს დღემდე ახსოვთ. ვიორელ მოლდოვანი: „მაშინ გეორგე ჰაჯი არ გვყავდა და მაინც მოვიგეთ, თან სტუმრად. ვფიქრობ, ახლაც ძალგვიძს, იგივე გავაკეთოთ“. მოლდოვანი ამას კი ამბობს, მაგრამ წელიწადნახევრის წინანდელ ამბავს დღეს რაღა მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით პორტუგალიელთა მიერ ინგლისის ძლევის შემდეგ.

ისე, ემერიხ იენეი ცდილობს, პირველ ტურში პორტუგალიელთა საოცარი გამარჯვების ამბავი მაინცდამაინც არ გააზვიადოს: „ცხადია, პორტუგალიელებმა ძალიან კარგად ითამაშეს. მაგრამ ის ანგარიში უფრო ინგლისელთა უხეშ შეცდომებზე მიგვანიშნებს. დარწმუნებული ვარ, ინგლისი პორტუგალიის დონის გუნდთან ფაქტობრივად მოგებულ თამაშს არასდროს წააგებს. უბრალოდ, ერთხელ რაღაც გაუგებრობა მოხდა“. უნდა ვივარაუდოთ, რომ რუმინელ მწვრთნელს გაუგებრობაზე საუბარი სასურველი ფსიქოლოგიური ფონის შესაქმნელად სჭირდება. ცხადია, ინგლისმა მართლაც ძალიან ცუდად ითამაშა, მაგრამ პორტუგალიასთან ხუმრობა რომ არ შეიძლება, ესეც ფაქტია.

იენეი თავის ტაქტიკურ ჩანაფიქრს არც მალავს: „პორტუგალიის ნაკრები რომ გატეხო, ფიგუ უნდა ჩაკეტო. მას პერსონალურ მეურვეს მივუჩენთ, ვინაც მას ერთი წამითაც არ მოშორდება. აქედან გამომდინარე, შესაძლოა გარკვეული ტაქტიკური ცვლილებებიც მოვახდინოთ. თუ საჭირო გახდა, სასტარტო შემადგენლობაშიც ერთიორ ახალ ფეხბურთელს დავაყენებთ“. ემერიხ იენეი მეტ კოზირს არ გვიჩვენებს. ზუსტ ტაქტიკურ სქემასა და ლუიშ ფიგუს მეურვეზე ის არ საუბრობს. თუმცა რუმინეთის ნაკრების სავარაუდო სასტარტო შემადგენლობაში წინა მატჩთან შედარებით არც ერთი ცვლილება არ არის.

ფიგუს გარდა რუმინელებს სხვა პორტუგალიელი ფეხბურთელებიც შეუქმნიან პრობლემებს. ვიორელ მოლდოვანმა თქვა, რუი კოშტას და ჟოაო პინტუს ფიგუზე არანაკლები მეთვალყურეობა სჭირდებათო.

ინგლისთან თამაშით დიდად კმაყოფილმა უმბერტუ კოელიუმ კი სასტარტო შემადგენლობაში ორი ცვლილება მოახდინა. მინდორზე არ გავლენ პაულუ ბენტუ და ჩემპიონატის ყველაზე ექსტრავაგანტური ფეხბურთელი აბელ შავიერი. ორივე მათგანი გადაღლილია. თუმცა პორტუგალიელთა ბანაკში ერთი სასიამოვნო ამბავიც მოხდა. პარმელმა პაულუ სოუსამ ტრავმა მოიშუშა. ის პაულუ ბენტუს შეცვლის. აბელ შავიერის ნაცვლად კი პორტუელი კარლოს სეკრეტარიუ ითამაშებს.

ერთი გადაქანცული ფეხბურთელი რუმინელებსაც ჰყავთ. ხუთშაბათს მათ ვარჯიშზე დამსწრეებმა შენიშნეს, რომ ადრიან ილიე სხვებისგან განცალკევებით ვარჯიშობდა. ემერიხ იენეიმ ჟურნალისტთა ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა და ვალენსიელზე თქვა: „ილიეს ძალიან მძიმე სეზონი ჰქონდა, ტრავმებმაც დატანჯა. გერმანიასთან შეხვედრის მერე მას დაღლა დაეტყო და სპეციალური პროგრამა შევუდგინეთ. ამაში გასაკვირი არაფერია“.

დაბოლოს, პორტუგალიამ, შესაძლოა გერმანიასთან ბოლო თამაში თავისთვის ფორმალობად აქციოს. ამისთვის უმბერტუ კოელიუს გუნდს დღეს მოგება სჭირდება და მეოთხედფინალისკენ გზაც გაეხსნება.

გიორგი დარჯანია

სავარაუდო შემადგენლობები

რუმინეთი: ბოგდან სტელია; კრისტიან კივუ, ლივიუ ჩობოტარიუ, გეორგე პოპესკუ, იულიან ფილიპესკუ; დან პეტრესკუ, კონსტანტინ გალკა, დორინელ მუნტეანუ, გეორგე ჰაჯი; ვიორელ მოლდოვანი, ადრიან ილიე

პორტუგალია: ვიტორ ბაია; კარლუშ სეკრეტარიუ, ჟორჟე კოშტა, ფერნანდუ კოუტუ, დიმაშ ტეიშეირა; ლუიშ ფიგუ, ჟოზე ვიდიგალი, პაულუ სოუზა, მანუელ რუი კოშტა; ჟოაუ პინტუ, ნუნუ გომეში

ურთიერთშეხვედრები

	რუმინეთი 10 პორტუგალია	
4	მოგება	4
2	ფრე	2
4	წაგება	4
9	ბურთები	10

REUTERS ერმელოდან

პორტუგალიელები: რუმინეთსაც დავამარცხებთ!

ეიო ახვლედიანი

წერილები აღმოსავლეთისკენ

ლილიდან

საცოდავი მოლინა... ცოტა დარჩა, ესპანელებმა სამშობლოს მოღალატედ შერაცხეს

ოდესღაც ეფენბერგისა და ბრიუსელისკენ

ცალფეხა სამძიმარი ნიგერვეგიასთან დამარცხებულ ესპანეთს

კარგა ხანია, მიეხვდი, დიდ ქალაქებში ფეხბურთი არ იგრძნობა. მადრიდსა და პარიზში ფეხბურთი უნდა ეძებო. თუ ბევრს ეცდები, ეგებ გადაანყდე კიდეც სადმე, კაფეს კუთხეში. გამონაკლისი ალბათ ლონდონია და ის ორი ქვეყანა, სადაც ამჟამად ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს.

თქვენი მოხეტიალე კორესპონდენტი კი გაჩხერილია ბრიუსელიდან ერთი სამატარებლო საათის მანძილზე ფრანგულ ქალაქ ლილში, რომელიც, ყველაფრის მიუხედავად, დონეცკს მოაგონებს.

მართლაც ძნელია, როცა კვირის დასაწყისში ლისაბონიდან მადრიდში ჩახვალ, მადრიდიდან პარიზში შევარდები და ცდილობ, საშაბათოდ ბელგიაში მოხვდე, სადაც შაბათს ინგლისელები და გერმანელები ხვდებიან ერთმანეთს.

ზემოთქმულს (დიდი ქალაქების შესახებ) არ უარვყოფ, თუმცა ის მაინც უნდა ვთქვა, რომ დღევანდელი თამაშის ექო პარიზამდე აღნევს. ოლივერ ბირჰოფისა და სამი ინგლისელის ტრავმა აქ სალაპარაკოდაა ქცეული. „ეკიპი“ კი ჩემპიონობის უპირველეს ფავორიტებად ჰოლანდიელებსა და ფრანგებს აცხადებს. ხოლო ამათ შემდეგ იტალიელებსა და პორტუგალიელებს. გერმანელთა და ინგლისელთა შეხვედრაში ნამდვილად არ ირკვევა ევროპის მომავალი ჩემპიონის ვინაობაო, ხუმრობენ ფრანგები.

ეგებ მკითხველს გადაჭარბებულიც ეჩვენოს ის ამბავი, რომ პირველი სამი რეპორტაჟი პორტუგალიის ამბებს მიეძღვნა. მაგრამ ლისაბონში ნაღდად იგრძნობოდა, რომ პორტუგალია რაღაცას მოახდენდა. პორტუგალიელებმა „რაღაც“ უკვე მოახდინეს, დღეს კი მეოთხედფინალისკენ უნდა წაიწიონ. ყოველ შემთხვევაში „ეკიპი“ დიდად არაფრად აგდებს იმას, რომ შესარჩევ ციკლში რუმინელებმა გადაუსწრეს ფიგუს და მის ამხანაგებს. „Portugal le Grand“ — დიადნიო, ასეთი იყო ამ პირველი გვერდის სათაური ორი დღის წინათ. ფრანგები ძალიან აქებენ ზიდანს და ანრის, თუმცა ყველაზე ხშირად ეკრანზე მაინც ბექემის თითი ჩანს, რომელსაც ოდესღაც ეფენბერგისა ერქვა.

მორიგ სკანდალში გახვეული უბედური ბექეზი ინტერვიუებს არ იძლევა. მის მაგივრად სხვები ლაპარაკობენ. ისეთი თავზეხელაღებული ჯენტლმენებიც კი, პოლ ინსი და დენის ვაიზი რომ გახლავან, ამბობენ, ჩვენც ენგრე მოვიქცეოდით, რა შუაშია დევიდის მანჩესტერელობა, აქ ეროვნული საქმისთვის ვართო. რა დაუყვირეს?

„შენი ცოლი ბოზია! შენი შვილი კიბოთი მოკვდება!“ — ინგლისელ ფანებს აქამდე არასოდეს უკადრებიათ მსგავსი სიტყვები ნაკრების ფეხბურთელისთვის. თანაც იმ თამაშის შემდეგ, რომელშიაც ბექემი ყველა თანაგუნდელს სჯობდა.

დევიდს თავისი კოხტაპრუწა ცოლისთვის უთხოვია, შარლერუაში ნუ ჩამოხვალ, ზედმეტი ნერვებისშლა აღარ მინდაო. ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია კი ჯენტლმენობისაკენ მოუწოდებს ფეხბურთელს. ბექემი კი კბილს კბილზე აჭერს და წარბშეკრული ვარჯიშობს. გუშინწინ თურმე შიშველი ფეხით ამუშავებდა საჯარიმო დარტყმას. გულში რა უდევს, ძნელი სათქმელია. თუმცა, ისიც დიდი საიდუმლოა, რა დაუშავა ბექზმა სამყაროს ისეთი, რომ თავისიანებმაც წყევლონ.

ოდესღაც ერიკ კანტონამ „ფრანგ ღორად“ მოხსენიებისთვის დაწიხლა „კრისტალ პალასის“ ფანი და ლამის ციხეში ჩაჯდა. ახლა ბექზის ჯერი დგება. მაგრამ თანაგუნდელს იაპ სტამი და ოლე გუნარ სოლსკიაერი ამხნევებენ. სტამი ამბობს, ცხოვრებაში არ შემხვედრია ასეთი უტეხი ვინმეო. დუაიტ იორკმა კი ავსტრალიიდან აფრინა ფაქსი — გამაგრდი, ძმაო, უარესებიც გვინახავსო.

ინგლისელთა პრობლემები და კევინ კიგანის საიდუმლო თათბირები ფეხბურთელებთან საერთოდ არ ადარდებთ იმ ყმაწვილებს, რომლებიც ბოლოსღა ვერ მოხვდნენ ნაკრებში. კერძოდ კი: ჯონათან ვუდგეიტს, კირონ დაიერს, რიო ფერდინანდს. ასევე, ჯოდი მორისსა და მაიკლ დაბერის. ეს ჯენტლმენები კიპროსის ზღვისპირეთში ლაღობენ, ილეშებიან და სახალხოდ სტრიპტიზობენ. ინგლის-პორტუგალიის თამაშისას ბარებში ტელევიზორს კი არ დაეძებდნენ, არამედ სათრობს. პლაჟიდან ბავშვები და ქალები გაუქცევიათ. ვუდგეიტს საცურაო კოსტუმი შემოუგლეჯია თავისი გოგოსთვის. დაიერის ერთ ძმაკაცს ჩაუხდია და ტრუსი თავზე დაუხურავს ვილაცისთვის. რიოს მოპედით აუმტვერებია ქვიშები, გინების კორიანტელიც ყოფილა... მაგრამ, თურმე, ახლოში ტრიალებდნენ „სანის“ ვერაგი რეპორტიორი და ერთი შენილბული პაპარაცო, ჰოდა, ერმაც, სიმართლე შეიტყო.

მე თუ მკითხავთ, „ეკიპი“ სულ ტყუილად იკავებს თავს იტალიელებზე წერისას. აი, ესპანეთი კი? წლევანდელ ნიგერიად ნორვეგია იქცა. როგორც ერთ ქართულ ლექსშია — ერთი ნაღველის ორი სახელი, ნიგერვეგია. ესპანელთა პირველ მარცხს მადრიდში შევესწარი. დიდი არაფერი. აქ ხალხი პრესას ელის ხოლმე. დილით კი დიდი ამბავი შეიქნა. მეკარე მოლინა (წლევანდელი სუბისარეტა) მინასთან გაასწორეს. ყველაზე მოქნილი დაცინვა ასეთი იყო: „აქამდე ნორვეგიას ჰყავდა ფრიტიოფ ნანსენი, მოგზაური და ეროვნული გმირი. ახლა ნორვეგიას ჰყავს მოლინა, ახალი ეროვნული გმირი.“

მადრიდში, მთავარ ტურისტულ ალაგას, პლასა მაიორზე 6 ათასი პესეტა ღირს „რეალის“ მაისურა. „ბარსასი“ მხოლოდ 4,5 ათასი. ეჭვად ვიცი, რომ ბარსელონაში პირიქითაა. მადრიდის ქუჩებში ძალიან ბევრ პატარა ბიჭს ნახავთ თეთრი მაისურით. უმრავლესობას ზურგზე „რაული“ ან „რედონდო“ აწერია. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ კაცს „ატლეტიკოსა“ და „რაიო ვალეკანოს“ არსებობა გადაავიწყდეს?

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ჩვენს ბაზრობულ ფეხსაცმელზე ლანჩა ამძვრა. გავახვიე „ელ პაისის“ ნახევში და ჩავიდე ქალაქურად უკანა ჯიბეში. გარინჩა თუ კოჭლობდა, მე რა მიჭირდა?

ოჰ, არ მეგონა, მეგობრებო, რომ მადრიდში მეჯღანეს გადავაწყდებოდი. ეს მეჯღანე თუ გოგო იქნებოდა, ხომ საერთოდ ვერ წარმოვიდგენდი. ბედია ყველაფერი, პირდაპირ დავეჯახე ჯიხურს. ათ წუთს ვიდექი ცალ ფეხზე შუა მადრიდში და ვუყურებდი, როგორ მუშაობდა ეს გოგო. ფული არაფრით გამომართვა, ცალი ლანჩის დაწებებაში რა უნდა ავიღოო.

მე ჩვენებური მეტიჩრობით ვუთხარი მადლობა — მუშტი შევკარი და შევძახე: „რაულ გონსალეს!...“ მოიწყინა და ნელა გააქნია თავი.

„ნო, მოლინა“ — თქვა სიკვდილმისჯილივით.

„ატლეტიკო?“ — ვკითხე დარცხვენილმა და კიდევ უფრო დარცხვენილმა დამიქნია თავი.

აი, ასეა — ენას კბილი უნდა დააჭირო.

მადრიდი ისეთი ქალაქია...

თუმცა ესპანელები მხოლოდ ფეხბურთის გამო არ იწყენენ. ამ დღეებში მადრიდის მოედანზე ხარმარქებზე წამოაგო განთქმული ლუის ფრანსისკო ესპლა. ესპლა გადარჩა და საავადმყოფოდან პირდაპირი ეთერით არიგებდა ინტერვიუებს. ხმა კი ჰქონდა გაბზარული, მაგრამ თავი ყოჩაღად ეჭირა. უფრო ყოჩაღად, ვიდრე როტერდამის მინდორზე მოძუნძულე მის თანამემამულეებს.

თუმცა, ჯერ არაფერი დამთავრებულა, ჯერ მხოლოდ დაიწყო.

ფეხბურთელებმა მეძავებს კაცები წაართვეს

მოამორეთ ეს ფეხბურთი... ევროპის ჩემპიონატმა ჰოლანდიელი მეძავები ძალიან აზარალა

ხუთშაბათი დილაა. მოწყენილობაა — ჩემი დღიურის 15 ივნისის ჩანაწერები ცნობილი ანეგდოტის პერსონაჟის სიტყვებით იწყება. მიზეზიც მაქვს: ამ დღეს ერთადერთი მატჩი გაიმართა, ერთობ უსახური, უკბილო და მოსაწყენი.

ევრო 2000-ის პირველი უგოლო ფრე. თურქების მიერ ევროპის ჩემპიონატებზე აღებული პირველი ქულა. თითქოს გამორჩეული ამბებია, მაგრამ განსაკუთრებული მაინც არაფერია.

თურქეთისთვის ანთებული გულებიო, გათურქებული მაზი იზეტიო, „გალათასარაიმ" უეფას თასი მოიგოო. არაფერი ჭრის. მარტო გულის ანთება საქმეს რომ შეელოდეს, ფეხბურთის თამაშის ცოდნა საერთოდ აღარ იქნებოდა საჭირო. იზეტი იქნებ პრემიერლიგაში რაღაცას ახერხებს, მაგრამ კონტინენტზე გადმოსული რა ხვითოც იყო, კარგად ვნახეთ. „გალათასარაი"... ტაფარელი, პოპესკუ, კაპონე და ჰაჯი თურქეთის ნაკრებში რომ ყოფილიყვნენ, იქნებ მართლა გამოსვლოდათ რამე, მაგრამ... ეეე, ეფექტი, დაბრუნდებიან ბიჭები სტამბოლში, სადაც ისქანდერ-ქაბაბი და ფეჰლავა ელით. ისე, ესენი ძალიან კარგი რამაა, თუ საშუალება გექნათ, მიირთვით და ისიამოვნეთ.

ევრო 2000-ის დაწყებიდან ჰოლანდიის მიწა-წყალი ჩხუბებისა და არეულობებისგან შეურყვნელი იყო. თუკი რამ ხდებოდა — მეზობელ ბელგაში. ახლა კი ჰოლანდიაც წაიმურდლა: ეინდჰოვენის მთავარ მოედანზე თურქებმა, შვედებმა და ადგილობრივმა პოლიციელებმა ერთად იჩხუბეს.

ეინდჰოვენში 10 ათასი თურქი და 6 ათასი შვედი ჩავიდა. ჰოლანდიელი ძალოვანები შიშობდნენ, ემანდ ინგლისელმა ფანებმა შვედების ფორმა არ გადაიცვან და თურქებს ასე შენიღბულად არ დაერიონო. ამგვარი რამ ვერავინ შენიშნა, თუცმა თავსატეხი და თავის ტეხვა მაინც იყო.

თურქეთ-შვედების დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ეინდჰოვენის მთავარ მოედანს რამდენიმე ასეული მთვრალი შვედი ღრიალ-სიმღერით მიადგა. ეინდჰოვენის მერიამ თადარიგი წინასწარ დაიჭირა და ბარებში მხოლოდ მსუბუქი ლუდის გაყიდვა ბრძანა. შვედებმა ჭკუა იხმარეს და სუპერმარკეტებს მიაწყდნენ, სადაც ნორმალური და მაგარი ლუდი იყიდებოდა. ქალაქის მამები გვიანღა მიხვდნენ ამას და გამყიდველები გააფრთხილეს, თითო სულზე სამი ბოთლის მეტი არ გასცეთო. თუმცა, კაცს დათრობა უნდოდეს და რომელი შეზღუდვა დააბრკოლებს?!

ამასობაში ორასი თურქი იმავე მოედნის ერთ-ერთ კუთხეში შეეჭიდა, დოლების ბაგა-ბუგი ატეხეს, საყვირები აეჭყვიტინეს და ეროვნული დროშებიც ააფრიალეს. ერთ-ერთმა გულშემატკივარმა მოედნის ცენტრში დადგმულ ქანდაკებაზე თურქეთის დროშის შემოხვევა დააპირა...

ჩხუბის დაწყებას ერთი ნაპერწკალიღა უნდოდა. მანაც არ დაიგვიანა, ოღონდ დიდი ალის სახით. ვიღაცამ ააღებადი სითხით სავსე ბოთლი ისროლა და დაიწყო ცემა-ტყეპა. გულშემატკივრები ერთმანეთსაც ურტყამდნენ და პოლიციასაც, პოლიციის ხელკეტები და ფარები ეროვნების განურჩევლად ეხეთქებოდა მოჩხუბართა სხეულებს. ათიოდ წუთში ინციდენტი აღიკვეთა. ოთხი შვედი და სამი თურქი დააპატიმრეს. ერთი პოლიციელი მსუბუქად დაშავდა, მაგრამ იქვე უწამლეს და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება გააგრძელა. ის კი ვერ დაადგინეს, ჩხუბი რომელმა მხარემ წამოიწყო.

შფოთავენ ჰოლანდიელი მეძავები: დამთავრდეს მალე ევროპის ჩემპიონატი, თორემ კლიენტურა შემოგვაკლდა და უმუშევრები დავრჩებითო. ევრო 2000-ის დღეებში ფეხბურთის მოყვარულები საროსკიპოების ნაცვლად სტადიონებზე, ბარებში და გიგანტურ ტელეეკრანებთან მიდიან. ქალაქ კერკრადეს ერთ-ერთი ამნაირი დაწესებულების მენეჯერმა თქვა: „ამ დღეებში ფეხბურთელები და მეძავები ერთმანეთს კაცებს ეცილებიან. ეს უკანასკნელნი კი ფეხბურთელების ცქერას ამჯობინებენ".

უკმაყოფილონი არიან ამსტერდამის მეძავებიც. ჩვეულებრივი ტურისტები ამ დღეებში ფეხბურთის გულშემატკივრებმა შეცვალეს, რომელთა დიდი ნაწილი ინგლისელია. ამსტერდამის ბორდელებში კი ინგლისური კლიენტურა არ უყვართ: „ისინი მთვრალები მოდიან, არაფრის თავი აღარ აქვთ, იხმაურებენ, მიანგრ-მოანგრევენ აქაურობას და მერე მიდიან".

ჰაგაში კი საღამობით ყველა ფეხბურთს უყურებს. კლიენტურა ნაშუაღამევს აწყდება ბორდელებს, როცა მომსახურე პერსონალი ისვენებს. ამიტომ, ჰააგელი მეძავების უმრავლესობამ იმ ქალაქებს მიაშურა, სადაც ჩემპიონატის მატჩები იმართება, ნაწილი მხოლოდ შუადღისას მუშაობს, ხოლო ნაწილმა ტურნირის დამთავრებამდე სამკვირიანი შვებულება აიღო.

მსაჯობა განსაკუთრებული საკითხია ევრო 2000-ზე. დანიშნული თუ დაუნიშნავი თერთმეტმეტრიანები, ჩათვლილი თუ ჩაუთვლელი გოლები, გაძევებულნი და გაუძევებელნი — ეს ყველაფერი მსაჯებთანაა დაკავშირებული. იტალია — თურქეთის მატჩში შოტლანდიელი მსაჯის ჰიუ დალასის მიერ დანიშნულ პენალტზე უკვე იმდენი ილაპარაკეს, ეს თემა გაიცვითა კიდეც. უეფას მსაჯთა კომიტეტმა გაარჩია ეს სიტუაცია და ხუთშაბათს თავისი წევრის კენეტ რიდენის პირით შემოთვალა: „ხელის კვრა — ხელის კვრაა. ორი აზრი არ არსებობს — პენალტი იყო". შეგახსენებთ, რომ საუბარია-თურქი ოგიუნ თემიზჭანოღლუს მიერ იტალიელი ფილიპო ინძაგის წაქცევაზე

ერთი სიტყვით, კომიტეტმა დალასს გარჯა არ დაუწუნა და იუგოსლავია — ნორვეგიის მატჩის არბიტრადაც დანიშნა. რიდენმა ბელგია —შვედეთის მსაჯიც გაამართლა და აღნიშნა, რომ შვედი პატრიკ ანდერსონი სამართლიანად გააძევეს: „ფეხბურთელის მხრიდან ამგვარი სისასტიკე მიუღებელია და დაუსჯელი არ უნდა დარჩეს".

იტალიელ პიერლუიჯი კოლინას თავზე თმა რომ ჰქონდეს, აუცილებლად გასცვივდებოდა (ან გაუჭაღარავდებოდა) ამდენი კრიტიკისგან. ამ კაცმა ჰოლანდიას ჩეხეთის წინააღმდეგ პენალტი დაუდო, თანაც 89-ე წუთზე. ამის შესახებ ძალიან ბევრმა გამოთქვა თავისი აზრი, ქართველი მსაჯებიც კი გამოეხმაურნენ იტალიელის გადაწყვეტილებას. უმრავლესობა კოლინას ამტყუნებს, ხოლო უეფას სამსაჯო კომიტეტმა ნდობა გამოუცხადა და გერმანია — ინგლისის გაძღოლაც დაავალა. 40 წლის ფინანსისტს კრიტიკა სულ არ აღელვებს, პირიქით, გაკვირვებული კითხულობს — ტელევიზორში და გაზეთებში ხშირად რატომ ვჩანვარ, დავიჯერო, ჩემზე საინტერესო ვერავინ ნახესო?

კოლინა უარყოფს ოპონენტების აზრს, რომლებიც მას სისასტიკეში ადანაშაულებენ: „სულაც არ ვარ სასტიკი. მსაჯობისას გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება მიწევს და სწორედ ეს გადაწყვეტილებებია სასტიკი. ცხოვრებაში უსამართლოდ არაფერი გამიკეთებია, ამდენად, ფეხბურთელებს ჩემი არ უნდა ეშინოდეთ".

გაირკვა ნორვეგიელი მცველის ჰენინგ ბერგის ბედი. ესპანეთთან მუხლნატკენი ფეხბურთელი ჯგუფური ეტაპის დარჩენილ ორ შეხვედრას გამოტოვებს. ნორვეგიელთა ექიმმა შვედეთიდან საგანგებო მედიკამენტები გამოიწერა და მათი საშუალებით სურს ბერგის ფეხზე დაყენება. მედიკოსთა მთელი ძალისხმევა იქითკენაა მიმართული, რომ ფეხბურთელი მეოთხედფინალისთვის ჯგუფურ ეტაპის დარჩენილ ორ შეხვედრას გამოტოვებს. ნორვეგიელთა ექიმმა შვედეთიდან საგანგებო მედიკამენტები გამოიწერა და მათი საშუალებით სურს ბერგის ფეხზე დაყენება. მედიკოსთა მთელი ძალისხმევა იქითკენაა მიმართული, რომ ფეხბურთელი მეოთხედფინალისთვის ჯანმრთელად იყოს. ამჟამად ბერგი ველოსიპედით სეირნობს, ცურავს და სამკურნალო პროცედურებზე დაიარება. მწვრთნელი ნილს იოჰან სემბი კი მის შემცვლელს არჩევს. მეოთხედფინალიო, კი ამბობენ ნორვეგიელები, მაგრამ ისიც უწყიან, რომ გუნდის ბომბარდირ ტორე ანდრე ფლოს 560 წუთი გოლი არ გაუტანია (ნაკრებში თამაშები იგულისხმება). ეს კი დაახლოებით შვიდი მატჩია.

სლოვენიელმა ზლატკო ზაჰოვიჩმა, იუგოსლავიას 34 წუთში ორჯერ რომ გაუტანა, ბევრ ევროპულ გუნდს აღუძრა დასაკუთრების სურვილი. ხუთშაბათს სლოვენიის ნაკრების პრესატაშემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „ფიორენტინას" სურს ზაჰოვიჩი „რომაში" გადასული გაბრიელ ბატისტუტას შემცვლელად წაიყვანოს. მანამდე კი სლოვენიელს „ტოტენჰემმა" დაადგა თვალი და დღესაც მზადაა, მის სანაცვლოდ სამი მილიონი დოლარი გადაიხადოს.

ახლა უკვე ხუთშაბათის საღამოა. მაინც მოწყენილობაა.

გაიოზ დარსაძე

სპეციალისტის ფრო

ალბილი შესაძლებელია, შვედეთის და თურქეთის უგოლო ფრე ბევრს უინტერესოდ ჩაეთვალა, მაგრამ იმის უარყოფა კი გაუჭირდებოდა, ეს შეხვედრა უალრესად უშეღავათო რომ იყო.

დაძაბულობაზე კარგად მეტყველებს ერთბაშად იზეტის, ოგიუნის, უმითისა და კენეტ ანდერსონის ტრავმა, რამაც მათ თამაშის გაგრძელების საშუალება არ მისცა. უანდერსონოდ დარჩენილ სკანდინავიელთა შეტევებს კი მეორე ტაიმში გვარიანად მოაკლო სიმწვავე.

შვედეთ — თურქეთის მატჩი, რომელიც ორივე გუნდისთვის გადამწყვეტი იყო, ჩემპიონატის ერთ-ერთი ნამდვილად ყველაზე ცუდად საცქერი შეხვედრა გამოდგა.

ეინდჰოვენში წაგებულს მეოთხედფინალში გასვლის არანაირი შანსი არ რჩებოდა, ფრე კი შვედეთის და თურქეთის თანაჯგუფელ იტალიას უხსნიდა მომდევნო ეტაპისკენ გზას და ბელგიის ნისქვილზეც ასხამდა წყალს.

ამიტომაც ორივე გუნდი მხოლოდ გამარჯვებას ესწრაფვოდა, მაგრამ სურვილი, ცხადია, ერთია, შესაძლებლობა კი მეორე.

თანაბარ თამაშში დასაწყისიდანვე ძირითადად მოედნის ცენტრში იბრძოდნენ მეტოქენი.

ორივე გუნდმა 4-4-2 ტაქტიკური სქემით ითამაშა, თუმცა თურქი თავდამსხმელი არიფი ზოგჯერ უკან იხევდა ხოლმე.

თურქები უფრო მეტად ფლანგებიდან ცდილობდნენ შეტევას, მაგრამ მათი გოლით დაგვირგვინებას ვერ ახერხებდნენ, რადგან შვედი მცველები კარგად მეურვეობდნენ მეტოქის თავდამსხმელებს, ჰაქან შუქურსა და არიფ ერდემს.

პირველი ტაიმის შუაში უკვე შვედებმა გაამწვავეს იერიშები: კენეტ ანდერსონმა, ლარსონმა და ლიუნგბერგმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს. მოგვიანებით კი მილდის შესანიშნავ პასს გოლიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა, მაგრამ ლიუნგბერგს მის გამოყენებაში მცველმა შეუშალა ხელი.

თვალში საცემი გახლდათ ორივე გუნდის ფრიადზე დასწავლილი „საშინაო დავალება" — აუტიდან ბურთის შორს სროლა. თურქებიც და შვედებიც უპრობლემოდ აწვდენენ ბურთს გვერდითი ხაზიდან საჯარიმომდე, რაც დამცველი გუნდისთვის მუდამ სახიფათოა.

მეორე ტაიმში, პირველისგან განსხვავებით, ორივე გუნდი სწრაფად გადიოდა ცენტრს, მაგრამ შვედეთსაც და თურქეთსაც დაღლა დაეტყო, რის გამოც წუნიანმა გადაცემებმა იმატა და ბურთის უმიზეზოდ კარგვა გახშირდა. სამაგიეროდ, უშეცდომოდ ითამაშეს მეკარეებმა ჰედმანმა და რუშთუმ და ჩემპიონატის პირველი უგოლო მატჩი რომ ვიხილეთ, სავსებით კანონზომიერი იყო.

არ შეიძლება, ჩვენი მეზობელი ქვეყნის ფეხბურთის სწრაფი პროგრესი არ აღინიშნოს. თურქებმა დიდი ფული ჩადეს სპორტის ამ სახეობაში, რითაც გააძლიერეს საკუთარი კლუბები და ჩემპიონატი, მიიწვიეს სახელიანი უცხოელი მწვრთნელები და აგერ, „გალათასარაი" უეფას თასს დაეუფლა, ქვეყნის ნაკრები კი ზედიზედ მეორედ თამაშობს ევროპის ჩემპიონატზე. მართალია, სანაკრებო დონეზე თურქთა პროგრესის ტემპი ახლა ძველებურად მზარდი აღარაა, მაგრამ ეს სავსებით ბუნებრივია. და განა ის ცოტაა, რასაც უკვე მიაღწიეს თურქებმა?

პირველი ტაიმის ბოლოს მიღებულმა ტრავმამ თურქებს დავალა უმითი გამოაკლო

თბილისის „დინამო“ გუშინდელი წვრთნისას: სანამ დანარჩენები დარბიან, გელა ჭანტურია მეკარე ნიკა ჩხეიძის ავარჯიშებს

უხელფასონი

„სტანდარდს“ ორი თვის უხელფასო „დინამო“ დაუხვდება

ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპი. პირველი მატჩი. თბილისი. „ოროკული“. 18 ივნისი. 1930 საათი

„დინამო“ — სტანდარდი

მასპინძელი: ზ. ეფლე, ნ. ბუზიანი, დ. მლავა (სამივე ისრული), ა. შალამბერიძე (საჭოველო), შუბასა ინსპექტორი: ა. დელმერი (საფრანგეთი)

გუშინწინ იყო, თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტმა მერაბ რატიანმა სახელმწიფო კანცელარიაში რომ განაცხადა, კლუბში ყველაფერი რიგზეა, ყველა ფეხბურთელმა კუთვნილი ხელფასპრემია მიიღოო.

ნეტავ, ყველაფერი ისე იყოს, როგორც პრეზიდენტმა თქვა. არა მგონია, „დინამოს“ კარგად ყოფნა ვინმეს ეწყინოს, მაგრამ რეალური ვითარება მერაბ რატიანის ნათქვამს რომ ეწინააღმდეგება, ესეც ფაქტია.

საკმარისია, დიღმის საწვრთნელი ბაზის კარიბჭეს გადააბიჯო და მიხვდები, რომ იქ რაღაც ისე ვერ არის, როგორც უნდა იყოს. არა, თითქოს ადრინდელივით წამსვლელ-მომსვლელი ბაზას არ აკლია. ხელოვნურ მინდორზე ვეტერანი ფეხბურთელები ვარჯიშობენ. აქვე არიან შვებულებაში მყოფი ლეგიონერები და „დინამოც“ მორიგი ვარჯიშისთვის ემზადება, მაგრამ სადღაც გამქრალა ადრინდელი სიხალისე.

კლუბის მესვეურები ჩაფიქრებული სახეებით დაიარებიან, ფეხბურთელები მძიმედ დააბიჯებენ. ლეგიონერთა ხუმრობა საქმეს ვერ შველის. იმ სიმწვანეშიც კი ყველაფერი ნაცრისფერია.

ორი თვეა, „დინამოში“ ხელფასები არ დარიგებულა. ფეხბურთელები ვარჯიშზეც კი უარს აცხადებდნენ. მერე, როგორც ყოველთვის ხდება-ხოლმე, კლუბის ხელმძღვანელები შეხვედრიან მოთამაშეებს. ისევ იმედი და დაპირებები. სავარჯიშო პროცესი არ შემწყდარა, მაგრამ შეკრების მოწყობა არ ხერხდება. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რატომაც.

უკვე ცნობილია, რომ ინტერტოტოს გათამაშების შემდეგ „დინამოს“ ახალი მწვრთნელები ჩაუდგებიან სათავეში. ამან ფეხბურთელებში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ნახევარს ახალი თავკაცები არაფრად ეპიტნავება, ნაწილს ძველი არ უნდა, ზოგს კი სულაც ვერ გაიგებ, რა და ვინ მოსწონს. ისე, მწვრთნელის მოყვანა-დანიშვნა კლუბის თავკაცთა პრეროგატივაა, ფეხბურთელს თავდადებული შრომა და თამაში მოეთხოვება, თუმც საქართველოში ახლა ისეთი დროა, რომ ამათ მოთხოვნებსაც დიდი ძალა აქვს.

დროებით მაინც შევეშვათ „დინამოს“ პრობლემებს და წინა სასტანდარდო მზადების შესახებ ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

მწვრთნელ ჯემალ ჩიმაკაძით დავიწყოთ. ამ კაცის სამწვრთნელო პოტენციალის შესახებ ჯერჯერობით ბევრსაც ვერაფერს მოგახსენებთ. „სტანდარდის“ ბარიერს სწორედ ჩიმაკაძის „დინამო“ დაუპირისპირდება. რთულ პერიოდში უწევს ჩიმაკაძეს მუშაობა და მის ნაშრომსაც ინტერტოტოს პირველი ეტაპი გამოაჩენს. თუმც ფაქტი ფაქტად რჩება და რომ არ აღვნიშნოთ, არაობიექტურობაში ჩამოგვერთმევა, ჩიმაკაძის სიტყვას ბიჭები პატივს სცემენ, უჯერებენ მწვრთნელს. ყოველ შემთხვევაში, გუშინ ასე ჩანდა.

გუშინ „დინამომ“ ორი ოც-ოც წუთიანი ტაიმი ითამაშა. თხუთმეტწუთიანი მოთელვა და ფეხბურთიც გაჩაღდა, ოღონდ ნელ ტემპში და ცოტა უჯიგროც. იმ მინი-ტაიმებს შორისაც ილანდებოდა, რომ „დინამოს“ რაღაც აკლია. ცხადია, სასურველ და საუკეთესო ფორმამდე ჯერაც შორია.

„დინამოს“ ინტერტოტოს გათამაშებაში გივი დიდავა და კობა წიტაიშვილი არ დაეხმარებიან. საისრაელოდ გამზადებულმა ყოფილმა დინამოელებმა გუშინ, ალბათ, ბოლოს ივარჯიშეს „დინამოსთან“ ერთად. წიტაიშვილმა წვრთნა შეირგო, ხოლო დიდავას შეიძლება მონდომება ძვირადაც დაუჯდეს. გივიმ შაშიაშვილთან ორთაბრძოლისას მარცხენა კოჭი დაიზიანა და მინდორი კოჭლობით, ნაადრევად დატოვა. მოგვიანებით, როგორც შევიტყვეთ, დიდავას ნატკენი ფეხი გასივებია და... თუმც ნაადრევ დასკვნებს ნუ გამოვიტანთ.

თამაში მალევე დამთავრდა და, ალბათ, იმასაც არა აქვს მნიშვნელობა, მწვანე მოსასხამიანებმა მოიგეს, თუ წითლიანებმა. ჩიმაკაძემ მოედნის ცენტრში მოაგროვა ბიჭები და ვარჯიში გაწელვითი წვრთნით დაასრულა.

„დინამოში“ სამი მეკარეა. სოსო გრიშიკაშვილი, ნიკოლოზ ჩხეიძე და ალექსანდრე ჩიხრაძე. საკვირაო განაცხადში, ალბათ, გრიშიკაშვილი და ჩხეიძე მოხვდებიან. უკანა ხაზში მწვრთნელებს ასარჩევად აქვთ საქმე. მურთაზ შელია, არჩილ სახვაძე, რევაზ ქემოკლიძე, გიორგი შაშიაშვილი, პაატა ჯინჭარაძე, ირაკლი ვაშაკიძე. ამათგან ოთხი მცველი როგორმე შეირჩევა.

შუა ხაზში ხალხმრავლობაა: ვალტერ გუჩუა, თენგიზ სიჭინავა, რევაზ არველაძე, გიორგი ანჩაბაძე, ვლადიმერ ბურდული, გიორგი [illegible] [illegible]რგი შენგელია, ლაშა მონასელიძე.

თავდასხმაში ხუთი ფეხბურთელია — მიხეილ ბობოხიძე, ზაზა ზირაქიშვილი, გიორგი მიქაძე, კახა გოგოლაძე, კონსტანტინე მეტრეველი. ჩიმაკაძეს ტორპედოელი გია იმედაძისაც ეიმედებოდა, მაგრამ იგი თბილისში არ ჩამოსულა, მიზეზი უცნობია.

გუშინ ბაზაზე უცნობ პირებსაც ნახავდით. საუბარზე თუ მიხვდებოდი, რომ აზიელები იყვნენ. როცა გავიკითხეთ, რა ჯურის ხალხია და ბაზაზე რა უნდათო, პასუხად მივიღეთ — რა გითხრათ, აქ ევროპელებიც არიან, აზიელებიც და აფრიკელებიც, ფეხბურთელებს არჩევენო. მათი აფრიკელობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ იერით სომხებსა და აზერბაიჯანელებს, ჰა-ჰა თურქებს ჩამოჰგავდნენ.

შენს მოთამაშეებს რომ ვიღაც აკვირდება და სათავისოდ სურს, ცუდი ეგებ არც იყოს, მაგრამ რა სიკეთეს მოუტანს ქართველ ფეხბურთელებს სომხურ და აზერბაიჯანულ ჩემპიონატში ბურთაობა?

აი, ეს არის საკითხავი. ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო, მგონი, ასეა ჩვენი ფეხბურთის საქმე.

ხვალ კი „დინამო“ ბელგიურ „სტანდარდს“ უნდა დაუპირისპირდეს, რომელიც, მართალია, სულ უწვერული ბიჭებით გვეახლა, მაგრამ მაინც დალაგებული და წესრიგს დამორჩილებული დროებიდან.

მამუკა კვანტალიანი

ჯემალ ჩიმაკაძე ზირაქიშვილს და გუჩუას არიგებს

დიდი გუნდის პატარა ფეხბურთელები

ბელგიის „სტანდარდი“ ინტერტოტოს გათამაშების პირველ ეტაპზე თბილისის „დინამოსთან“ გაჯიბრებას შესუსტებული შემადგენლობით რომ აპირებდა, ადრეც ვიცოდით, მაგრამ წუხელ დედაქალაქში მთლად ბავშვებით თუ გვესტუმრებოდა, ნამდვილად არ გელოდით. სულ უწვერულთ ასაკი ქცევაზეც ეტყობოდათ. სადღაც 11 საათისთვის სპურთალოზე მდებარე სასტუმრო „მონოპოლს“ რომ მოადგნენ და ბარგი ნომრებში დაყარეს, ფეხბურთელთა უმეტესობამ ქუჩაში, ყაზბეგის გამზირზე გასეირნება მოინდომა. ვახშამი კი გამზადებული იყო და დელეგაციის ხელმძღვანელებმაც ბიჭები სულ მწყემსვა-მწყემსვით მოაბრუნეს უკან.

ამასობაში „სტანდარდის“ მწვრთნელი დანიელ ბოკარი მობილური ტელეფონით და უკმაყოფილო ტონით სამშობლოში კლუბის მავან წარმომადგენელს ესაუბრებოდა. თურმე ნუ იტყვით, „სტანდარდი“ თბილისში სათამაშო მაისურების გარეშე ჩამოფრენილა. ორი, ფორმებიანი ჩანთა ერთ ბედოვლათს ლიეჟის თუ ამსტერდამის აეროპორტში დაუტოვებია. კარგა ხნის ლაპარაკის შემდეგ მწვრთნელმა დინამოელი მასპინძლები დაამშვიდა, ან ხვალ ღამით, ანაც თამაშის დილას მაისურებს გამოგზავნიან და თავადაც ამოისუნთქა. იცოდა, ჟურნალისტები რომ გელოდით და ვახშამდე რამდენიმე წუთით ჩვენთვისაც მოიცალა.

— ეს ფეხბურთელები რა ხნისანი არიან?

— პატარები, 17-19 წლისანი. „სტანდარდის“ ახალგაზრდული გუნდია.

— „დიდი“ „სტანდარდის“ მწვრთნელი რატომ არ ჩამოვიდა?

— ტომისლავ ივიჩი მათ წვრთნის, მე — ამ გუნდს. ჩემზე კარგად ამათი აჟკარგი მან არ იცის.

— „დიდებმა“ რატომ იუარეს ინტერტოტო? მხოლოდ გადაღლის გამო?

— ისინი ჩემპიონატის შემდეგ შვებულებაში არიან, ცოტა დასვენება სჭირდებათ და სპეციალურად „დინამოსთან“ თამაშისთვის რომ შეკრებილიყვნენ, სასურველ ფორმაში მაინც არ იქნებოდნენ. ჩვენ კი თბილისში ჩამოსვლამდე საფრანგეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა და ეს ბიჭებიც უკეთ არიან მომზადებულნი.

— მართალია, თითქოს თბილისში დიდი ანგარიშით თუ დამარცხდით, „დინამოს“ საპასუხო მატჩი „დიდ“ „სტანდარდთან“ მოუწევს?

— არა, ლიეჟშიც ეს ბიჭები ითამაშებენ. ივიჩი გუნდის მომზადებას ერთი კვირის შემდეგ იწყებს.

— „დინამოზე“ თუ გაქვთ წარმოდგენა. ამ პატარა ბიჭებით აპირებთ გამარჯვებას?

— ვერაფერს გეტყვით. ვითამაშებთ და ვნახოთ. „დინამოზე“ აბსოლუტურად არაფერი ვიცი ერთის გარდა — ერთობ დასუსტებულა. კარგად მახსოვს, 1982 წელს „დინამო“ როგორი გუნდიც იყო.

— „დინამო“ — „სტანდარდის“ ნახევარფინალი გახსოვთ?

— მაშინ მეც ამ ბიჭების ტოლი ვიყავი, გუნდთან ერთად ვვარჯიშობდი. ტაჰამატა, გერეტსი... ხელოვნური თამაშგარეები. მახსოვს, თქვენი უძლიერესი გუნდი შოკში იყო. მწვრთნელმა გუტალსმა „დინამოსთან“ ჩინებული ტაქტიკით ათამაშა „სტანდარდი“.

— „სტანდარდი“ მაშინ თამაშგარეებისას მართლაც ერთხელ არ შემცდარა. კვირას თქვენც ასე ითამაშებთ? თუ საიდუმლოა?

— არა, რა საიდუმლო. პირობას გაძლევთ, ხელოვნურ თამაშგარეებს ათასში ერთხელ თუ გამოვიყენებთ.

— ბოლოხანს „დინამოზე“ არაფერი მსმენიაო, თქვით. ის არ იცით, შარშან მათ იოჰან ბოსკამპი რომ წვრთნიდა?

— ეგ ვიცი, მაგრამ ბოსკამპთან ცუდი ურთიერთობა გვაქვს და „დინამოზე“ ჩვენთვის არაფერი უთქვამს. მგონია, რომ „დინამოს“ მისცემდა ინფორმაციას „სტანდარდის“ ამ გუნდის თამაშის მანერაზე. ბოსკამპის „გენკმა“ თასის ფინალში დაგვამარცხა დიდი ანგარიშით და ამის მერე მთლად...

— ლაშა ჯაკობია გეცოდინებათ.

— როგორ არა, ლაშა ჩემი ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა. ის ამ ბიჭებზე ნიჭიერია და ამ გუნდში თამაშით, როგორც ფეხბურთელი, ვეღარ გაიზრდებოდა, თუმც უფროსებში თამაშამდეც ცოტა აკლია. მას ახლა ორი კლუბი — „ბევერენი“ და „ლუვიერი“ ეპატიჟებიან და „სტანდარდის“ ხელმძღვანელობა ალბათ კვლავ გაანათხოვრებს. არა მგონია, სადმე გაყიდონ.

ბოკარს ბელგიიდან შეეხმიანნენ, ისევ ფორმის თაობაზე, თანაც დაღლილობა დაეტყო, მისი შეგირდებიც უკვე ვახშმობდნენ და ჩვენც... აბა, საკითხავიც სხვა რა იყო?

„დინამომ“ კი ამათაც თუ ვერ მოუგო... თუმც, დინამოელებიც თავდაჯერებულნი არ უნდა იყვნენ, აქაოდა, ბავშვებს ვეთამაშებითო.

ძოგა ინასარიძე

საინტერტოტოო „სტანდარდი“

მეკარეები	
პატრიკ ტელემანი	1980
არნო ფრანკე	1981
მცველები	
მიქელ ჰილიქმანი	1981
ანტონიო პასკალინო	1981
დონოვან მორი	1981
ფაბიენ ჟაკენი	1980
ერიკ ნიკეესი	1981
ბარტ ვანდეპოლი	1982
სავიე ასებორნი	1983
ნახევარმცველები	
რენე პეტერსი	1981
მუსტაფ საგდამი	1981
იანიკ ვოსი	1980
მუსტაფა უსალა	1982
დენი დარუ	1983
თავდამსხმელები	
ფილიპ ფლირკენი	1980
ჯონათან ვალასიაკი	1982
ჟულიენ დემონსო	1982
სებასტიან მალიჟიერი	1982
მწვრთნელი	
დანიელ ბოკარი	

ორშაბათს მსაჯებს არ აგინებენ

ფაქტია, სფფ-ს მსაჯ-ინსპექტორთა კომიტეტის სათავეში ანატოლი მილჩენკოს მისვლას ბევრი სიახლე მოჰყვა. ეს კაცი ყველანაირად ცდილობს ქართველ შავოსნებს თავისი ხელი დაატყოს. ყველასთვის მოსაწონი შედეგები რომ არ აქვს მილჩენკოს, ეს ყველაზე ნაკლებად მისი ბრალია. არა, მსაჯების ავ-კარგზე ლაპარაკს ნამდვილად არ ვაპირებ, თუნდაც იმიტომ, რომ ორშაბათი ახლოვდება, 19 ივნისი — ქართველ მსაჯთა დღეა.

მსაჯ-ინსპექტორთა კომიტეტი ამ დღის სათანადოდ აღსანიშნავად საგულდაგულოდ ემზადება. ზეიმი ივნისში გაიმართება. იქაურ სტადიონზე 13 საათზე თვალსასიერო სანახაობა შედგება, აღმოსავლეთის მსაჯთა ნაკრები დასავლეთისას გაეჯიბრება. აღმოსავლელებს ბადრი ქარქაშაძე უთავკაცებს, ლიხსიქეთელებს კი ადიკ დურსუნიში დამოძღვრავს. მატჩს, რაღა თქმა უნდა, ანატოლი მილჩენკო განსჯის. თამაშის შემდეგ საზეიმო კონცერტი და ტრადიციული ბანკეტიც გაიმართება. ივნისში მსაჯები სფფ-ს პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას და გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიასაც ელიან.

ჩვენც ვულოცავთ ქართველ მსაჯებს გამორჩეულ თარიღს და იმედს ვიტოვებთ, რომ 19 ივნისი განსაკუთრებით დაამახსოვრდებათ თუნდაც იმიტომ, რომ ამ დღეს მათზე ძვირს არავინ იტყვის.

პაატა ძვანტალიანი

ორშაბათს მსაჯებს ასე არ შეაგინებენ: 19 ივნისი მათი დღეა

სერგო გაბელაია

ავტორი ფოტოებისა ფოტო

იყო დრო, როცა თბილისის „მერანი“ ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო გუნდთა მარაქაში ერია და ევროპულ სარბიელზეც თავი მოლად არ შეურცხვენია. მაგრამ ისიც ფაქტობრივად ერთი წლის გუნდი აღმოჩნდა. შარშან კი „მერანი“ უპრეზიდენტოდ დარჩა — ფეხბურთზე შეყვარებულმა ნუგზარ ნავაძემ ფეხბურთში მოღვაეობა აღარ მოისურვა და გუნდიც ფინანსურ-ორგანიზაციული პრობლემებით შეეგება მეთერთმეტე ეროვნულს. შედეგმაც არ დააყოვნა და პირველი ეტაპის შემდეგ „მერანი“ ჯგუფიდან გავარდნის ერთ-ერთ კანდიდატად იქცა. სწორედ იმ კრიტიკულ მომენტში გამოუჩნდა გუნდს პატრონი. მწვრთნელად კი კვლავ სერგო გაბელაიას უხმეს, სპეციალისტს, რომლის ხელმძღვანელობითაც ამაღლდა „მერანი“ პირველ ჯგუფში 1996 წელს. დიახ, ოფიციალურად სწორედ ასე იყო, მიუხედავად იმისა, რომ გაბელაიას თემურ მახარაძე კონსულტანტობდა.

„ბ“ ზონის საუკეთესო გუნდი — ასეთი გახლავთ სერგო გაბელაიას „მერანის“ მონაგარი მეთერთმეტე ეროვნულში.

მერანი ექვსეულისთვის იხეადნება

— სანამ უშუალოდ თქვენს გუნდზე ვისაუბრებდეთ, როგორ შეაფასებდით XI ეროვნულ ჩემპიონატს?

— დადებითად, მისმა ახალმა სისტემამ გაამართლა. გუნდები მობილიზებულნი იყვნენ, ცდილობდნენ, რაც შეიძლება კარგად წარმოეჩინათ თავი. იყო დაძაბულობაც და საერთო ჯამში ნორმალური მსაჯობა. ნაკლზეც ვიტყვი, ორივე ზონაში რვა გუნდიდან ფაქტობრივად ხუთი იბრძოდა, ხუთი კი დანარჩენი სამ-სამის ხარჯზე გადიოდა ფონს.

— ჩემპიონატის დაწყების წინ „მერანს“ ალბათ იმიტომ ჩამოშორდით, რომ გერმანიაში აპრებდით წასვლას კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

— დიახ, მაგრამ ფაქსით მაცნობეს, რომ სწავლება გერმანულ და არაბულ ენებზე მიდისო. მანამდე კი ეს გერმანულად და რუსულად ხდებოდა, საგანგებოდ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებისთვის. ერთი სიტყვით, დავაგვიანე...

— უფერული სტარტის შემდეგ მერანელთა ასეთ საბოლოო შედეგს ცოტა თუ ელოდა...

— ყველაფრის თავიდათავი ფინანსებია. იანვრის ბოლოს „მერანს“ პატრონი გამოუჩნდა — პრეზიდენტი დავით ფურცელაძე გახდა, მენეჯერობა ვლადიმერ ჩერქეზოვმა იკისრა. დანარჩენი უკვე ჩემზე და ფეხბურთელებზე იყო დამოკიდებული და ჩვენც თავი არ შეგვირცხვენია. თანაც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ეტაპი ჩვენ 8 ქულით დავიწყეთ, მთავარმა კონკურენტმა „ლოკომოტივმა“ კი ერთით მეტით.

— თვლით, რომ სეზონში თავის საუკეთესო მატჩიც „მერანმა“ სწორედ „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ ითამაშა?

— უშუალო კონკურენტთან შეხვედრას ყოველთვის განსაკუთრებული ხიბლი აქვს, კარგი გუნდის წინააღმდეგ ფეხბურთელები უფრო მეტი მონდომებით თამაშობენ. ჩვენ პირველი წრის მატჩიც კარგად ჩავატარეთ „ლოკომოტივთან“, მაგრამ გოლი არ ჩაგვითვალეს, პენალტი არ დაგვინიშნეს (შეხვედრა ფრედ 0:0 დამთავრდა). მეორე წრეში კი 3:1 ვძლიეთ რკინიგზელებს და, რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი ვარ ამით. „მერანმა“ ხომ საქართველოს თასის მფლობელს მოუგო.

— ამბობენ, „მერანი“ ჩვენში ყველაზე მეგობრული გუნდიაო...

— რამდენიმე წელია, რაც ამ გუნდში ვმუშაობ და შემიძლია ვთქვა, რომ ამ მხრივ „მერანში“ ყოველთვის ყველაფერი კარგად იყო. როცა გუნდში დავბრუნდი, პირველ რიგში სწორედ მეგობრული სულის შენარჩუნებაზე დავიწყე ზრუნვა, უამისოდ არაფერი გამოვა.

— როგორ შეაფასებდით „მერანის“ გამოსვლას ჩემპიონატის მეორე ეტაპზე სათამაშო რგოლების მიხედვით?

— გამოვყოფდი მეკარესა და დაცვის კარგ თამაშს, არა უშავდა ნახევარდაცვას, თავდასხმა კი მოისუსტებდა. ლევან თოლორდავას ტრავმა რომ არა, არც წინა ხაზში გვექნებოდა პრობლემები.

— მომავალ სეზონში კლუბის ხელმძღვანელობა „მერანს“ ალბათ გაცილებით მაღალი მიზნებისთვის მოსთხოვს ბრძოლას.

— ჯერ ექვსეულში მოხვედრისთვის ვიზრუნებთ, მერე კი ვნახოთ. „მერანი“ აუცილებლად გაძლიერდება, უკვე გვყავს შეგულებული 6-7 ფეხბურთელი. მათ ვინაობას მანამდე ვერ გაგიმხელთ, სანამ ისინი პირადად პრეზიდენტს არ შეხვდებიან და პირობებზე არ მოილაპარაკებენ. ანაზღაურება და პრემიალურები გაიზრდება, ამ მხრივაც „მერანი“ ერთ-ერთი თვალსაჩინო გუნდი იქნება ეროვნულ ჩემპიონატში.

უახლოეს გეგმებზე იმას მოგახსენებთ, რომ მოსამზადებელი პერიოდისთვის ორი შეკრების მოწყობას ვაპირებთ. თვის ბოლოს ლაგოდეხში დავბანაკდებით, აგვისტოში კი აუცილებლად უცხოეთში გავივლით შეკრებას, შესაძლოა რუსეთში ან უკრაინაში.

— დაბოლოს, ევრო 2000-ზეც გვითხარით ერთი-ორი სიტყვა.

— პირველი მატჩებით ძნელია განსაჯო, მაგრამ, ვფიქრობ, ტენდენცია უკვე გამოიკვეთა — წარმატებას განსაკუთრებული თავდადებითა და ბრძოლისუნარიანობით გამორჩეული გუნდები აღწევენ. ფავორიტებად კი ჰოლანდია და იტალია მიმაჩნია.

დავით თავართქილაძე

საზაფხულო მიდი-მოდი

		გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
	ტორპედო *დავით ყიფიანი*	იმედაძე, ბობოხიძე (დინამო)	ვ. გიგიაძე (იბერია)	9 ივნისიდან შვებულებაშია 20-25 ივნისს 10 დღით თბილისში შეიკრიბება
	ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*		სულთანიშვილი (დილა), ჭიღლაძე (ს.ა. იბერია)	19 ივნისს მცხეთაში შეიკრიბება
	დინამო *ჯემალ ჩიმაკაძე*	დიდავა, ნიტაიშვილი (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), ხუციშვილი, მინაშვილი (ტრანსფერზე არიან), ხიზანეიშვილი (?)	იმედაძე, ბობოხიძე (ტორპედო), კ. გოგოლაძე (სიონი), ბურდული (თბილისი), კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა)	შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1 18 ივნისს ინტერტოტოს თასზე „სტანდარდს“ მასპინძლობს, 25 ივნისს კი სტუმრობს
	ბათუმი *ჯანი კარნეველი*	მ. მახარაძე (კარიერა დასრულა)		7 ივნისიდან შვებულებაშია
	კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	ღაღანიძე, ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა)		20 ივნისს ფოთში შეიკრიბება
	სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ვ. მაისურაძე, ბ. შენგელია (?)		26 ივნისს ბოლნისში შეიკრიბება
	იბერია *სოსო ფრუიძე*	ვ. გიგიაძე (ტორპედო), ჟვანია, ნაროუშვილი (ლოკომოტივი)		
	დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი)	20 ივნისს გორში შეიკრიბება
	მერანი *სერგო გაბელაია*			1 ივნისიდან შვებულებაშია; 25 ივნისს თბილისში შეიკრიბება, თვის ბოლოს ლაგოდეხში, მოგვიანებით კი რუსეთში ან უკრაინაში მოემზადება
	ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	ასლანაძე, ნიკურაძე (?, ისრაელი)	ზურაბ აიანადი (ხობი), ჟვანია, ნაროუშვილი (იბერია)	17 ივნისიდან თბილისში შეიკრიბება
	თსუ *თენგიზ კაკაია*	ხ. თიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტები დაუმთავრებათ)		12 ივნისიდან შვებულებაშია 26 ან 27 ივნისს მცხეთაში შეიკრიბება
	გორდა *იასონ ალადაშვილი*			1 ივნისიდან შვებულებაშია

შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა საბოლოო არ არის

ინტერტოტოს თასი

ისევ ფეხბურთი — ინტერტოტოზა

დღეს ევრო 2000-ზე ორი მატჩია, რუმინეთი — პორტუგალია და ინგლისი — გერმანია. დღესვე 2000-2001 წლების ევროპული საკლუბო სეზონი აუყვება მომქანცველ აღმართს. „ბებერი კონტინენტის“ რამდენიმე ქალაქში უეფას საკლუბო შეჯიბრებათა შორის რანგით უმდაბლესი — ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის მატჩები გაიმართება.

ჩვენს ქვეყანას ამ ტურნირზე (ზოგისთვის არაფრისმომცემ და წამგებიანზე) თბილისის „დინამო“ წარმოადგენს. ათგზის ჩემპიონები ხვალ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ბელგიურ ლიეჟის „სტანდარდს“ უმასპინძლებენ. მატჩი 18 საათსა და 30 წუთზე დაიწყება. საპასუხო შეხვედრა ერთი კვირის მერე გაიმართება. თუ სასწაული მოხდა და „დინამომ“ პირველი ბარიერი დაძლია, თვით კარლო მაცონეს იტალიურ „პერუჯას“ შეხვდება. აქ გამარჯვებული კი ან ავსტრიულ „ზალცბურგს“, ანაც უელსურ „ქუიმბრან თაუნსა“ და მოლდოვის „უნისპორტს“ შორის უძლიერესს ეპაექრება. სულ სამი შესარჩევი ეტაპია, ბოლოს კი დარჩენილი 6 გუნდი (3 წყვილი) უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო წრეს ითამაშებს. ფავორიტებად ინგლისურ „ასტონ ვილას“, ესპანურ „მალიორკას“ და გერმანულ „შტუტგარტს“ მიიჩნევენ.

I ეტაპი. 17-18 ივნისი — 24-25 ივნისი

1. ტორსპაგენი (ფარერები) — ტატაბანია (უნგრეთი)
2. ნარვა (ესტონეთი) — ჩაჰლაული (რუმინეთი)
3. არაქსი (სომხეთი) — სიგმა (ჩეხეთი)
4. ფლორიანა (მალტა) — სტაბეკი (ნორვეგია)
5. ქოჯაელი (თურქეთი) — ატლანტასი (ლიტვა)
6. ლინცერი (ავსტრია) — ჰაპოელი (ფეთახ თიქვა, ისრაელი)
7. გლენავონი (ჩრდ. ირლანდია) — სლავენი (ხორვატია)
8. ზაგლებე (პოლონეთი) — ვილიაში (აზერბაიჯანი)
9. ტრენჩინი (სლოვაკეთი) — დინაბურგი (ლატვია)
10. პრიმორიე (სლოვენია) — ვესტერლო (ბელგია)
11. ფრიოლუნდა (შვედეთი) — ზრინსკი (ბოსნია)
12. ციბალია (ხორვატია) — ობილიჩი (იუგოსლავია)
13. **დინამო (საქართველო) — სტანდარდი (ბელგია)**
14. მოგილოვი (ბელარუსი) — სილკებორგი (დანია)
15. ქსამაქსი (შვეიცარია) — მიუპა (ფინეთი)
16. ლეიფტური (ისლანდია) — ლუცერნი (შვეიცარია)
17. დუბლინი (ირლანდია) — ველბაჟდი (ბულგარეთი)
18. ნეა სალამინა (კვიპროსი) — ვლაჟნია (ალბანეთი)
19. პელისტერი (მაკედონია) — ჰობშაიდი (ლუქსემბურგი)
20. ქუიმბრან თაუნი (უელსი) — უნისპორტი (მოლდოვა)

II ეტაპი. 01-02. ივლისი — 08-09. ივლისი

A. 20 წყვილის გამარჯვებული — ზალცბურგი (ავსტრია)
B. ზენიტი (რუსეთი) — 10 წყვილის გამარჯვებული
C. პერუჯა (იტალია) — 13 წყვილის გამარჯვებული
D. 18 წყვილის გამარჯვებული — აუსტრია (ავსტრია)
E. 4 წყვილის გამარჯვებული — ოსერი (საფრანგეთი)
F. 9 წყვილის გამარჯვებული — ოლბორგი (დანია)
G. 6 წყვილის გამარჯვებული — დუკლა (ჩეხეთი)
H. 5 წყვილის გამარჯვებული — ბრედფორდი (ინგლისი)
I. მალიორკა (ესპანეთი) — 2 წყვილის გამარჯვებული
J. ბლშანი (ჩეხეთი) — 14 წყვილის გამარჯვებული
K. სედანი (საფრანგეთი) — 16 წყვილის გამარჯვებული
L. 15 წყვილის გამარჯვებული — შტუტგარტი (გერმანია)
M. 8 წყვილის გამარჯვებული — 7 წყვილის გამარჯვებული
N. 1 წყვილის გამარჯვებული — 12 წყვილის გამარჯვებული
O. 19 წყვილის გამარჯვებული — 11 წყვილის გამარჯვებული
P. 17 წყვილის გამარჯვებული — 3 წყვილის გამარჯვებული

III ეტაპი. 15-16 ივლისი — 22 ივლისი

სელტა (ესპანეთი) — O გამარჯვებული
F გამარჯვებული — უდინეზე (იტალია)
K გამარჯვებული — ვოლფსბურგი (გერმანია)
G გამარჯვებული — ასტონ ვილა (ინგლისი)
J გამარჯვებული — კალამატა (საბერძნეთი)
ლანსი (საფრანგეთი) — L გამარჯვებული
H გამარჯვებული — ვალვაიკი (ჰოლანდია)
როსტსელმაში (რუსეთი) — E გამარჯვებული
M გამარჯვებული — P გამარჯვებული
C გამარჯვებული — A გამარჯვებული
I გამარჯვებული — D გამარჯვებული
B გამარჯვებული — N გამარჯვებული

ჰენრიკ ლარსონი

შვედი არაშვედური იერით

შვედი თავდამსხმელი ჰენრიკ ლარსონი თავისი კლუბისთვის დიდებულად ირჯება. წინა ორ სეზონში ის „სელტიკს“ 70 გოლით დაეხმარა. ვინ დაიკვეხნის ასეთი შედეგით?

ევროპის ჩემპიონატის პირველ ტურში შვედი ქომაგები ლარსონის მინდორზე გასვლას ოვაციით შეხვდნენ, იმედი მიეცათ. ლარსონმა კი თავი ვერაფრით ისახელა. პირველს მეორე მატჩიც მოჰყვა, შედეგი კი კვლავ არანაირი.

ჰენრიკ ლარსონს, ამ არაშვედური იერის ფეხბურთელს, ბომბარდირული თვისებები თავისით არ დაუკარგავს, სხვები „დაეხმარნენ“. გეხსომებათ, უეფას თასზე „ლიონთან“ თამაშისას მეტოქე ეუხეშა და მას ფეხი მოსტყდა. ეს შვიდი თვის წინ მოხდა. ლარსონმა ტრავმა მოირჩინა, თამაშიც განაახლა, მაგრამ...

„ორმაგი გრძნობა მაქვს. თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, მაგრამ ამავე დროს მინდორზე გასული რაღაცას ისე ვერ ვაკეთებ. ცხადია, უკმაყოფილო ვარ, თუმც ბევრი რამ ჩემზე არ არის დამოკიდებული“ — ეს ლარსონის სიტყვებია და ძნელია მას რამეში შეედავო. გამხნევება — აი, რა სჭირდება ლარსონს და ნაკრების მწვრთნელიც ამას აკეთებს: „მის თამაშს სიმწვავე არ დაჰკლებია. მეტოქის საჯარიმოში მისი ყოფნა მცველებს ბევრ საზრუნავს უჩენს. ვფიქრობ, შვიდთვიანი იძულებითი შესვენების მერე ლარსონის ასეთი თამაში გასაკვირიც კია“.

ლარსონი კი იმედიც ცოცხლობს: „ყოველდღე იმ საბედისწერო შემთხვევის დავიწყებას ვცდილობ. აი, როცა შევძლებ, დიდ ფეხბურთსაც მაშინ ვითამაშებ“.

ფეხბურთის რუკა

რუმინელმა მცველმა დან პეტრესკუმ განაცხადა, რომ „ჩელსიდან“ წასვლას კონტრაქტის დასრულებამდე არ აპირებს. „ლონდონში კონტრაქტის პირობით ორი წელი უნდა დავრჩეგუნდის გამოცვლა არ მსურს, „ჩელსიში“ თამაში მსიამოვნებს. კლუბში მაინც გავჩერდებოდი, თუ ძირითად შემადგენლობაში არ ვითამაშებდი“ — თქვა პეტრესკუმ, რომელიც „ჩელსიში“ 1999 წელს „შეფილდ უენსდიდან“ 2,3 მილიონ გირვანქად გადავიდა. რუმინეთის ეროვნულ ნაკრებში მან 60 შეხვედრა ჩაატარა და 9 გოლი გაიტანა.

ესპანეთის ნაკრების ფორვარდი პედრო მუნიტისი, შესაძლოა „რასინგდთან“ წავიდეს და „დეპორტივოს“ ან „ვალენსიას“ მიაშუროს. ჩემპიონთა ლიგის წლევანდელმა ფინალისტებმა სანტანდერულ კლუბს მუნიტისის სანაცვლოდ 7 მილიონი გირვანქა შესთავაზეს. ესპანური სააგენტოების ცნობით, „რასინგთან“ მოლაპარაკებებს გალისიური კლუბის ხელმძღვანელობაც აწარმოებს. თავდამსხმელის მომავალი ჯერჯერობით უცნობია.

პორტუგალიელი ფორვარდი ჟოაუ პინტუ შესაძლოა „ბენფიკადან“ „ჩელსიში“ გადავიდეს. ფეხბურთელის შეძენა სხვა გუნდებსაც სურთ. ყველაზე ხშირად „ნიუკასლ იუნაიტედს“, „პსჟ“-ს და „ფიორენტინას“ ასახელებენ. თავად 28 წლის თავდამსხმელი ჯერჯერობით არაფერს აცხადებს, ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე მისი ტრანსფერი, ალბათ, არ შედგება. ინგლისური სააგენტოების ცნობით, „ნიუკასლ იუნაიტედმა“ ჟოაუ პინტუს სამწლიანი კონტრაქტი, ხოლო მის კლუბს კომპენსაციის სახით 3 მილიონი გირვანქა შესთავაზა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ პინტუ სამშობლოში დარჩება და მეორე ლისაბონურ კლუბში, „სპორტინგში“ ჩაირიცხება.

ინგლისურმა „ტოტენჰემმა“ დავიდ ჟინოლა შესაძლოა „ასტონ ვილაში“ გაუშვას, მის შემცვლელად კი ლონდონში ჰოლანდიელი ნახევარმცველი ბუდვინ ზენდენი გადაიბიროს. „ბარსელონას“ ფეხბურთელით „ლივერპულიცაა“ დაინტერესებული და მზადაა მის სანაცვლოდ 3,8 მილიონი გირვანქა გაიღოს. „ბარსელონას“ არაფერი განუცხადებია, გუნდი უპრეზიდენტოდაა და მეთაურის არჩევნებს ელოდება. ზენდენის მომავალი ჯერჯერობით გაურკვეველია, თუმც ინგლისური სააგენტოები ვარაუდობენ, რომ პსვ-ს ყოფილი ფეხბურთელი, ალბათ, „ტოტენჰემში“ გადავა, რადგან „ლივერპულმა“ მისი ამპლუის მოთამაშე ბერნარ დიომედი „ოსერიდან“ უკვე შეიძინა.

დანიელი ალან ნილსენი თანამემამულე მიქაელ შონბერგს შესაძლოა „კაიზერსლაუტერნში“ შეუერთდეს, „ვულვერჰემპტონის“ ნახევარმცველის შეძენის სურვილი გერმანულმა კლუბმა გამოთქვა. ნილსენი „ტოტენჰემში“ ირიცხება, „ვულვერჰემპტონში“ იგი განათხოვრებით თამაშობს. ფეხბურთელის განცხადებით, მას ლონდონური კლუბის დატოვება სურს. „ტოტენჰემში“, ალბათ, აღარ დავრჩები, თავად გუნდის ხელმძღვანელობის აზრი ჯერ არ ვიცი. გავიგე, რომ გერმანიაში მეპატიჟებიან, თუმცა დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვი, ყველაფერი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გადაწყდება“ — თქვა ნილსენმა.

არგენტინელი ნახევარმცველის, ფერნანდო რედონდოს ყიდვა „მილანსა“ და „ლაციოს“ განუზრახავთ. თუმც მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ფეხბურთელს არ გაყიდის. ერთ-ერთი ინგლისური სააგენტოს ცნობით, „ჩელსის“ მთავარი მწვრთნელი ჯანლუკა ვიალი სამეფო კლუბის ინგლისელ ნახევარმცველ სტივ მაკმანამნს აკვირდება, მაგრამ ეს ტრანსფერიც ნაკლებსავარაუდოა. ჩემპიონთა თასის მფლობელებს ამაზე ჯერჯერობით არაფერი განუცხადებიათ.

ინგლისური „ვესტ ჰემის“ თავკაცმა ჰარი რედნაპმა უარყო ხმები, თითქოს დავორ შუკერი უკვე გადაიბირა, თუმც აღნიშნა, რომ სამომავლოდ ამას მართლაც აპირებს. „ძალიან მინდა, შუკერი ჩემს გუნდში ვიხილო, მაგრამ ჯერჯერობით, კონკრეტულად არაფერი გარკვეულა. მოლაპარაკებები შესაძლოა მალე დავიწყოთ. დავორი ძლიერი ფორვარდია. მისი გამოცდილება უეჭველად წაგვადგება“ — განაცხადა „ვესტ ჰემის“ მწვრთნელმა. შუკერი მალე თავისუფალი აგენტის სტატუსით ისარგებლებს და ლონდონის „არსენალს“, ალბათ, დატოვებს.

ინგლისელი ფორვარდი კრის სატონი რომ თავისთან დაიგულოს, „მიდლსბრო“ „ჩელსის“ 6 მილიონ გირვანქას სთავაზობს. 27 წლის ფეხბურთელმა სეზონი სუსტად ჩაატარა და მხოლოდ სამი გოლი გაიტანა. „მიდლსბრო“ სხვა მოთამაშეების ყიდვასაც აპირებს. ბრაიან რობსონის გუნდში ახალ სეზონს სავარაუდოდ ფრანგი კრისტიან კარამბუ და ავსტრალიელი პოლ ოკონი დაიწყებენ.

ესპანეთის მეორე დივიზიონში დაქვეითებული „ბეტისის“ მეკარემ ტონი პრატსმა ინგლისური კლუბებიდან მიწვევა მიიღო, თუმცა მისი აგენტი აცხადებს, რომ ფეხბურთელი ესპანეთიდან არსად წავა. გავრცელდა ხმები, თითქოს პრატსს ინგლისში ეპატიჟებიან, მაგრამ კონკრეტულად არავინ შეხმიანებია. მეკარე, ალბათ, „ბეტისში“ დარჩება, თუმც ანაზღაურება და ფინანსები აქ არაფერ შუაშია, მას სევილიაში თამაში სიამოვნებს.

ინგლისური ლონდონის „არსენალის“ ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ტრანსფერზე ერთბაშად ექვსი ფეხბურთელი დააყენა — უკრაინელი ოლეგ ლუჟნი, გერმანელი შტეფან მალცი, არგენტინელი ნელსონ ვივასი, ფრანგი კრისტოფერ ვრე, პორტუგალიელი ალბერტო მენდესი და ვეტერანი ნაიჯელ უინტერბერნი. ამ უკანასკნელმა „მეთოფეთა“ რიგებში 13 წელი ითამაშა და ახლა ვალმოხდილი გუნდიდან თავისივე სურვილით მიდის. რაც შეეხება ლუჟნის, ცოტა გასაკვირიცაა, სანამ შეიძენდა, ვენგერი მასზე დიდ იმედებს ამყარებდა, ახლა კი... „არსენალი“ უკრაინელს სწორედ იმ ფასში ჰყიდის, რამდენიც კიევის „დინამოს“ გადაუხადა — 3 მილიონ დოლარად.

ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელმა, „ოჭროს ბიჭუნა“ რაულ გონსალესმა მადრიდის „რეალთან“ კონტრაქტი უფრო გაახანგრძლივა და „სამეფო კლუბში“ 2005 წლამდე დარჩება. ამით მან საბოლოოდ მოუღო ბოლო ჭორებს, თითქოსდა „რეალი“ „მილანს“ ოლივერ ბირჰოფისა და ლუიჯი სალას სანაცვლოდ რაულს აძლევდეს. ხელშეკრულების თანახმად, რაულის წლიური შემოსავალი 5,72 მილიონი დოლარი იქნება, ხოლო თუ ამ ვადის გასვლამდე რომელიმე გუნდი მოისურვებს მის შეძენას, 171.5 მილიონის გაღება მოუწევს. ამასთანავე „რეალმა“ ერთი ტრანსფერიც განახორციელა, მადრიდული „ატლეტიკოს“ არგენტინელი თავდამსხმელი სანტიაგო სოლარი 3,43 მილიონ დოლარად გადაიბირა. ეს პირველი შემთხვევაა ბოლო 11 წლის მანძილზე, როცა „რეალმა“ და „ატლეტიკომ“ ერთმანეთში ტრანსფერი განახორციელეს.

ბულგარეთის უმაღლეს ლიგაში „ჰებარი“ გადავიდა. მან პლეი ოფში პირველდივიზიონული „დობრუჯა“ 1:0 დაამარცხა და მეორე ლიგაში დაექვეითა. უძლიერესთა შორის აგილი „ოლიმპიკ-ბეროეს“ შეინარჩუნა, მან ქვედალიგელ პლევენის „სპარტაკს“ 2:0 სძლია.

სიახლე!

პირველად საქართველოში!

რადიო „ევრიკა“ გთავაზობთ
პროექტს „ევრო 2000“

RADIO EVRIKA 100.3 FM ყველები პიცების ცაღა

გადაცემაში „ევრო 2000“ თქვენ თამაშების წინ მოისმენთ:

- ცოტაოდენი რამ ევროპის ჩემპიონატის ისტორიიდან
- ინფორმაცია ფეხბურთელთა პირადი ცხოვრებიდან
- კურიოზები და ანეკდოტები ფეხბურთზე
- სტატისტიკური ცნობები ევროპის ჩემპიონატის შესახებ
- გასული თამაშის მიმოხილვა
- საუბარი იმ გუნდების შესახებ, რომელთა თამაშიც არის იმ დღეს, ხოლო გადაცემის ბოლოს მიიღებთ მონაწილეობას საინტერესო ვიქტორინაში.

გენერალური პრიზის მომწოდებელი — ტურისტული ფირმა „აფრა“

სარგებელი

სპორტული ლატარია "CROCO"

კროკოს ბიუროები ევროპის ჩემპიონატის მატჩების დღეებში შემმების გარეშე იმუშავებს (როცა თამაშები არ ტარდება — ჩვეულებრივი განრიგით)

ევროპის ჩემპიონატი
17 ივნისი

034	რუმინეთი-პორტუგალია	3,3	2,8	2,2
035	ინგლისი-გერმანია	2,0	3,0	3,3
	18 ივნისი			
036	სლოვენია-ესპანეთი	7,5	4,0	1,35
037	ნორვეგია-იუგოსლავია	2,8	2,9	2,4
	19 ივნისი			
038	იტალია-შვედეთი	2,0	3,1	3,4
039	თურქეთი-ბელგია	4,0	3,1	1,8
	20 ივნისი			
049	ინგლისი-რუმინეთი			
050	პორტუგალია-გერმანია			
	21 ივნისი			
051	დანია-ჩეხეთი			
052	საფრანგეთი-ჰოლანდია			

რუსეთი. მე-13 ტური
18 ივნისი

001	ნ.ნოვგოროდი-ცსკა	2,8	3,0	2,0
002	დინამო-ანჟი	1,8	2,9	4,2
003	სატურნი-როტორი	1,8	2,9	4,2
004	ჩერნომორეცი-ფაკელი	1,5	3,2	6,5
005	ტორპედო-სპარტაკი	4,0	2,9	1,9
006	როსტსელმაში-ლოკომოტივი	3,6	2,7	2,0
007	ალანია-ურალანი	1,4	3,5	7,0
	19 ივნისი			
008	ზენიტი-კრილია	1,7	2,6	5,6

იტალია. სერია "ბ". გადათამაშება. II მატჩი
18 ივნისი

029	ჩეზენა-პისტოიეზე I მატჩი: 1:3	1,6	2,7	6,5

მჩ შესარჩევი მატჩები. აფრიკა
17 ივნისი

040	ნიგერია-სიერა ლეონე	1,1	6,0	12,0
041	ნამიბია-მაროკო	3,4	2,9	2,0
042	მალავი-ბურკინა ფასო	2,9	2,8	2,3
043	მადაგასკარი-დრ კონგო	2,8	2,9	2,3
	18 ივნისი			
044	კოტ დივუარი-ტუნისი	1,9	2,9	3,6
045	ანგოლა-ზამბია	2,2	2,9	3,0
046	გვინეა-ზიმბაბვე	2,2	2,9	3,0
047	ლიბია-კამერუნი	3,6	2,9	1,9
048	სუდანი-ლიბერია	2,5	2,9	2,5

ინტერტოტო. I ეტაპი. I მატჩები
17 ივნისი

009	ფლორიანა (მალტა)-სტაბეკი (ნორვეგია)	6,0	3,8	1,4
010	მოგილიოვი (ბელარუსი)-სილკებორგი (დანია)	3,6	2,9	1,9
011	ზაგლებე (პოლონეთი)-ვილიაში (აზერბაიჯანი)	1,1	6,0	12,0
012	გლენავონი (ჩრდ.ირლანდია)-სლავენი (ხორვატია)	4,0	3,0	1,8
013	დუბლინი (ირლანდია)-ველბაჟდი (ბულგარეთი)	2,8	2,9	2,3
014	პრიმორიე (სლოვენია)-ვესტერლო (ბელგია)	2,5	2,9	2,5
015	ციბალია (ხორვატია)-ობილიჩი (იუგოსლავია)	2,4	2,9	2,6
016	ნეა სალამინა (კვიპროსი)-ვლაუნია (ალბანეთი)	1,4	3,5	7,0
017	ტრენჩინი (სლოვაკეთი)-დინაბურგი (ლატვია)	1,25	4,4	8,0
	18 ივნისი			
018	ქუიმბრანი (უელსი)-უნისპორტი (მოლდოვა)	2,4	2,9	2,6
019	ტორსჰაგენი (ფარერები)-ტატაბანია (უნგრეთი)	5.3	3.1	1.6
020	დინამო (საქართველო)-სტანდარდი (ბელგია)	ანგარიში - 5,0		
021	ფრიოლუნდა (შვედეთი)-ზრინსკი (ბოსნია)	1,4	3,5	7,0
022	მიუპა (ფინეთი)-ქსამაქსი (შვეიცარია)	2,2	2,9	3,0
023	ნარვა (ესტონეთი)-ჩაჰლაული (რუმინეთი)	3,4	2,9	2,0
024	არაქსი (სომხეთი)-სიგმა (ჩეხეთი)	5,6	3,4	1,5
025	ლინცერი (ავსტრია)-ჰაპოელი (ფ-თ/ისრაელი)	1,7	3,1	4,4
026	ლეიფტური (ისლანდია)-ლუცერნი (შვეიცარია)	3,2	2,9	2,1
027	პელისტერი (მაკედონია)-ჰობშაიდი (ლუქსემბურგი)	1,2	5,0	9,0
028	ქოჯაელი (თურქეთი)-ატლანტასი (ლიტვა)	1,2	5,0	9,0

I ტაიმი/ძირითადი დრო

			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
				17 ივნისი							
21.00	063	რუმინეთი-პორტუგალ.	4,5	6,0	15,0	6,5	4,0	5,5	18,0	6,0	3,8
23.45	064	ინგლისი-გერმანია	3,8	6,5	18,0	5,0	4,4	5,5	18,0	6,5	4,5
				18 ივნისი							
21.00	065	სლოვენია-ესპანეთი	12,0	12,0	15,0	15,0	6,0	2,5	40,0	12,0	1,8
23.45	066	ნორვეგია-იუგოსლავია	4,0	7,5	15,0	5,0	4,5	4,5	18,0	7,5	3,8
				19 ივნისი							
23.45	067	იტალია-შვედეთი	3,2	9,0	15,0	3,8	5,0	6,0	12,0	9,0	5,0
23.45	068	თურქეთი-ბელგია	6,5	9,0	12,0	7,5	5,0	3,1	20,0	9,0	2,8
				20 ივნისი							
23.45	069	ინგლისი-რუმინეთი									
23.45	070	პორტუგალია-გერმანია									
				21 ივნისი							
23.45	071	დანია-ჩეხეთი									
23.45	072	საფრანგეთი-ჰოლანდ.									

(დასაშვებია №№063-072 გადამრავლება)

რამდენ ქულას დააგროვებს ჯგუფში

			0	1	2	3	4	5	6	7	9
				17 ივნისი							
21.00	601	ინგლისი	8,0	6,0	4,0	3,8	2,0	—	3,3	—	—
21.00	602	გერმანია	—	7,0	5,0	4,5	3,0	3,0	—	4,5	—
21.00	603	პორტუგალია	—	—	—	6,0	3,4	4,0	3,4	3,5	5,0
21.00	604	რუმინეთი	—	3,0	2,0	6,0	3,8	4,0	—	7,5	—
				18 ივნისი							
21.00	609	ესპანეთი	10,0	6,0	6,0	3,8	2,5	—-	2,5	—	—
21.00	610	იუგოსლავია	—	4,7	2,8	4,0	2,8	2,8	—	5,6	—
21.00	611	ნორვეგია	—	—	—	7,5	3,2	4,0	3,0	3,0	3,8
21.00	612	სლოვენია	—	1,7	1,7	6,0	4,0	7,0	—	20,0	—

(№№601-612 დასაშვებია გადამრავლება არაუმეტეს თითო გუნდისა თითოეული ჯგუფიდან)

დასაშვებია მხოლოდ ის გადამრავლებები, რომლებიც მითითებულია სიაში არასწორი გადამრავლებისას, დარჩება პროგნოზთა ის ჯგუფი, რომლის კოეფიციენტთა ნამრავლიც მეტია

ევროპის ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონი 17 ივნისი (21.00)		ფინალში გასვლა 16 ივნისი (21.00)	
101 ჰოლანდია	3,6	201 ჰოლანდია	2,0
იტალია	4,0	იტალია	2,0
ინგლისი	4,0	ინგლისი	2,5
გერმანია	6,0	გერმანია	3,0
საფრანგეთი	5,0	საფრანგეთი	3,0
ესპანეთი	8,0	ესპანეთი	4,0
ბელგია	10,0	ბელგია	5,0
იუგოსლავია	15,0	იუგოსლავია	7,0
ნორვეგია	15,0	ნორვეგია	7,0
ჩეხეთი	15,0	ჩეხეთი	7,0
შვედეთი	25,0	შვედეთი	15,0
პორტუგალია	15,0	პორტუგალია	7,0
დანია	50,0	დანია	25,0
რუმინეთი	40,0	რუმინეთი	20,0
თურქეთი	60,0	თურქეთი	30,0
სლოვენია	100,0	სლოვენია	50,0

(დასაშვებია ორი გუნდის გადამრავლება)

ჯგუფში I ადგილი 17 ივნისი (21.00)		ჯგუფიდან გასვლა 17 ივნისი (21.00)	
301 ინგლისი	4,0	401 ინგლისი	1,6
გერმანია	2,0	გერმანია	1,4
პორტუგალია	1,6	პორტუგალია	1,2
რუმინეთი	5,0	რუმინეთი	2,5
ესპანეთი	2,0	ესპანეთი	1,5
იუგოსლავია	2,5	იუგოსლავია	1,9
ნორვეგია	1,6	ნორვეგია	1,15
სლოვენია	12,0	სლოვენია	6,0
(დასაშვებია სხვადასხვა ჯგუფის გამარჯვებულების გადამრავლება)		(დასაშვებია გადამრავლება არაუმეტეს ორი გუნდისა თითოეული ჯგუფიდან)	

ევროპის ჩემპიონატის ბომბარდირი

17 ივნისი (21.00)

701 კლუივერტი	—	701 კუკა	—
რაული	10,0	ტოტი	30,0
ანრი	—	ანდერსონი	30,0
შირერი	12,0	ლარსონი	30,0
ანელკა	—	ნედვედი	—
ოუენი	10,0	ჯორკაეფი	—
ბერხკამპი	—	კოვაჩევიჩი	30,0
კირსტენი	15,0	ზაჰოვიჩი	30,0
ფ.ინძაგი	15,0	ილიე	40,0
დელ პიერო	20,0	მილოშევიჩი	10,0
ტრეზეგე	—	ნილისი	40,0
მონტელა	20,0	შუქური	50,0
კოლერი	—	ფილიპსი	50,0
სოლსკიაერი	20,0	ვან ჰოიდონკი	50,0
ზიდანი	20,0	მენდიეტა	50,0
ფიგუ	20,0	ოვერმარსი	—
მიატოვიჩი	25,0	ჰესკი	50,0
ფლო	20,0	დიუგარი	—
სქოულზი	20,0	სტოიკოვიჩი	50,0
ფაულერი	25,0	ბერგერი	—
იანკერი	25,0		

იმ შემთხვევაში, თუ ორმა ან მეტმა ფეხბურთელმა გოლების თანაბარი რაოდენობა დააგროვა, დადებულ ფსონს ზემოთ მოგებული თანხა ბომბარდირთა რაოდენობაზე გაიყოფა

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი; თემქა, მე 11-ე მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და

ახალი ბიუროები: ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს" განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

გადამრავლება დასაშვებია მხოლოდ იმ წესით რომელიც ზემოთ არის მითითებული

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

მურმან ქურიძე:
თუ ასე გაგრძელდა, არც მსაჯი გვეყოლება და ვერც ჩემპიონატს ჩავატარებთ

მეცხრე ეროვნულის ფინალური სერიის მესამე შეხვედრამ საკალათბურთო წრეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. „ბასკო“ — „აზოტის“ მატჩის თვითმხილველებს არაერთგვაროვანი რეაქცია ჰქონდათ. რუსთაველთა ქომაგებმა და არა მარტო მათ დაუფარავად მსაჯებისკენ გაიშვირეს ხელი, „აზოტის“ მარცხი მთლიანად მაჩალაძე-ბერეკაშვილის დუეტის ნამუსზე იყოსო.

ის, რომ ეს შეხვედრა მართლაც სადავო და საკამათო გამოდგა, გუშინდელ „სარბიელშიც“ გაუწყეთ. არც კალათბურთის ფედერაციის გამოხმაურებამ დაახანა. სახელდახელოდ სადისციპლინო კომისია შეიკრიბა, მომხდარი გაანალიზა და შესაბამისი ზომებიც მიიღო.

მურმან ქურიძე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ამ სხდომას დაესწრო, უფრო მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ იგივე ქურიძე ზემოხსენებული მატჩის კომისარიც გახლდათ. სადისციპლინო კომისიას მან თავისი მოსაზრებები გაანდო და მაჩალაძე-ბერეკაშვილის ნაღვაწსაც თავისებური შეფასება მისცა, მერე კი ჩვენი თხოვნაც დააკმაყოფილა. ერთი სიტყვით, ბატონ მურმანთან უფრო დეტალურ, საქმიან საუბარზე შევთანხმდით:

მურმან ქურიძე ეროვნულის ფოტო

ფინალის მესამე მატჩი: კომისარ მურმან ქურიძეს და შეხვედრის არბიტრებს განსასჯელი საკმაო ჰქონდათ

— რა მიზეზით შეიკრიბა სადისციპლინო კომისია?

— ყოველივეს საფუძვლად რუსთაველის „აზოტის“ არაკორექტული საქცილი დაედო. მატჩის დაწყებიდან დამთავრებამდე და მერეც რუსთაველთა მხრიდან მსაჯების მიმართ ძალიან დიდი ბოღოლა იგრძნობოდა და ამ ფაქტზე ეჭვიანობა დანაშაული იქნებოდა. თამაში კარგა ხნის დამთავრებული იყო, მაჩალაძე და ბერეკაშვილი საგანგებოდ შეგაყოვნე მსაჯთა ოთახში, მინდოდა, ყველგვარი გართულებებისგან ამეცილებინა ბიჭები. მოულოდნელად გარეთ ამოსულებს მაინც უამრავი ხალხი დაგხვდა. ლანძღვა-გინებით აგვიკლეს, ეხადია, ისინი „აზოტის“ გულშემატკივრები იყვნენ.

ხმელიიმ თავიდანვე გაამწვავა სიტუაცია, მატჩის პირველივე წუთებზე ცრულიად უსაფუძვლოდ მოიჭრა სამეიენო მაგიდასთან და მსაჯთა გადაწყვეტილების გაუქმება მომთხოვა. კომისრის ფუნქციები კი, მოგეხსენებათ, ეგვარ ქმედებებს არ ითვალისწინებს.

შეხვედრის ხასიათიდან გამომდინარე, შემდგომ „აზოტმა“ გამოასწორა თამაში და ანგარიშიც თავის სასარგებლოდ წაიყვანა, ამ დროს თითქოს ყველაფერი დალაგდა და მეც დავშვიდდი, იმედი მქონდა, რომ მატჩი ასევე დამთავრდებოდა, მაგრამ...

თამაშის მიწურულს, როცა რუსთაველებმა უპირატესობა დაკარგეს, მათი მხრიდან იმატა პრეტენზიებმა მსაჯების მიმართ. ისინი ჩემპიონობის მაძიებელი გუნდისათვის ყოვლად შეუფერებელი საქციელით გამოხატავდნენ უკმაყოფილებას. ახლაც ვერ მივმხვდარვარ, ნუთუ მართლა დაუმახურეს ოდ მოიგო „ბასკომ“?

— თქვენ, როგორც ამ მატჩის კომისარი, კმაყოფილი დარჩით მაჩალაძისა და ბერეკაშვილის მსაჯობით?

— თავიდანვე გეტყვით, მე სრულიად გამოვრიცხავ ტენდენციურ მსაჯობას. მსგავს ქმედებებს მსაჯების მხრიდან ადგილი არ ჰქონია. მაჩალაძისა და ბერეკაშვილის ინტერესის სფეროში კარგი, ობიექტური მსაჯობა წარმოადგენს და არა რომელიმე კლუბის ჩემპიონობა. მერწმუნეთ, მიკერძოება ამა თუ იმ გუნდის მიმართ იმ წუთშივე ცნს და ვერავის გამოაპარებ.

ეიყო მომენტები, როცა მწვრთნელები ერ ეთანხმებოდნენ მსაჯთა გადაწყვეტილებებს. შესაძლოა პირადად მე ამა თუ იმ ეპიზოდში სხვანაირად მოვქცეულიყავი, მაგრამ განა ვინმეს ოდესმე ეგონოს მატჩი, მსაჯთა ქმედებები ორივე ბარისთვის მისაღები ყოფილიყოს?

თქვენს კითხვაზე კი აი, რას გიპასუხებთ — მსაჯი საერთოდ აზრთა ერთეულებით ფასდება. ზედმიწევნით ბოთელილი უნდა იყოს ის საეჭვო სიტუაციები, რომლებიც ნებსით თუ უნებლიედ მსაჯის სასტვენმა დააფიქსირა. კონკრეტულ მატჩს თუ ჩავეძიებით, აღმოვაჩენთ, რომ მსაჯების გადაწყვეტილებებს შედეგზე მნიშვნელოვანი გავლენა არ უნდა მოეხდინა, ამაში ჩემი ვერც ერთი ოპონენტი ვერ დამარწმუნებს.

მთლიანობაში კარგი შეფასება მიეცეთ არბიტრებს, მატჩის სადავეები მაჩალაძესა და ბერეკაშვილს ხელიდან არ გაუშვიათ, რაც მათ კარგ მომზადებაზე მიგვანიშნებს.

ახლა სხვაგვარადაც შევხედოთ საკითხს — ორივე გუნდს შეეძლო მოგება. გოგობერიშვილს ორივე საჯარიმო რომ ჩაეგდო, გამარჯვება ხომ „აზოტს“ დარჩებოდა? თუნდაც ბასკოელ დავითულიანზე ვთქვათ. მსაჯის რა ბრალია, თუ მან ოთხივე საჯარიმო გააცუდა? კარგი იქნებოდა, გუნდებს დამარცხების მიზეზთა რკვევა აქედან დაეწყოთ. ჩვენში რატომღაც ჯოხი ყოველთვის მსაჯებზე ტყდება. ვერაფრით გავამართლებ ოთარ ხმელიძეს, რომელიც 39 ქულით წაგების შემდეგ საინფორმაციო საშუალებებით არბიტრებს აკრიტიკებს.

— მეთანხმებით, რომ მსაჯებმა „აზოტის“ საზიანოდ უფრო მეტი შეცდომა დაუშვეს?

— რას გულისხმობთ?

— თუნდაც ძირითადი დროის უკანასკნელი წამები გავიხსენოთ. არ ეუხეშნენ წიკლაურს ბათუმელები?

— იმის თქმა, რომ „აზოტს“ მსაჯთა გადაწყვეტილებამ წააგებინა, არ იქნება სწორი. არც ისაა გამორიცხული, იმ მომენტში სხვა არბიტრი სხვანაირად მოქცეულიყო, ანუ ჯარიმა დაესტვინა. სხვათა შორის, ბოლო წამების ფაქტორი ძალაუნებურად ყველა მსაჯზე ვრცელდება, ისიც ადამიანია და განსაკუთრებული პასუხისმგებლობის წინაშე დგება. თანაბარი ანგარიშის დროს ბოლო წამზე ასეთი ჯარიმა რომ დანიშნოს, უაღრესად თავდაჯერებული უნდა იყოს, სხვანაირად ვერ გარისკავს. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში მაინც მგონია, რომ არ იყო ჯარიმა, თორემ მაჩალაძე და ბერეკაშვილი ისეთი ხალხი არ არის, ანგარების მიზნით ემოქმედათ. სამსაჯო პრაქტიკაში მსგავსი შემთხვევები ძალიან ხშირად ხდება და ეს ტრაგედიად არ უნდა აღვიქვათ.

— ბატონო მურმან, საკალათბურთო წრეებში უკვე ამბობენ, რომ ქართული კალათბურთის მომავლისთვის „ბასკოს“ გაჩემპიონება სჯობს...

— ეს აზრი უკვე ბევრჯერ დამიხვდა წინ. შესაძლოა რაღაც მიზნით მავანს მართლაც აძლევდეს ხელს „ბასკოს“ ჩემპიონობა, მაგრამ რომელ მსაჯს მოეწონება მისი მისამართით ხალხის გაუთავებელი ლანძღვა-გინება, როცა იქვე, დარბაზში, მისი მეუღლე, შვილი, ძმა, მეგობარი ზის? თქვენს კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა ძალიან გამიჭირდება, თუმც ერთი რამ ნამდვილად ვიცი — ყველა კლუბს თავის მწვრთნელ-კალათბურთელებიანად ერთად აღებულს ჩემი თავი მირჩევნია. საკუთარ თავმოყვარეობას ყველაფერზე წინ ვაყენებ.

ჩვენ დღესაც ვამაყობთ იმით, რომ ქართულ კალათბურთში ჯერ არავის უთქვამს თამაში გაიყიდაო. ეს ჩემზე წინა, ჩემი და ახლანდელი თაობების ერთობლივი დამსახურებაა და ეს ტრადიცია არ უნდა დაირღვეს. მოდით, ყველანი დავფიქრდეთ, თუ ჩვენ ობიექტურნი არ ვიქნებით არბიტრების მიმართ და ხელს არ შევუწყობთ, გვეყოლება კი მსაჯი საერთოდ? შესაძლებელი იქნება ეროვნული ჩემპიონატის გამართვა?

— ამ სფეროში მართლაც უამრავი პრობლემაა და ჩამოთვლა ახლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ერთზე მინდა გკითხოთ, რამაც საზოგადოებაში არაკლები ეჭვი წარმოშვა. ფინალური სერიის პირველ ორ მატჩში თქვენ იმსაჯეთ. მესამე შეხვედრას, აბბობენ, საგანგებოდ აარიდა ქურიძემ თავიო...

— გულწრფელად გეტყვით, ეს თამაში მე და ზურაბ აბაშიძეს უნდა განგვესაჯა, წინასწარ ასე იყო დაგეგმილი. აბაშიძემ წინა დღეს მითხრა, რომ თავს შეუძლოდ გრძნობდა და მთხოვა, ამ მატჩზე მისი მსაჯად დანიშვნისგან თავი შემეკავებინა. მე კი ფინალური სერიის პირველივე მატჩში აქილევსის მყესი დავიზიანე. თავიდან ამას ყურადღება არ მივაქციე და მერე თამაშის მსაჯობაც ჩემს თავზე ავიღე, მაგრამ ისეთი ტკივილები ვიგრძენი, რომ ცოტაც და გამოსაცვლელი გავხდებოდი. მერე კი ექიმებს მივმართე და დიაგნოზი რომ დამისვეს, მსაჯობა კი არა სიარულიც ამიკრძალეს. მატჩის წინ ხმელიძემაც თხოვნით მომმართა, რომ მე მემსაჯა, მაგრამ გასიებული ფეხი რომ ვაჩვენე, აღარაფერი უთქვამს. რა მექნა, სახალხოდ ვერ გამოვცხადებდი, რაშიც იყო საქმე, ჩემმა კოლეგებმა კი ძალიან კარგად იციან, რომ ქურიძე ის კაცი არაა, რაიმეს თავი აარიდოს.

— ბატონო მურმან, ახლო წარსულმა ნათლად დაგვანახვა, რომ უცხოელ მსაჯთა ჩამოყვანა ამ ეტაპზე არის ერთადერთი გზა, რომელიც არბიტრებთან დაკავშირებულ პრობლემებს თავიდან აგვაცილებს...

— მსგავსი შემთხვევა ამ ოთხი წლის წინ მართლაც გვქონდა. ოჯახური პირობების გამო თავად არ გახლდით თბილისში, თუმც მოგვიანებით საშუალება მომეცა, ვიდეოჩანაწერის საშუალებით იმ მოსკოველი მსაჯების დონე შემეფასებინა. სწორედ ამაზეა ნათქვამი, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ისინი გაცილებით დაბალი დონისანი იყვნენ, ვიდრე ქართველი მსაჯები. მაჩალაძესა და ბერეკაშვილს მათ ვერც კი შევადარებ, მოსკოველები მსაჯობის ყველა გაზზომილებით აშკარად ქვედა საფეხურისანი ჩანდნენ, არადა, მათ მიმართ პრეტენზიები არავის გამოუთქვამს, ყველა კმაყოფილი დარჩა. აქ სადღაც ქართული მენტალიტეტის ხელიც ურევია.

დარწმუნებული ვარ, ახლაც რომ უცხოეთიდან ჩამოგვეყვანა მსაჯები, თუნდაც უცოდინრები ყოფილიყვნენ, სიტუაცია არ გართულდებოდა.

სხვა მხარეცაა, აქ ჩამოსულ არბიტრს თითოეულ თამაშზე 600 გერმანული მარკა უნდა გადაუხადო, უნდა აცხოვრო არანაკლებ ოთხვარსკვლავიან სასტუმროში, აუნაზღაურო გზის ფული. გეკითხებით, შეძლებს ფედერაცია ამ ხარჯების გაღებას? თანაც მარტო ფინალი ხომ არ არის, რეგულარული ჩემპიონატია, ექვსეულის თამაშებიც. თუ ფედერაციის ბიუჯეტი ყოველივე ამას გასწვდება, მაშინ ჩვენ ტრიბუნებზე გადავინაცვლებთ და სარბიელს უცხოელებს დავუთმობთ. მაგრამ გეუბნებით, შემდგომში ჩვენ აღარასოდეს გვეყოლება ძლიერი მსაჯი, ეს კი კატასტროფის ტოლფასი იქნება.

მსაჯობა რატომღაც ყველაზე აქტუალურ თემად იქცა ქართულ კალათბურთში. ეს არ უნდა იყოს ასე, სხვა რამეებსაც შევხედოთ და დასკვნები შემდეგ გავაკეთოთ. ჩემი აზრი ასეთია: ივივე „ბასკო“ და „აზოტი“ თუნდაც რუსეთის ჩემპიონატში რომ ათამაშო ჯერჯერობით, ალბათ, მხოლოდ რამდენიმე შეხვედრას თუ მოიგებენ. მათგან დაწუნებული ქართველი მსაჯები კი, თუნდაც ბერეკაშვილი და მაჩალაძე, დარწმუნებული ვარ, რომ იმავე რუსეთის ჩემპიონატის ნებისმიერი მატჩის მსაჯობას გაართმევენ თავს. ეს სხვა დროს არ მითქვამს, ყოველთვის თავს ვიკავებდი, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი, ყელში ამოვიდა ამდენი აგრესია მსაჯების მიმართ.

გიორგი ბიკაშვილი

...ზოტი გააფრთხილეს და დასაჯეს

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ განიხილა ქვეყნის ჩემპიონატის ფინალური სერიის მესამე მატჩთან დაკავშირებული ამბები და მკაცრი გადაწყვეტილებები მიიღო.

კომისიამ ჩათვალა, რომ რუსთავის „აზოტის“ ხელმძღვანელობამ თავის მოთამაშეთა შორის შექმნა ...ასაკანალი ატმოსფერო: ვითომდა მატჩის მსაჯები და კალათბურთის ფედერაცია მათ წინააღმდეგ იყვნენ განწყობილი. კომისიამ ...ადგინა, რომ „აზოტი“ და მსგავსი სიტუაციის განმეორების შემთხვევაში გუნდს ეროვნული ჩემპიონატიდან მოხსნით დაემუქრა. კომისიის აზრით, „აზოტის“ მეორე მწვრთნელი ამირან ხაჩიძე ...ორაქტულად მოქცა მატჩის სამდივნოს. ამისთვის მას დარჩენილ მატჩებში დისკვალიფიკაცია მიეცა. ფინალისტთა ზოგიერთი თამაშეების საქციელის შესახებ საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ საგანგებოდ იმსჯელებს.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

...ორთახიანი ბინა დიღმის მასივში, გაზით, ტელეფონით, 30 კვ. მეტრი მიშენებით. 1 სართული, საგარაჟე ადგილით. ...ასრდაფით. მისამართი: დიღმის მასივი, მე-4 კვარტალი მე-19 კორპუსი.

დაგვიკავშირდით: 8 99 51-16-78; 95-88-61; 39-71-98

ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ᲚᲘᲛᲝᲟᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲥᲪᲐ

ᲒᲚᲔᲣᲚᲡ სამიდან სამ ტურნირის (საფრანგეთის ჩემპიონატი და თასი, კორაჩის თასი) მომგები ფრანგული „ლიმოჟი“ რომ ფინანსურ კრიზისში იყო და ამის გამო საფრანგეთის ეროვნულმა საკალათბურთო ლიგამ პრო A-ში თამაში აუკრძალა, რამდენიმე დღის წინ მოგახსენეთ. „ლიმოჟმა“ თავისი ქვეყნის კალათბურთის ფედერაციაში სარჩელი კი შეიტანა, მაგრამ მისი საქმე საბოლოოდ ჯერაც არ გადაუწყვეტიათ. მანამდე კი გუნდი სუპროლიგის გარეშეც დატოვეს ფრანგმა ჩინოსნებმა. იგი მომავალ სეზონში ევროსარბიელზე მაინც ითამაშებს, კორაჩის თასზე, იმიტომ, რომ მისი გამარჯვებულია. კლუბის პრეზიდენტ ჟან-პოლ დე პერეტის გადადგომამ მოუწია, მის ადგილზე კი ჯერჯერობით არავინ აურჩევიათ. ამდენი უბედურების მიუხედავად, „ლიმოჟი“ მაინც იბრძვის, ფულს ეძებს, რათა ვალები გადაიხადოს და ახალი სეზონისთვის ბიუჯეტი შეავსოს. ჯერჯერობით ამ ბრძოლას დიდი წარმატებები არ მოჰყოლია.

მეტიც, ორიოდ დღის წინ „ლიმოჟმა“ კიდევ ერთი მძიმე დანაკარგი განიცადა. შარშან მის მთავარ მწვრთნელად დანიშნული დუშკო ივანოვიჩი ამიერიდან გუნდს აღარ გაწვრთნის. ეს თვით ივანოვიჩმა აცნობა საინფორმაციო საშუალებებს ხუთშაბათს, კლუბის დროებით ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ.

„მომავალ სეზონში „ლიმოჟის“ მთავარი მწვრთნელი მე აღარ ვიქნები“ — თქვა ისტორიული ჰეთ-თრიქის მთავარმა სულისჩამდგმელმა. გავრცელდა ხმები, თითქოს ჩერნოგორიელი სპეციალისტი ესპანურ „ვიტორიას“ უნდა ჩასდგომოდა სათავეში, მაგრამ ბასკეთის დედაქალაქში უცილობლად გადასვლა ივანოვიჩმა უარყო: „ეს მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტია. რაც შეეხება „ლიმოჟიდან“ წასვლას, უნდა ვთქვა, რომ ეს გადაწყვეტილება ჩემი კარიერისთვის და ჩემი ოჯახისთვისაც მეტად მძიმე დარტყმა იყო, მაგრამ კლუბის მომავალი ბურუსითაა მოცული, მოცდა კი უკვე აღარ შემიძლია“.

აწ უკვე ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა „ლიმოჟში“ გატარებულ ერთ წელს ბრწყინვალე უწოდა და გუნდის ქომაგებიც დიდი სიყვარულით მოიხსენია. ბოჟიდარ მალკოვიჩის (რომლის ესპანური „უნიკახაც“ კორაჩის თასის ფინალში დამარცხა „ლიმოჟმა“) მოწაფემ განაცხადა, რომ ძალიან დასწყდა გული, „ლიმოჟს“ სუპროლიგაში გამოსვლა რომ აუკრძალეს. „ეს უსამართლობაა. ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში ქვეყნის ჩემპიონის არდაშვება უდიდესი დანაშაულია“ — თქვა მან.

ჟურნალისტებთან შეხვედრის ბოლოს კი ივანოვიჩმა თქვა, რომ გუნდიდან არავინ მიჰყავს (ამბობდნენ იან ბონატო და ფრედერიკ ვეისი მიჰყვებიანო) და, ალბათ, ისეთი გუნდის თავკაცი გახდება, რომელიც მხოლოდ ევროპაში საუკეთესოს სახელისთვის იბრძოლებს.

ᲒᲐᲒᲘ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ

ექიმი და ანდრეს ჯანი



REUTERS ლონდონიდან

გრეგ რუზეცკი

ლონდონი. ინგლისი. „სტელა არტუას პირველობა“. ბალახი. საპრიზო 1 მილიონი $

ანდრე აგასის სეზონი იანვარში ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონობით დაიწყო, მაგრამ მას შემდეგ ხოტორა ლასვეგასელი ფინალშიც არსად გასულა, კვირეების მანძილზე ამა თუ იმ იარას იშუშებს და გამუდმებით ადრეულ ეტაპზე ვარდება ტურნირებიდან.

მსოფლიოს პირველ ჩოგანს დიდი იმედი ჰქონდა, რომ ბორბალს წალმა ლონდონში, „ქუინსის“ ტურნირზე დაატრიალებდა და უიმბლდონის გენერალურ რეპეტიციაზე ბალახის ანა-ბანას დაიზეპირებდა, მაგრამ არც აქ გაუმართლა.

მერვედფინალში აგასის მეტოქე მიხრწნილი იტალიელი ვეტერანი ჯანლუკა პოცი იყო. ამერიკელი მსგავს მოწინააღმდეგეთა დაჯაბნას თვალახვეული და ფეხებშეკრული მოახერხებს. პირველმა სეტმა ეს აშკარად დაადასტურა და ანდრეს არც შემდეგ გაუჭირდებოდა რაიმე, მოულოდნელად უსიამოვნო ინციდენტი რომ არ მომხდარიყო.

1:2-ზე მეორე სეტში აგასი შემოკლებულს გამოედევნა, მიუსწრო და ბადის მეორე მხარესაც მიუჩინა ადგილი, ოღონდ ამასთან ფეხი დაუცურდა და მთელი ძალით დაენარცხა მიწას.

ამერიკელმა ექიმის დახმარების შემდეგ ერთი გეიმის დასრულება კიდევ შეძლო, მაგრამ მოძრაობა აშკარად უჭირდა და 6:4, 2:3-ზე თამაშის გაგრძელებაზე უარის თქმა მოუხდა. ამდენი უიღბლობა, აბა, ვის არ დააკარგვინებს მოთმინებას და ანდრემაც თავისი გაღიზიანება ჩოგნის ფეხზე გადამტვრევით გამოხატა.

„ძალიან შემეშინდა. არ ვიცოდი, რა მოხდა და მძიმედ დავშავდი თუ არა. ხეირიანად წონასწორობის შენარჩუნებას ვერ ვახერხებდი, მწვავე ტკივილს ვგრძნობდი და არ მსურდა, უიმბლდონის წინ კიდევ უფრო სერიოზული ტრავმა მიმეღო“ — აღნიშნა ლასვეგასელმა.

ATP ტურის ექიმის, დაგ სპრინის თქმით, ჩოგბურთელმა ზურგი და ბარძაყი დაიზიანა, თუმცა საშიში არაფერი და უიმბლდონის დაწყებამდე, წესით, ყველაფერი უნდა მოგვარდეს.

„ორი-სამი დღე, ალბათ, ტკივილები შეაწუხებს და ვერ ივარჯიშებს, მერე კი თანდათან საქმე გამოჯანმრთელებისკენ წავა. ჩვენ ოპტიმისტურად ვართ განწყობილი და შევეცდებით, ერთ კვირაში ანდრე ფეხზე დავაყენოთ“.

თავად აგასი სეზონის მესამე დიდი სლემის ტურნირამდე დარჩენილ დროს ინგლისში გატარებს.

„მე მთლიანად დაგს მივანდე თავი. ის ყინულებითა და გარკვეული მანიპულაციებით მიმკურნალებს. ვიცი, რომ უიმბლდონისთვის იდეალურად მომზადებული არ ვიქნები, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს — აღნიშნა ანდრემ და როგორც ნამდვილ ლასვეგასელს შეეფერება, საკუთარი მდგომარეობა ბანქოს თამაშს შეადარა (საკმაოდ ბუნდოვნად) — გარკვეულ მომენტში ყველაზე მაღალ ქაღალდს უნდა ჩამოხვიდე და შენი შანსი გამოიყენო. შევეცდები, რამდენიმე მატჩში ბლეფის დამხარებით გავიდე ფონს, იქნებ მერე უკეთ ვიგრძნო თავი“.

რაც შეეხება პოცის, მისი მომდევნო მეტოქე რუსი მარატ საფინი იქნება.

საფინს აქამდე ბალახის საფარზე კარიერაში სულ სამჯერ ეთამაშა და სამჯერვე წააგო. რაკი მისი ახლანდელი მწვრთნელი, ანდრეი ჩესნოკოვი თავადაც არ გახლავთ მცენარეულობის დიდი მოყვარული, რუსის მენეჯერი იონ ცირიაკი სტეფან ედბერგისა და პეტერ კორდას ლეგენდარულ მწვრთნელ ტონი პიკარდს დაუკავშირდა და დახმარება სთხოვა.

პიკარდი კარგა ხანია, დამსახურებული პენსიონერია და დროს გოლფის თამაშით კლავს, თუმცა მსოფლიო ჩოგბურთის მომავალ სუპერვარსკვლავთან მუშაობის შანსი ხელიდან არ გაუშვა და წინადადებას დასთანხმდა.

პიტ სამპრასამდე საფინს ჯერ კიდევ ძალიან ბევრი უკლია და ბადესთან გასვლასაც დანაღმული ველივით უფრთხის. ამის გათვალისწინებით პიკარდი რუსის უიმბლდონის ფავორიტად ქცევას ღვთაებრივ შემწეობით თუ შეძლებს.

თუმცა ჯერჯერობით უვიცის კვალობაზე საფინი არცთუ ურიგოდ ირჯება: ორი მატჩი მოიგო, პიკარდის ყოფილი შეგირდი გრეგ რუზეცკიც (9) 6:7 (2:7), 7:6 (7:5), 6:4 დაამარცხა და მეოთხედფინალის საგზურიც მოიპოვა.

„ბალახზე თამაში ჯერაც ძალიან მიჭირს. ხანდახან მავიწყდება და მგონია, რომ თიხნარზე ან ჰარდზე ვარ, ბურთი კი სულ არ ხტის. ამიტომ გაკვირვებული და ნასიამოვნები ვარ მიღწეულით“ — აღნიშნა რუსმა.

რუზეცკიც გაკვირვებულია, ოღონდ საკუთარი საზიზღარი თამაშით — მატჩში მან 14 ორმაგი და უამრავი უნებლიე შეცდომა დაუშვა: „ჩემი მთავარი იარაღი მოწოდებაა, და თუ ის არ მიმუშავებს, ჩათვალეთ, რომ მარცხენა ხელი არ მაქვს. ფეხზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ ძველებური ფორმა ვერაფრით აღვიდგინე.“

მერვედფინალი: **პიტ სამპრასი (2, აშშ)** — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:1, 7:6 (7:2); **სედრიკ პიოლინი (4, საფრანგეთი)** — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:4, 7:5; **ლეიტონ ჰიუიტი (6, ავსტრალია)** — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:4, 6:4; **ანდრეი პაველი (12, რუმინეთი)** — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 7:6 (7:5), 3:6, 7:5; **ბობ ბრაიანი (აშშ)** — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:4, 1:6, 6:2; **დავიდე სანგვინეტი (იტალია)** — დანიელ ნესტორი (კანადა) 6:3, 4:6, 7:5.

ჰალე. გერმანია. „გარი ვებერის პირველობა“. ბალახი. საპრიზო 1 მილიონი $

მერვედფინალი: **ევგენი კაფელნიკოვი (1, რუსეთი)** — ოსკარ ბურიეზა (ესპანეთი) 6:7 (3:7), 7:6 (8:6), 6:3; **ნიკოლას კიფერი (2, გერმანია)** — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:7 (11:13), 6:1, 6:2; **ნიკოლას ლაპენტი (3, ეკვადორი)** — კარლოს მოია (ესპანეთი) 4:6, 7:6 (7:4), 6:4; **მაიკლ ჩანგი (აშშ)** — ანდრეი მედვედევი (5, უკრაინა) 2:6, 7:6 (8:6), 6:4; **რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია)** — პატრიკ რაფტერი (8, ავსტრალია) 6:7 (4:7), 7:6 (7:5), 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიცარია)** — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 6:2, 6:3.

ავთანდილ სვანიძე

REUTERS ლონდონიდან

ანდრე აგასი მიწაზე გაიშხლართა

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ ნონა გაფრინდაშვილს ძმის **ნუგზარ გაფრინდაშვილის** გარდაცვალების გამო

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაუგრძნობს სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტს, ნონა გაფრინდაშვილს ძმის **ნუგზარ გაფრინდაშვილის** გარდაცვალების გამო

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია თანაუგრძნობს ნონა გაფრინდაშვილს ძმის **ნუგზარ გაფრინდაშვილის** გარდაცვალების გამო

F1

მერვე ეტაპი **კანადის დიდი პრიზი**

ჟილ ვილნევი

მონრეალი, 18 ივნისი



ტრასის სიგრძე .... **4.421 კმ**
რბოლის დისტანცია .... **69 წრე — 305.049 კმ**

რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 22 საათზე

შარშანდელი შედეგები

1 ჰაკინენი (მაკლარენი); 2 ფიზიკელა (ბენეტონი); 3 ირვინი (ფერარი); 4 რ. შუმახერი (უილიამსი); 5 ჰერბერტი (სტიუარტი); 6 დინიცი (ზაუბერი)

კვალიფიკაცია: მ. შუმახერი (ფერარი) 1:19.298

წინა წლების გამარჯვებულები

1990 — სენა (მაკლარენი); 1991 — პიკე (ბენეტონი); 1992 — ბერგერი (მაკლარენი); 1993 — პროსტი (უილიამსი); 1994 — მ. შუმახერი (ბენეტონი); 1995 — ალეზი (ფერარი); 1996— ჰილი (უილიამსი); 1997, 98 — მ. შუმახერი (ფერარი)

საუკეთესო წრე: 1998 — მ. შუმახერი (ფერარი) 1:19.379 (200,45 კმ/სთ)

მაკლარენის სადღეგრძელო და ვილნევის შესანდობარი



1982 წელი: ბელგიაში, „ზოლდერზე“ ასეთი ავარიის შემდეგ ჟილ ვილნევს რალა გადაარჩენდა

კანადა შედარებით გვიან, 1967 წლიდან ჩაერთო სამეფო რბოლების ორომტრიალში. პირველი ეტაპი ტორონტოში, „მოსპორტპარკის“ ავტოდრომზე, საკუთარი კონსტრუქციის ბოლიდით მოასპარეზე ავსტრალიელმა ჯეკ ბრებემმა მოიგო.

1978 წლიდან კანადის დიდი პრიზის გათამაშებამ მონრეალში გადაინაცვლა. წმინდა ლავრენტის მდინარეში ამოზრდილ კუნძულზე გაშენებული ავტოდრომის გახსნის რბოლაში ყველას ჟილ ვილნევის „ფერარიმ“ აჯობა. ეს „პატარა პრინცის“ ერთადერთი გამარჯვება აღმოჩნდა მშობლიურ ტრასაზე. ჟილი 1982 წელს, ბელგიაში კვალიფიკაციისას დაიღუპა. სამწუხაროდ, იმ ტრაგიკული ჩემპიონატის უბედურება ამით არ ამოწურულა. სამი თვის შემდეგ სწორედ მონრეალის ტრასამ, რომელსაც ვილნევის სახელი დაარქვეს, იტალიელი რიკარდო პალეტი იმსხვერპლა. 24 წლის მილანელი მისი რბოლის სანახავად ჩასული დედის თვალწინ, სტარტიდან ასიოდე მეტრში ისეთ საშინელ ავარიაში მოჰყვა, რომ ექიმებმა ვერაფრით უშველეს და რამდენიმე საათში საოპერაციო მაგიდაზე დალია სული. საბედნიეროდ, ის ტრაგედია ერთადერთია კანადური ეტაპის ისტორიაში.

მონრეალის ტრასა სახიფათოთა რიცხვს არ განეკუთვნება — საშუალო სირთულისა და სტანდარტული სი[...] გრძის წრე არც ისე სწრაფია. მარ[...] ლია, იქ სამი ადგილია, სადაც სიჩქარ[...] 300 კილომეტრს აღწევს, მაგრამ სწ[...] რი მონაკვეთების სიმოკლე მეტად [...] ქანების საშუალებას არ იძლევა. ს[...] ქარის რეკორდი — 200,45 კმ/სთ [...] რშანწინ დაამყარა მიხაელ შუმახერ[...] „ფერარიმ“. სწორედ მიხაელმა და ბ[...] ზილიელმა ნელსონ პიკემ მოიპოვეს [...] ნადაში ყველაზე მეტი გამარჯვება — მათ მარაგში სამ-სამი დიდი პრიზი[...] გუნდურში რვა მოგებით „მაკლარენი“ წინ, „ფერარი“ ერთით ჩამორჩება.

მამის სახელობის ავტოდრომზე ჯე[...] ერთხელაც ვერ იყოჩაღა ჟაკ ვილნ[...] ვმა. მისი ერთადერთი მონაგარი მე[...] რე ადგილია (1996).

საინტერესოა, რომ ბოლო ოც გა[...] მაშებაში ყოველწლიურად იცვლე[...] და გამარჯვებული (გამონაკლისია [...] ხაელ შუმახერი, რომელმაც (1997-98 წლებში ზედიზედ ორჯერ მიაღწია [...] რმატებას). ასე რომ, მიკა ჰაკინენს ხვ[...] მოგების არც ისე დიდი შანსი აქვს [...]

და კიდევ. ახალზელანდიელი [...] ბოლის, ბრიუს მაკლარენის მიერ [...] თქმის ოთხი ათეული წლის წინ შე[...] მნილი გუნდის ბოლიდები ხვალ [...] ხუთასედ გავა სტარტზე. ჰაკინენი[...] და კულჰარდიც, ცხადია, გაათკე[...] ბული მონდომებით იბრძოლებენ ამ [...] საიუბილეო ეტაპის მოსაგებად.

ირაკლი ნიკოლა[...]

ბრინს ფეხი წაუცდა

ჰელსინკში „ერიქსონის გრან პრი“ გათამაშდა, ოღონდ მანამდე ჰაიკე დრექსლერზე ვთქვათ. ექსალმოსავლეთგერმანელი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ქუსლის ძვლმა ტრავმამ ისევ შეაწუხა. ეს ამბავი ვარჯიშის დროს მოხდა, დრექსლერი სიგრძეზე ხტომისას უხერხულად დაეცა და ამიტომ „ოქროს ლიგის“ პარიზისა და რომის ეტაპებს გამოტოვებს. პირველი 23 ივნისს გაიმართება, მეორე — კვირისთავზე. „სერიოზული არაფერია — უთხრა ჟურნალისტებს მხტომელის მწვრთნელმა ალან ბლონდელმა — უბრალოდ, ტრავმამ თითქოს გვაგრძნობინა, რომ ჰაიკე გადაღლილია და დასვენება სჭირდება. იგი სამ კვირას დაისვენებს“. ამასობაში სხვები მუშაობენ. ჰელსინკში ყველაზე საჩინო ფიგურა ამერიკელი მორის გრინი იყო, რომლის სანახავად უფრო მივიდა ფინელთა დედაქალაქის სამძლეოსნო სარბიელზე 19602 მაყურებელი. გრინმა ვერ გაამართლა, უფრო ზუსტად, არ გაუმართლა: სასტარტო სატერფული უკან გაუცურდა (ვისი ბრალიცაა, პასუხი მოეთხოვება) და მერე ცოფიანივით კი გაიქცა, მაგრამ ამან მხოლოდ მეორე ადგილისთვის იკმარა. ორი მეასედი წამით გრინზე ადრე ფინიშს ამერიკელმა ბრაიან ლუისმა უწია. პრესკონფერენციაზე გრინი თავმდაბალი ჩანდა და არც ლუისს უტრაბახია ბევრი. „სატერფული გაცურდა, მაგრამ ეს თავის გასამართლებელი საბუთი არაა, დღეს მაინც უძლიერესმა მოიგო“ — თქვა პირველმა, „ამ მოგების მთავარი შედეგი ჩემთვის ისაა, რომ ამერიკის ნაკრებში მოხვედრის შანსი მომემატა“ — დაუმატა მეორემ.

800 მეტრზე ირბინა უილსონ კიპკეტერმა, თუმცა ექსკენიელს რაიმე გამოსარჩევი შედეგი არ უჩვენებია, წუთი, 44 და 27 მეასედი წამი დაახარჯა საქმეს. დანიის სახელით მორბენალმა თავისი მიღწევით კმაყოფილება გამოთქვა, რიტმში შევედი და სიდნეის ოლიმპიადამდე ნელ-ნელა ვუმატებო. ამავეს იტყოდა ირლანდიელი ქალბატონი სონია ოსალივანი, 5000 და 10000 მეტრებზე ევროპის ჩემპიონი, თუმცა მან ჰელსინკში მხოლოდ 3000 მეტრზე ირბინა. სალივანმა დისტანცია დიდი უპირატესობით მოიგო და შემდეგ აღნიშნა, რომ სწორედ გამარჯვება და არა გამორჩეული შედეგის ჩვენება იყო მისი მთავარი მიზანი.

იყვნენ კიდევ ანიერ გარსია, რომელმაც წინაღობებიანი 110 მეტრი ძლიერ მკვირცხლად გაირბინა და უახლოეს მდევარს ორი ნაბიჯით მაინც გაუსწრო. აქვე ვთქვათ შუბის მტყორცნელებზეც. ფინელი აკი პარვიაინენი და ბერძენი კონსტანტინოს კაციუდისი ჩეხიან ჟელეზნისთან ერთად სიდნეიში გამარჯვების მთავარი პრეტენდენტები ჰგონიათ, ამიტომ თუმც ჰელსინკში ჟელეზნი არ იყო, იმ ორის ჭიდილმა ცხოველი ინტერესი აღძრა, მით უფრო, ხალხი თავისიანს გულშემატკივრობდა, ანუ დაინტერესებული მხარე იყო. სევილიის მსოფლიოს პირველობა პარვიაინენმა მოიგო და ვერცხლი ბერძენს ერგო, აქ კი პირიქით — კაციუდისმა ცოტათი აჯობა. ერთი ფინელიც გამოირჩა, ვინც შუბი 85 მეტრს გადააცილა — ჰარი ჰაკარაინენი. ის მესამე ადგილზე გავიდა.

დავით გულუა

წინ იყო ელი, მოიგო ბელიმ



ვლადიმირ ბელი

„შვეიცარიის ტურის“ მესამე ეტაპისას ჰოლანდიელი მიქაელ ბოგერდი ყველაზე მეტად აქტიურობდა, სულ შეტევაზე ფიქრობდა და შედეგად ყვითელი მაისურაც მოიპოვა. საკმაოდ რთულმა გზამ კი დაგვანახა, რომ მრბოლთა უმეტესობა ველოსპორტის უმთავრეს შეჯიბრს, „ტურ დე ფრანსს“ ჩინებულ ფორმაში ხვდება.

აღმართი, დაღმართი, აღმართი, დაღმართი... 182-კილომეტრიანი მესამე ეტაპი ძნელი გასავლელი იყო პელოტონისთვის. წყნარი სტარტის შემდეგ დაახლოებით 40 კილომეტრის განმავლობაში არავის მოსვლია აზრად, შეტევაზე გადასულიყო. ერთი ამდენი მანძილიც მეტად უსუსური და უხიფათო იერიშები ხორციელდებოდა. 82 კილომეტრზე კი ბოგერდმა პირველად შეუტია. მასთან ერთად პელოტონს კიდევ ხუთი კაცი მოსწყდა.

ლტოლვილებს შორის სრული ურთიერთგაგება და ჰარმონია სუფევდა და მათმა უპირატესობამ მალე 3 წუთსა და 20 წამს უწია. თუმცა პელოტონმაც გადაწყვიტა, ხელი გამოეღო. თავიდან „მერკატონე უნოს“ და „მაპეის“ წევრები აქტიურობდნენ, მერე კი პოლტელებმაც ღვარეს ოფლი. დაწინაურებულებსაც მოუწიათ სიჩქარის გაზრდამ და შედეგად ექვსკაციანი ჯგუფი ორად გაიყო. წინ ბოგერდი, ხუან გარატე და კრისტიან ელი მოექცნენ.

პელოტონიდან კი სტეფანო გარძელიმ და ედი მაძოლენიმ კონტრიერიში წამოიწყეს და მალე რბოლის სათავეში ეულად დარჩენილ ბოგერდსაც მიუახლოვდნენ. ამ სამეულს საკმაოდ სწრაფად ფრანჩესკო კასაგრანდე, ვლადიმირ ბელი, მარკო ფინკატო და მარსელ სტრაუსი წამოეწივნენ. პელოტონმა კი მათი ჩაყლაპვა ვეღარ მოახერხა. ბოლო კილომეტრზე კი „ფასა ბორტოლოს“ ბელიმ მოულოდნელად გაზარდა სიჩქარე და ეტაპიც მოიგო. ძირითადი ჯგუფი 32 წამის დაგვიანებით მივიდა ფინიშზე.

გაგი გურული

შვეიცარიის ტური მესამე ეტაპი

რეინფელდენი — ფრაიბურგი (გერმანი), 182 კმ

1. ვლადიმირ ბელი (იტალია) — 4სთ 23წთ 06წმ
2. მარსელ სტრაუსი (შვეიცარია) — +36წ
3. სტეფანო გარძელი (იტალია) — +4
4. მარკო ფინკატო (იტალია) — +4
5. ფრანჩესკო კასაგრანდი (იტალია) — +4

საერთო ჩათვლა

1. მიქაელ ბოგერდი (ჰოლანდია) — 9სთ 20წთ 22წმ
2. მარსელ სტრაუსი — +10
3. ედი მაძოლენი (იტალია) — +18
4. მარკუს ზბერგი (შვეიცარია) — +22
5. სტეფან ვესემანი (გერმანია) — +22

დიდ წყალში დიდი რეკორდები

მარტში, ათენის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩემს მიერ დამყარებული მსოფლიოს რეკორდები სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირს არასერიოზულად მოვეკიდები — თქვა ამ სამოდე თვის წინათ რუსმა რომან სლუდნოვმა, როდესაც ათენის „პატარა წყალში“ 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვაში მსოფლიოს რეკორდები დაამყარა.

მართლაც, სლუდნოვი რომ მთელი სერიოზულობით მიუდგა საქმეს, ეს სპორტკომპლექს „ოლიმპიურის“ აუზში გამართულ რუსეთის ჩემპიონატმა დაგვანახა, როდესაც ნახევარფინალში, ბრასით 100-მეტრიანი დისტანცია ერთ წუთსა და 00,36 წამში დაფარა, რითაც ბელგიელი ფრედერიკ დებურგრევის მიერ ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (1.00,60) დაამხო.

— სიმართლე გითხრათ, ასეთს არაფერს ველოდი. ვარჯიშზეც კი არ მიჩვენებია ასეთი შედეგი — თქვა 20 წლის ციმბირელმა სტუდენტმა, რომელიც განცვიფრებული შეჰყურებდა 50-მეტრიანი აუზის ელექტროტაბლოს, მისთვის ახლა მთავარი საზრუნავი 100 და 200 მეტრ დისტანციებზე რუსეთის ოლიმპიურ ნაკრებში ადგილის დაჯავშნაა.

ციმბირელმა ასპარეზობის მეორე დღეს გამოიჩინა თავი, წინა დღის მთავარი მოვლენა კი გახლდათ ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონის ალექსანდრ პოპოვის გამოსვლა, რომელიც 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ფინალურ გაცურვაში ახლოს იყო ამერიკელი ტომ ჯეგერის ათი წლის წინანდელ მსოფლიოს რეკორდის (21,81) გაუთჯობესებასთან. მას ამაში ხელი შეუშალა ეგრეთწოდებულმა ცრუ სტარტმა, განმეორებითი სტარტისას კი ჩვეულებისამებრ მოცურავეები 0,5 წამს კარგავენ, რაც კონცენტრაციის გაფანტვითაა გამოწვეული. საბოლოო ჯამში კი პოპოვის შედეგი — (21,99) საუკეთესო არაა, მაგრამ საკმაოდ კარგ მიღწევად ითვლება.

გუშინ, ასპარეზობების დაწყებამდე პოპოვმა იმავე დისტანციაზე განმეორებითი გაცურვა მოითხოვა, რათა მსოფლიოს რეკორდის დამხობით გულისწადილი აესრულებინა და შეძლო კიდეც — 21,64.

გიგა გურასაშვილი

ვინ მისცა პრონგერს?

ასეთი რამ არ ახსოვს ნჰლ-ის ისტორიას. მისი 83-წლიანი არსებობის მანძილზე ძალიან დაძაბული აღმოჩნდა ბრძოლა ყველაზე პრესტიჟული ჯილდოსთვის — HART TROPHY. ჩემპიონატის უძვირფასესის პრიზი საბოლოოდ ერგო სენტ ლუისის კაპიტანს კრის პრონგერს, რომელსაც 396 ჟურნალისტმა მიანიჭა უპირატესობა. კიდევ ერთმა ფავორიტმა, პიტსბურგის სუპერფორვარდმა იარომირ იაგრიმ ერთი ხმით ნაკლები მიიღო.

„ნუთუ მართალია? თუმც ვიცოდი, რომ ასეთი ბრძოლა გაჩაღდებოდა. ის კაცი მაჩვენეთ, რომელმაც ეს ერთი ხმა მომცა“ — თავად პრონგერიც გაოცებული დარჩა.

ამრიგად, 1972 წლის შემდეგ პირველად (მაშინ გამოკითხვაში ლეგენდარულმა ბობი ორმა გაიმარჯვა) ხვდა წილად ეს პატივი მცველს, რაც უკვე გამორჩეული ამბავია. ლიგაში ყოველთვის ფორვარდებს და მეკარეებს უფრო აფასებდნენ. ჟურნალისტების ეს გადაწყვეტილება შეიძლება იმანაც განაპირობა, რომ იაგრმა ვერ გადალახა 100-ქულიანი ზღვარი, თანაც ოდესმე ევროპელთა, განსაკუთრებით ჩეხთა ბატონობა ხომ უნდა დასრულებულიყო. ბოლო სამი სეზონის MVP ჰაშეკი (ორჯერ) და იაგრი იყვნენ, ხოლო შარშან სამივე ფინალისტი ევროპელი გახლდათ.

ასეა თუ ისე, პრონგერი მართლაც რომ თვალსაჩინო და თავის კლუბ სენტ ლუისისთვის შეუცვლელი მოთამაშეა. აღსანიშნავია, რომ 1993 წლის დრაფტზე მეორე ნომრად არჩევისას პრონგერმა განაცხადა, ყველას დავუმტკიცებ, ვინ არის პირველიო. როგორც ხედავთ, კრისი სიტყვის კაცი ყოფილა, ხოლო მაშინდელი დრაფტის №1 ალექსანდრ დეიგლი აღარავის ახსოვს.

სულ სხვაგვარად განსაჯეს თავად ჰოკეისტებმა, მათ თავიანთი პრიზი — „პირსონ ავარდი“ მთ ლიგის საუკეთესო ფორვარდს მიანიჭეს, თანაც დიდი უპირატესობით. ამრიგად, იაგრი ზედიზედ მეორედ გახდა მოთამაშეთა რჩეული.

პრონგერი ტორონტოში 15 ივნისს გამართული ცერემონიის გმირი გახდა. გარდა მთავარი ჯილდოსი, მას, საუკეთესო მცველისთვის განკუთვნილი NORRIS TROPHY-იც ერგო და სეზონის საუკეთესო ექვსულშიც შევიდა.

ერთობ მოულოდნელი იყო ჟურნალისტთა კიდევ ერთი გადაწყვეტილება — მათ სეზონის საუკეთესო მეკარედ

REUTERS ტორონტოდან

უძვირფასესი და მცველთა შორის გამორჩეული კრის პრონგერი

ვაშინგტონელი ოლაფ კოლციგი მიიჩნიეს, რომელმაც VIZINA TROPHY მოიპოვა, ხოლო ტორონტოელი კერტის ჯოზეფი ზედიზედ მეორე სეზონი ფინალისტობას დასჯერდა.

თავის მხრივ არც ჯოზეფი დარჩა ხელცარიელი. ტორონტოელმა საქველმოქმედო მოღვაწეობისთვის განკუთვნილი პრიზი მიიღო. წლეულს მეკარემ დიდ საქმეს მოჰკიდა ხელი, საკუთარი პროგრამა, ეგრეთ წოდებული „კუჯო კიდი“ დაიწყო, რომელიც მძიმედ დაავადებული ბავშვების დახმარებას ითვალისწინებს.

სკოტ გომესის გამარჯვება კი წინასწარ იყო ცნობილი. ალიასკაზე დაბადებულმა 20 წლის მექსიკელმა თავისი დამჯერებელი, შედეგიანი თამაშით სპეციალისტები და ქომაგები გააოცა და პლეი ოფშიც დაამტკიცა, რომ უდიდესი პოტენციალის მქონე ჰოკეისტია.

ერთი პრიზი ნიუჯერსელ კენ დანეიკოს ხვდა წილად. ორი წლის წინ მას ალკოჰოლთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა, ვაჟკაცმა ჰოკეისტმა აჯობა სენს, კვლავ საყვარელ საქმეს დაუბრუნდა და „ეშმაკთა“ გამარჯვებაშიც დიდი წვლილი შეიტანა.

მთელი კარიერის განმავლობაში ნიუჯერსისადმი ერთგულ ჰოკეისტს „მასტერტონ ტროფი“ გადასცეს.

ცერემონიის კიდევ ორი ლაურეატი გახლდათ ცნობილი — ფლორიდელმა პაველ ბურემ საუკეთესო სნაიპერისთვის განკუთვნილი ჯილდო მიიღო, ხოლო სენტ ლუისის მეკარეებმა რომან ტურეკმა და ჯეფი მაკლენანმა ჩემპიონატში ყველაზე ნაკლები გაშვებული გოლისთვის.

სამველ ღარიბიანი

ლიგის რჩეულები

HART TROPHY (ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშე)
კრის პრონგერი (სენტ ლუისი, კანადა)
დაიბადა 1974 წლის 10 ოქტომბერს. მცველი, სიმაღლე 193სმ, წონა 90კგ
1993 წლის დრაფტში მე-2 ნომრად კაროლინამ აირჩია
კარიერა ნჰლ-ში: 7 სეზონი, 508 მატჩი, 248 (64+184) ქულა
წინა 5 სეზონის ლაურეატები
1999 — იარომირ იაგრი (პიტსბურგი), 1998 — დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო), 1997 — დომინიკ ჰაშეკი, 1996 — მარიო ლემიე (პიტსბურგი), 1995 — ერიკ ლინდროსი (ფილადელფია)

VEZINA TROPHY (საუკეთესო მეკარე)
ოლაფ კოლციგი (ვაშინგტონ კეპიტალსი; გერმანია)
დაიბადა 1970 წლის 6 აპრილს. 187სმ, 98კგ
1989 წლის დრაფტში მე-19 ნომრად ვაშინგტონმა აირჩია
კარიერა ნჰლ-ში: 9 სეზონი, 272 მატჩი, 637 გაშვებული შაიბა
წინა 5 სეზონის ლაურეატები
1999 — დომინიკ ჰაშეკი, 1998 — დომინიკ ჰაშეკი, 1997 — დომინიკ ჰაშეკი; 1996 — ჯიმ კერი (ვაშინგტონი), 1995 — დომინიკ ჰაშეკი

NORRIS TROPHY (საუკეთესო მცველი)
კრის პრონგერი
წინა 5 სეზონის ლაურეატები
1999 — ელ მაკინჩესი (სენტ ლუისი), 1998 — რობ ბლეიკი (ლოს ანჯელესი), 1997 — ბრაიან ლიჩი (რეინჯერსი), 1996 — კრის ჩელიოსი (ჩიკაგო), 1995 — პოლ კოფი (დეტროიტი)

CALDER TROPHY (საუკეთესო ახალბედა)
სკოტ გომესი (ნიუ ჯერსი)
დაიბადა 1979 წლის 23 დეკემბერს. ფორვარდი, 180სმ, 79კგ
1998 — დრაფტში 27-ე ნომრად ნიუ ჯერსიმ აირჩია
კარიერა ნჰლ-ში: 1სეზონი, 82 მატჩი, 70 (19+51) ქულა
წინა 5 სეზონის ლაურეატები
1999 — კრის დრური (კოლორადო), 1998 — სერგეი სამსონოვი (ბოსტონი), 1997 — ბრაიან ბერარდი (აილენდერსი), 1996 — დანიელ ალფრედსონი (ოტავა), 1995 — პეტერ ფორსბერგი (კვებეკი)
ჩემპიონატის საუკეთესო ექვსეული
ოლაფ კოლციგი (ვაშინგტონი); კრის პრონგერი (სენტ ლუისი) — ნიკალას ლიდსტრიომი (დეტროიტი); იარომირ იაგრი (პიტსბურგი) — სტივ აიზერმანი (დეტროიტი) — ბრენდან შენაჰანი (დეტროიტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲕᲘᲚᲘ ᲜᲐᲮᲔ

ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ ნაკრების მწვრთნელი არა და მისი შვილი კი არის. ავარდნილ ბურთს შეწუხებული სახით რომ უყურებს. ფრედერიკ ვასეჟი მშობლიური ნაკრების წევრებთან ვარჯიშისას აღუბეჭდავთ, თუმცა ვასეჟთა საგვარეულოს ერთობლიგმა შრომამ იტალიის წასაქცევად ვერ იკმარა.

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲞᲐᲝᲚᲝ

ᲙᲐᲘ ცხენი, კაი მამა, კაი ცოლი, კაი შვილი, რას ინატრებს სხვა ამის მეტს, კაცი მისებრ.. აქ სამწუხაროდ აღარ ერითმება, მაგრამ ნუ ერითმება მერე! მთავარია, რომ პაოლო მალდინზე ვლაპარაკობთ და ერთსაც შევნიშნავთ: იტალიელთა კაპიტანს ალბათ სხვა რამეც ექნება სანატრელი, თუნდაც ევროპის ჩემპიონობა.

ᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ

ალესანდრო ნესტამ და ფაბიო კანავარომ ბელგიასთან მატჩში სამშობლოს წინაშე მოსახდელი ვალის ნაწილი დაფარეს და ახლა კომპიუტერთან ღლაბუცით სულის მოთქმაც შეიძლება. წინ შვედეთია...

ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ ᲗᲐᲡᲗᲐᲜ

ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ მონა ღვთისა მარტინი და მხევალი ღვთისა ლინდა; ნეფე-პატარძალი მისულა, სადაც ევრო 2000-ის პატიოსანი ვერცხლისგან ნაკეთები თასია დასვენებული და ყურადღებით შეჰყურებენ, იქნებ მასზე რადაც-რადაცეები ამოიკითხონ კიდეც.

ᲝᲛᲘᲡ წᲘᲜᲐᲓᲦᲔ

ᲰᲝ-ᲰᲝ, დღეს რომ შარლერუაში ამბავი იქნება. მოედანზე ხომ ხოცვა-ჟლეტა ატყდება, იქნებ ტრიბუნებზე და გარეთაც გაჭირდეს საქმე. სხვანაირად არ შეიძლება, ინგლისი და გერმანია თამაშობენ და რახან ასეა, ბრძოლის მთავარ გმირებთან გამოლაპარაკება ყოველ ჟურნალისტს სასიამოვნოდ უნდა დაურჩეს. ალან შირერი პრესკონფერენციიდან გამომავალი გადაუღიათ, კევინ კიგანი კი — შემავალი, ოღონდ ეს უკანასკნელი რას სვამს, ვერ მივხვდით: ლიმონათს თუ დამაწყნარებელ წვეთებს. ახლა მეორე უფრო საჭიროა...

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge